დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 22 - 28 მაისი

N24 1488

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



2-3

ტროას ცხენის მუცელში ბერძენი მეომრები იმალებოდნენ, „დროას“ ცხენის მუცელში აგენტები, პროვოკატორები, დივერსანტები და საქართველოს მტრები ბუყბუყებენ!

## ხმა ჩაიკმინდე, შე მიშჩანო!



13

# «დროას» ცხენი



6-7

## ქართველ ქაჯთა ვნახე კრება!

ავიაბილეთების შესაძენ რუსულ საიტზე ამიერიდან სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში ფიქსირდება!




10-11








8-9

## დროშა ვერ დაკიდენ, გაიღვიძე, ბაიდენ!

გიორგი მამაცაშვილი:

გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს ვპირდები-ჟურნალისტთა კავშირს არ დაგასამარებინებთ!

## «არ გაგივათ!»



4



«მივმართავ ირაკლი შოთაძეს და დავით ასათიანს:

გიორგი ჟორჟოლიანი არის ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავე!“



# ნაცმოძრაობას “ თვით მაჭუტაძემაც უღალატა!

*პატივცემულო მკითხველო, წინამდებარე წერილის სათაური — „დროას“ ცხენი“ სოლცარ ბგერწერულ ერთობას ამჟღავნებს ლეგენდარულ „ტროას ცხენთან“, რომელსაც ძველბერძნული მითოსის საკვანძო მოვლენა და ტროას ომის უკვდავი ეპოსი უკავშირდება.*

# «დროას»




*ელენე ხოშტარიას დაკავება 2023 წლის 20 მაისს ნაცლიბერალთა მიერ კახეთში ჩატარებულ „ანტირუსულ“ აქციაზე*

ბედის ირონიით თუ ისტორიის ლაზღანდარობით, **ტროასა და „დროას“ ცხენების** ისტორიებში ორივეგან მთავარი ფიგურანტია ქალი და ორივე **ელენე.** უფრო სწორად თუ ვიტყვით, **ტროას ელენე** მართლაც ქალი იყო და თანაც უმშვენიერესი, რომლის გულისთვისაც აქეველები და ტროელები ცხრა წლის განმავლობაში ხოცავდნენ ერთმანეთს, მაგრამ **პარტია „დროას“ ელენე** — მოღალატე **ბოგბია ხოშტარიას ბოგო,** ქალი არ არის! როგორც აღმოჩნდა, ელენე ხოშტარია სინამდვილეში ბულდოზერი ან ტრაქტორია!

საქმე ის გახლავთ, რომ ელენე 2023 წლის 19 მაისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაიმუქრა — **როგორც კი რუსული ავიაკომპანია „აზიმუტი“ თბილისში წარმომადგენლობას გახსნის, მივვარდები და შენობას დავანგრევო!**

სხვათაშორის, თავის დროზე დაახლოებით ანალოგიური შინაარსის მუქარა გამოაცხო **ალამუტელების თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმაც,** რომელსაც **ნიკანორ მელიას** დასამხობად და მისი ადგილის დასაკავებლად **მერაბიშვილი, კეზერაშვილი და ადეიშვილი** ერთად ბანდნენ, ვარცხნიდნენ, პარსავდნენ, კბილებს უსვამდნენ, ფრჩხილებს აჭრიდნენ და ცხვირის ნესტოებში წამოზრდილ ბანჯგვლებს აპუტავდნენ... ცხადია, ამ მუქარას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და სააკაშვილი, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგის სასამართლომ საჩუქრად **ვირის სუჯუკი** გამოუგზავნა — **აქაოდა, მანდ ეგდეო!** — დღემდე ხაბეიშვილის მოლოდინში ამთქნარებს...

**მშვენიერმა ელენემ** ქმარსა და შვილებს უღალატა და უცხო კაცს — ტროელ მეფისწულს გაეკიდა. **ელენე ხოშტარიაც** გენეტიკურ მოღალატეთა და საქართველოს დამაქცევართა ბუნაგიდანაა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ის **სანდრო გირგვლიანის ამხანაგი და მეგობარი იყო, მაგრამ მეგობრის მკვლელებს, სააკაშვილის საძუკნეთს შეეკრა.** სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი **იეთიმ გურჯის** ცნობილი გამონათქვამი — **„ამხანაგის მოღალატეს დამმარხველი არა ჰყავდეს!“** ეს იმას ნიშნავს, რომ

**ელენეს, ანუ ლიაკა ხოშტარიას, როცა სულში ძაღლი მიაკვდება, დამმარხველი არ ეყოლება და ზეზეურად ზუსტად ისე აყროლდება, როგორც გელიყარის კლდიდან საჩინო ბარათაშვილის მიერ გადაგდებული მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი აყროლდა!**

გადმოცემის თანახმად, ქვეყნისა და მეფის გამყიდველ **„ყორღანას ძის“** ლეშს მშიერი ყვავ-ყორნები და მხეცებიც კი არ მიეკარნენ, ისე აქოთდა, დალპა და გაიხრწნა...

რაც შეეხება **„დროასა“ და ტროას ცხენების** შედარების მითოსურ ასპექტს!

საქვეყნოდ ცნობილია, რომ **3 ათას 300 წლის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის მე-13-12 საუკუნეში, მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ ილიონის, ანუ ტროას კედლებთან, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და საშინელი ტრაგედია გათამაშდა...** კერძოდ, ჰომეროსის ეპოსის თანახმად, რასაც დაახლოებით რვაასი წლის შემდეგ **დიდი რომაელი პოეტი ვირგილიუსი** თავის **„ენეიდაში“** იმეორებს, ბერძნებმა ტროელები რომ ვერ დაამარცხეს და პრინც პარისს მშვენიერი ელენე ვერ წაჰგვარეს, ხერხი იხმარეს და ტროას კედლებთან ფიჭვის ხისგან შეჭედილი ცხენის ფორმის უზარმაზარი ნაგებობა დადგეს, რომელსაც ეწერა — **„ძღვენი ტროელებისადმი“.**

**ცნობილმა მისანმა და წინასწარმეტყველმა ლაოკოონმა** ტროელებს ბევრი უჩიჩინა, რომ ჭიშკარი არ გაეღოთ და ხის ცხენი ქალაქში არ შეეტანათ, მაგრამ მისმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. დაღამდა თუ არა, „ცხენში“ დამალული **ცბიერი ოდისევსი და 30 ბერძენი მე-**



**აი, რას ამბობდა ელენე ხოშტარია 2011 წელს რუსეთთან ტურისტული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ:**

**ჩვენი მხრიდან გახსნილია სავიზო რეჟიმი, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით რუს ტურისტებს, ბიზნესს არანაირი პრობლემა არ შექმნია და ციფრებს თუ შეხედავთ, მინდა, გითხრათ, რომ გაიზარდა კიდევაც ვაჭრობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ჩვენ ვართ გახსნილები რუსეთთან ურთიერთობისთვის, ჩვენ, პირიქით, არანაირი პრობლემა არ გვაქვს!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების სამიტისადმი ჩვენი მთავარი გზავნილია, რომ **საქართველო და ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს** — ეს არის ჩვენი არჩევანი, რომელიც შეუცვლელია.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ვაშაძეს ჰყავს **რუსი მდგმური** საკუთარ ბინაში და **ხოშტარია** რუსეთის ხაზინიდან იღებს **რუსულ რუბლებს.** ეს ადამიანები დღეს სპეკულირებენ იმით, რომ აღდგა ფრენები რუსეთ-საქართველოს შორის.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მისასალმებელია, როცა **საქართველოს მიმართ არსებული სანქციები მოხსნილია,** ასევე — სხვა უსამართლობები, რომლებიც არის საქართველოს მიმართ, მათ შორის, **ოკუპაციის სახით,** უნდა დასრულდეს.

„რეზონანსი“

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



30 წელია, ძალოვან სტრუქტურაში ვმუშაობ, ასეთი რაღაც მართლა არ მინახავს, არც შევარდნაძის დროს, რომ **პოლიციელებს ცოცხლად დაწვა დაუპირეს.** ნებისმიერი ევროპული, დასავლური, განვითარებული ქვეყნის პოლიტიკოსი **იამაყებდა თავისი სახელმწიფოს სამართალდამცველების მოქმედების სტანდარტით,** იმით, რაც ქართულმა პოლიციამ მარტის მოვლენების დროს აჩვენა.

„ინტერპრესნიუსი“

# ცხენი




**ომარი** ჩუმად გარეთ გამოვიდნენ, ქალაქის ჭიშკრის მცველები დახოცეს და ბერძნებმა კრეტის მრისხანე და ყოვლისშემძლე მეფის — **აგამემნონის** მეთაურობით ტროა აიღეს. **აგამემნონის ძმამ მენელაოსმა** დაიბრუნა **მშვენიერი ელენე,** რომელსაც უკვე **პარისის** ძმაზე გათხოვებაც მოესწრო და დაბრუნდა სპარტაში.

**3 ათას 300 წელია, „ტროას ცხენი“ იმ სიცბიერის, მუხანათობის, ღალატის, ძირგამომთხრელი საქმიანობის, შპიონაჟისა და „მეხუთე კოლონის“ სიმბოლოა, რომელსაც საქართველოს უახლოესი ისტორიის ამ კონკრეტულ ეტაპზე გაუბედურებული ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე ასე კარგად განასახიერებს „დროას“ ცხენი ელენე ხოშტარია.**


ლიაკა ხოშტარია ზუსტად იმ ფუნქციას ასრულებს, რა ფუნქციაც თავის დროზე ირინა სარიშვილს ეკისრებოდა!

საქართველოს ხელისუფლებამ და ქვეყნის სპეცსამსახურებმა ჩემზე უკეთ იციან, თუ რას წარმოადგენს „მგიმოელი“ **აგენტ-პროვოკატორი ლიაკა,** რომელიც დღეს ქვეყანაში ზუსტად იმ ფუნქციას ასრულებს, რა ფუნქციაც თავის დროზე **ირინა სარიშვილს** ეკისრებოდა. სხვათაშორის, როგორც მწერალი **ირაკლი კაკაბაძე** ერთგან იხსენებს, სულმნათ **მერაბ კოსტავას,** თურმე, ერთხელ ასეთი რამ დაუწერია — **ყველამ ყველაფერი უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ირინა სარიშვილი მართლაც აგენტიაო!**



**სააკაშვილი, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგის სასამართლომ საჩუქრად ვირის სუჯუკი გამოუგზავნა – აქაოდა, მანდ ეგდეო! – დღემდე ხაბეიშვილის მოლოდინში ამთქნარებს...**

სწორედ ასე, **„დროას“ ცხენი ელენე ხოშტარია,** რომელიც 19 მაისს თბილისის აეროპორტში შეღებილი კვერცხებით დარბოდა, რათა პოლიციელებისთვის და მოსკოვიდან ჩამოფრენილი ტურისტებისთვის დაეშინა, სინამდვილეში სამოქალაქო აქტივისტი კი არა, **„ტროას ცხენი“ და აგენტია,** რომელიც ქართველებს შემოგვიგდეს, რათა ქვეყანა თავზე დაგვამხონ და გადაგვქელონ!

ამ მართლაცდა **„დროას“ ცხენის მამა — გოგია ხოშტარია** ცხონებული **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლებაში სწორედ **„ტროას ცხენით“** გადასხეს. **გოგიამ დაკისრებული მისია ბოლომდე პირნათლად ვერ შეასრულა და ზვიად გამსახურდია იმ კონკრეტულ ეტაპზე ვერ მოკლა.**

აი, ასეთი არაკაცის გომბიოა **კვერცხებიანი ლიაკა, ანუ იგივე „დროას“ ცხენი ელენე ხოშტარია,** რომელიც 2019 წლის ივნისის ცნობილი არეულობის დროს **მაკო გომურისთვის** თვალის ამოთხრას პარლამენტის წინ ცეკვითა და უკანალის თამაშით „აპროტესტებდა“...

**ტროელები, რომლებმაც „ტროას ცხენი“ ვერ გაშიფრეს, განადგურდნენ!**

**საქართველო გადარჩება, რადგან „დროას“ ცხენი ელენე ხოშტარია გაშიფრული აგენტია!**

ტროას ლეგენდის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, **მშვენიერი ელენე** სიკვდილის შემდეგ ხედ იქცა!

**ელენე ხოშტარია და მამამისი გოგია, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე ხეს თავით ორჯერ დაეტაკა, „ხეებად“ დიდი ხნის წინათ გადაიქცნენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ **ვერცერთი სანქცირებული კომპანია ვერ განახორციელებს შესაბამის ფრენებს.** ამას სწავლობენ შესაბამისი უწყებები.

„საერთო გაზეთი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



პარტნიორი ქვეყანა **მუქარის ტონით ელაპარაკება საქართველოს,** ის დრო დამთავრდა, როცა საქართველო **მუქარის ტონს** აიტანს. თუ გინდა, რომ რუსეთის ჯინაზე საქართველოს უთხრა, კარგი მეგობარი ხარო, **პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგა და 30 წელი შეშფოთება-აღშფოთებით არ უნდა იყო დაკავებული.**

„პირველი არხი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილმა** სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება სულ თავში უნდა გირტყათ იმ ადამიანებს, **ვინც წააქეზეთ და ასეთ დღეში ჩააგდეთ.** სტრასბურგის სასამართლომ გითხრათ, რომ **ქვეყნის დაზიანებას, სპეკულაციას თავი დაანებეთ და კაცობა დაიწყეთო,** მაგრამ ჩვენ შორს ვართ იმ ილუზიისგან, რომ თქვენ რაიმე სახით სწორ გზას დაადგებით.

„პირველი არხი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ფეხებზე მკიდია რუსულიც და ისეთი ევროპულიც,** რაც ჩემს ქვეყანას ვნებს. **მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ქართველი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიცია **ასე ერთმანეთს ლანძღავდეს,** მე ჯერ არ მახსოვს.

„ახალი თაობა“

## გიორგი მამაცაშვილი:

# გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს ვპირდები- ჟურნალისტთა კავშირს არ დაგასამარებინებთ!

# «არ გაგივათ!»



***ახლახან საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობა გაიმართა. ყრილობის დელეგატებმა კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მედია-ჰოლდინგ „რეპორტიორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი, რომელსაც არამხოლოდ მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება უმაგრებს ზურგს, არამედ — საააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან ბრძოლის ეპოპეაც.*** *მან ჯერ კიდევ 2008 წელს მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას, რათა ნაცხელისუფლების მიერ ჟურნალისტებისათვის წართმეული ნავსაყუდელის — გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის დაბრუნებისათვის მიეღწია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ* ***2011 წლის 26 მაისს რეჟიმის ხელით სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა*** *— პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ე.წ. არალეტალური ტყვიებით დაცხრილეს, ხელები შეუკრეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.* ***იმ ავბედითი პერიპეტიის 12 წლისთავს — 2023 წლის 26 მაისს — გიორგი მამაცაშვილი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის რანგში ხვდება, თუმცა, მას კავშირში საკმაოდ მძიმე რეალობა დახვდა*** *— გარიცხული ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, ათიათასობით ლარის დავალიანება და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონზე გასატანად განწირული კავშირის კუთვნილი ოფისი.* ***„ჩვენი დუმილი დანაშაულის ტოლფასი იქნება!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ:***

— ჟურნალისტთა კავშირიდან გარიცხულთა შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ. ყველა ღირსეულ და დამსახურებულ ადამიანს დავიყენებთ გვერდში — ეს მთავარი ამოცანაა. პრობლემებიც მრავლადაა — ორგანიზაციას გაახალგაზრდავება სჭირდება, **ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია, უნდა აღდგეს და კავშირის გამგეობამ მომავალში რამდენიმე კანონპროექტის ინიცირებაც უნდა მოახდინოს. საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციასთან ურთიერთობებიც, ფაქტობრივად, თავიდან არის დასაწყები...** მოკლედ, სასაუბროც და გეგმებიც ბევრია, მაგრამ ახლა სხვა მძიმე რეალობის წინაშე ვდგავართ — საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის კუთვნილი ოფისი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონზე გასაყიდადაა განწირული.

დღევანდელი მდგომარეობით, ან აუქციონამდე უნდა გავყიდოთ ოფისი, რათა „ვალების“ გასტუმრების შემდეგ შედარებით მცირე მოცულობის ოფისის შეძენა მაინც შევძლოთ, ან შენობა იძულებითი აუქციონის წესით უნდა გასხვისდეს და შესაძლოა, ჟურნალისტთა კავშირი საერთოდ ქუჩაში დარჩეს!



დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

აპატიეთ მტრებს, მაგრამ გახსოვდეთ მათი სახელები!
ჯონ კენედი

ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2008 წლის 10-16 მარტი

N10 (704)

ფასი 1 ლარი

ქართული დემოკრატია საფრთხეშია!

ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი სიტყვის თავისუფლების გადასარჩენად მშრალ შიმშილობაზე გადასვლას აპირებს!





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

KA012011960480323

საქართველო, თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ. ტელ.: +(032) 2 749 649, ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge, ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge
D. Agmashenebeli Alley, 10th km, 0131, Tbilisi, Georgia, Tel.: +(032) 2 749 649, E-MAIL: info@nbe.gov.ge,www.nbe.gov.ge

# 33996 — 19 / მაისი / 2023 წ.

***ამონარიდი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის სახელზე თბილისის სააღსრულებო ბიუროდან გამოგზავნილი გამაფრთხილებელი წერილიდან***

ასევე, დავალიანების დაფარვის მიზნით, უახლოეს პერიოდში იგეგმება აუქციონის დანიშვნა მოვალის-საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (204400656) სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N17ე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.002.01.505).

პატივისცემით,

თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

რუნარ გუსეინოვი

**— მკითხველს შევახსენებთ, რომ ახლა ჩვენ თითქმის სამოცდაათწლიანი ისტორიის მქონე ჟურნალისტთა კავშირზე ვსაუბრობთ.**

— ისტორიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჟურნალისტთა კავშირის წევრთა ჩამოთვლაც ბევრის მთქმელია: **ელიზბარ ჯაველიძე, ნანა დევდარიანი, ლევან დოლიძე, როინ მეტრეველი, სანდრო კოტორაშვილი, აკაკი სიხარულიძე, დავით წერეთელი, არჩილ გოგელია, თენგიზ გაჩეჩილაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ვანო ჯაფარიძე, ტატო ლასხიშვილი, ვან ბაიბურთი, გოჩა ხუნდაძე, ვადიმ ანასტასიადი, ბადრი ვადაჭკორია, დემიკო ლოლაძე...** რომელი ერთი ჩამოვთვალო... მაგრამ დღეს ყველაზე მთავარი უნდა ითქვას! და გარწმუნებთ, ეს არის ის ერთადერთი სიმართლე, რომლის ხმამაღლა თქმისგანაც ბევრი დღემდე იკავებდა თავს!

**— კი მაგრამ, სიმართლის თქმას რომ აპირებთ, ცხენი შეკაზმული გყავთ?**

— გაქცევას არსად ვაპირებ, ამდენად, თამამად ვიტყვი სიმართლეს, რომლის მიღმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი ადამიანური თუ პროფესიული ტკივილი იმალება. უფრო მეტიც, რომ არა უკანასკნელ თვეებში რამდენიმე ადამიანის მიერ გამოჩენილი პრინციპული პოზიცია, დღეს გაცილებით უარესი რეალობის წინაშე ვიდგებოდით. დიახ, სამწუხაროდ, პოლიციის გამოძახების გარეშე გამგეობის სხდომებიც კი აღარ მთავრდებოდა, რადგან საქმე უკიდურეს კონფლიქტამდეც კი მიდიოდა... ასე რომ, დროა, ყველა ჭორსა თუ სიბინძურეს წერტილი დაესვას და ცალსახად გაიგოს ყველამ: **საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს დღეს არ ჰყავს თავში ხელწამოსარტყმელი და აბუჩად ასაგდები გამგეობა! ამ დამსახურებულ ხალხს ყურადღება და, რაც მთავარია, სიმართლე სჭირდება!**

**— და მაინც, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ: 2013 წლის 24 დეკემბერს ჟურნალისტთა ყრილობაზე კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს **ჰამლეტ გეგია.** ანგარიშით წარდგა კავშირის იმდროინდელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **გუგაზ მეგრელიძე.**

### სარევიზიო კომისიის მიერ წარდგენილ ანგარიშში ნათლად იკვეთება, რომ 2013 წლის ბოლოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს არავის მიმართ არანაირი სახელფასო დავალიანება არ გააჩნდა.

ამასთან, ყრილობას ესწრებოდა ჟურნალისტთა კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარე, მაშინდელი დელეგატი **გიორგი ჟორჟოლიანი,** რომელსაც სარევიზიო კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს.

2017 წლის იანვარში უეცრად გარდაიცვალა კავშირის თავმჯდომარე, **ბატონი ჰამლეტ გეგია.** როგორც ამბობენ და ამას სულაც არ ამბობენ რიგითი პირები — ბატონი ჰამლეტის გარდაცვალებიდან ნახევარ საათში ყოველგვარი აქტის გაფორმების გარეშე **გარდაცვლილი გეგიას ოჯახს ჟორჟოლიანმა გამოართვა კავშირის ბეჭედი, რომელიც კანონისა და წესდების უხეში დარღვევით 2017 წლის 17 იანვრამდე მასთან ინახებოდა!** მეტიც — 2017 წლის 4 იანვარს **ბატონმა ჟორჟოლიანმა** მოიწვია კავშირის პრეზიდიუმისა და გამგეობის რამდენიმე წევრი და კვორუმის არარსებობის მიუხედავად, საკუთარი თავი კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაადგენინა.

**— განმკითხავი არავინ იყო? ან დღეს რას ამბობენ ამ გაყალბებული სხდომის მონაწილენი?**

— მეტსაც გეტყვით და გვარებსაც ჩამოგითვლით! რასაც ახლა ვამბობ, სიტყვასიტყვით წერია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კოლეგიისადმი **დენის დავითაშვილის** მიერ გაგზავნილ განცხადებაში.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში მეგობრობდნენ ბატონი დენისი და ბატონი ჟორჟოლიანი და, დამეთანხმებით, მეგობარმა უფრო მეტი იცის! ამიტომ ვეყრდნობი ამ განცხადებაში მოყვანილ და საქმეში არსებულ მასალებსა და ფაქტებს.

მომდევნო დღეებში გაიმართა გაერთიანებული სხდომა, რო-

## «ჩვენი დუმილი



# «მივმართავ ირაკლი შოთაძეს და დავით ასათიანს:





## გიორგი ჟორჟოლიანი არის ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავე!“

მელმაც გააუქმა 2017 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება და ყრილობის ჩატარებამდე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა ქალბატონი **მარინა თექთუმანიძე,** თუმცა, კავშირის ბეჭედი **ჟორჟოლიანმა** მხოლოდ 17 იანვარს გადასცა მას.

**— კი მაგრამ, ჩნდება კითხვა — 4 იანვრიდან 17 იანვრამდე შეეძლო თუ არა ბატონ ჟორჟოლიანს კავშირის ბეჭდის არადანიშნულებით გამოყენება?**

— სწორედ ამის შემდეგ ჩნდება 2005 წლის 9 ივლისის თარიღით საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის ბრძანება და 2014 წლის 15 იანვრის შეთანხმება. **ამ ორი, პირდაპირ გეტყვით, თაღლითური გზით შედგენილი დოკუმენტის გამოყენებით, ჟორჟოლიანმა მიმართა სასამართლოს მოთხოვნით, თითქოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს და მის თავმჯდომარეს 2014 წლის იანვრამდე დაუგროვდა სახელფასო დავალიანება 56 550 ლარის ოდენობით!** მეტიც — ე.წ. **ადვოკატმა ჟორჟოლიანმა** 2013 წლის იანვრის თარიღით, 2014 წლის 15 იანვარს სახელმწიფო რეესტრში გაატარა ყრილობის გაყალბებული ოქმი. ცნობისათვის, 2013 წლის 24 დეკემბრის ყრილობის ოქმი 30 დეკემბერს ასევე წარდგენილი იყო საჯარო რეესტრში, რომელსაც ყრილობის თავმჯდომარე **ზურაბ მეგრელიძე** და მდივანი **ლამარა გიორგაშვილი** აწერდნენ ხელს და რომელიც კანონის დაცვით იყო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული!

**— თქვენი ნათქვამის დადასტურება ამ ეტაპზე ვის შეუძლია?**

— კავშირის ყველა წევრს, რომელიც 2013-2014 წლებში, სამწუხაროდ, ვერ აღუდგა **ჟორჟოლიანის მიერ ჩადენილ სიყალბეებს.** მეტიც — გასული 6 წელი კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სასამართლო დარბაზებში გაატარა სწორედ ჟორჟოლიანის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაში. სხვათაშორის, ადვოკატთა ასოციაციაში **დენის დავითაშვილის** და სხვა რამდენიმე კოლეგის მიერ შეტანილი განცხადება ვახსენე და გეტყვით — იმ მიმართვებში გაცილებით მეტია ნათქვამი ჟორჟოლიანის ავკაცობაზე.

ერთსაც გეტყვით: კავშირის ინტერესებს ამ წლებში იცავდა ადვოკატი **მონიკა რუხაძე,** რომელსაც, სამწუხაროდ, არასდროს დაუყენებია შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე — კონკრეტულად რომელი გამგეობისა და პრეზიდიუმის თანხმობის შემდეგ აღიარეს **ჟორჟოლიანის აღნიშნული სახელფასო დავალიანება?** ან რომელ საბუღალტრო ჟურნალში იქნა გატარებული ეს 56 550 ლარი?

**— ხომ არ მიგვანიშნებთ, რომ მონიკა რუხაძე და გიორგი ჟორჟოლიანი ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ?**

— არა! დამბრალებელი უარესს სჩადის, მაგრამ ქალბატონი მონიკას მიმართ კითხვები მაინც გააჩნიათ ჟურნალისტთა კავშირის დღევანდელი გამგეობის წევრებს და, მათ შორის, მეც! **დიახ, ქალბატონმა მონიკა რუხაძემ ნამდვილად დაიცვა კავშირის ინტერესები** რამდენიმე სასამართლო სხდომაზე, მათ შორის, ბატონების **დენის დავითაშვილისა** და **გიორგი ჟორჟოლიანის** წინააღმდეგ წარმოებულ სამართლებრივ დავებშიც, რომლებიდანაც რამდენიმე პროცესი მოიგო, მაგრამ ვთქვათ პირდაპირ — რამდენიმე სხდომაზე მან კავშირის ინტერესები არასრულყოფილად დაიცვა!

**— ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ხომ არ გქონიათ მცდელობა, შეხვედროდით ჟორჟოლიანსა და რუხაძეს?**

— **„საერთოდ არ მაინტერესებს თქვენი კავშირი, ფული მინდა!“** — აი, ასეთი უტიფარი პასუხით გამითიშა ტელეფონი **ჟორჟოლიანმა!** რაც შეეხება **რუხაძეს,** ჟორჟოლიანის მსგავსად, მანაც მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და განვლილი 5 წლის მანძილზე „გამომუშავებულ“ 38 625 ლარს ითხოვს ჟურნალისტთა კავშირისგან, რაც **კავშირის ძველი ხელმძღვანელობის გასასტუმრებელი უფრო გახლდათ, ვიდრე ჩემი!**

**— წარმოუდგენელ რამეს ყვები... ნუთუ ასეთი რეალობა იყო კავშირში ამ წლების განმავლობაში?**

— არაჯანსაღი პროცესები და ურთიერთბრალდებებიც ხშირი იყო... კოვიდპანდემიის პერიოდიც დაემთხვა და კავშირის ხელმძღვანელთა ფუნქციები მხოლოდ სასამართლო სხდომებზე სიარულით შემოიფარგლა. თავშიც გითხარით — გამგეობის სხდომები პოლიციის გამოძახებისა და ხელწერილების გარეშე იშვიათად მთავრდებოდა! დადგა დრო, ბინძური და უსაგნო ურთიერთბრალდებების დრო დასრულდეს და ყველაფერი გაკეთდეს ჟურნალისტთა კავშირის ავტორიტეტის აღსადგენად. სამწუხაროდ, ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ბინძური ჭორაობით ილესავენ ენას, მაგრამ იმედი მაქვს, ისინიც მოეგებიან გონს და მიხვდებიან, რომ კონსტრუქციულ დიალოგს წინ ვერაფერი დაუდგება!

მარტო ჟურნალისტთა კავშირიდან გარიცხულთა გვარები რომ ჩამოგითვალოთ, შოკი მერე ნახეთ! მაგალითისთვის რამდენიმეს დაგისახელებთ: **ვახტანგ გეგელია, თამაზ ჩიქვანაია, ვახტანგ კობაიძე, თემურ ქორიძე, სერგო ედიშერაშვილი...** თუკი ვინმეს ჟურნალისტიკასთან ახლოს ჩაუვლია, მიხვდება, რას ნიშნავს ეს გვარები თანამედროვე ჟურნალისტთა კავშირისთვის! ყრილობაც საკმაოდ მძიმე და წარმოუდგენელ პირობებში ჩატარდა და რიგგარეშე ყრილობის მოწვევაც უნდა მოხდეს, რომელშიც ყველა ღირსეული და დამსახურებული ჟურნალისტი მიიღებს მონაწილეობას, რათა შემოქმედებითი კავშირის მუშაობა აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე გადავიდეს.

სხვათაშორის, აქვე იმ გამოჩენილ ჟურნალისტებს ჩამოგითვლით, რომლებიც 2013 წლის 24 დეკემბრის ავადსახსენებელ ყრილობას ესწრებოდნენ და დღესაც დაადასტურებენ, რომ ადვოკატი ჟორჟოლიანი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავეა! ესენი არიან: **ლია ჭილლაძე, მარინა ზედელაშვილი, მერაბ ბალაშვილი, მარინე დამენია, ლამარა გიორგაშვილი, ზურაბ მეგრელიძე, მარინა თექთუმანიძე, გულიადა ჭკადუა, დავით წერეთელი, რობინზონ ოდიკაძე, ლაშა ნადარეიშვილი და სპარტაკ ქობულია!**

**— რა ხდება... ისეთ ამბავს ყვებით, ჟორჟოლიანი ჟურნალისტთა კავშირის კი არა, „კოზა ნოსტრას“ ატამანი გამოდის...**

— სხვათაშორის, ჟურნალისტთა კავშირის წინა მოწვევის გამგეობის წევრებმა **ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაშიც** შეიტანეს საჩივარი ადვოკატის მანტიაში დამალული ჟორჟოლიანის წინააღმდეგ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კოლეგიასაც მიმართეს განცხადებით. საჩივარს გამგეობის წევრები აწერენ ხელს: **სპარტაკ ქობულია, ნინო გოძიაშვილი, ზურაბ მეგრელიძე, ლია ჭილლაძე, ლამარა გიორგაშვილი** და სხვები...

სამწუხაროდ, ეს არის ერთადერთი სიმართლე! მე კი, როგორც ყრილობის მიერ ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, ნამდვილად არ მსურს, ტყუილით საქმიანობის დაწყება, რადგან ხვალ თვალებში უნდა ჩავხედო ღვაწლმოსილ კოლეგებს და არ უნდა შემრცხვეს! მათ კი არასდროს არ უნდა ინანონ ჩემთვის უდიდესი ნდობის გამოცხადება!

ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ **ირაკლი შოთაძეს** და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ **დავით ასათიანს:** გამოიყენეთ ყველა სამართლებრივი ბერკეტი და აღკვეთეთ **გიორგი ჟორჟოლიანის** თაღლითობა! გახსოვდეთ, ეს კაცი ჟურნალისტთა კავშირის მესაფლავეა!



დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ვიდრე არ მივმართავთ ტერორს, ადგილზევე დახვრეტას, არაფერი გამოვა!
ლენინი

ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2011 წლის 30 მაისი-5 ივნისი N22 (869)

ფასი 1 ლარი და 50 თეთრი

ამონარიდები ექსპერტიზის დასკვნიდან

საააკაშვილო, მე შენი პირადი ბრძანებით დამხვრიტეს, მაგრამ... ვერ მომკლეს!




„25-ე არხის“ ოპერატორის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში ნათლად ჩანს, რომ სააკაშვილის სპეცრაზმელები დამიზნებით ესვრიან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებს გიორგი მამაცაშვილსა და ბექა სივსივაძეს

ვიდეომასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით „25-ე არხის“ გენერალურ დირექტორს ბატონ მერაბ მერკვილაძეს და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ტექრედაქტორს ნუგზარ სუარიძეს

დაბოლოს:

**როგორც ჟურნალისტი, რომელიც 12 წლის წინათ, 2011 წლის 26 მაისს, სააკაშვილის რეჟიმმა დამხვრიტა, მაგრამ ვერ მომკლა,** ჟურნალისტთა კავშირის დასამარების მოსურნე **გიორგი ჟორჟოლიანსა და მის ამფსონებს, მეგობარყოფილებსა თუ თანამზრახველებს** ვპირდები — **არ გაგივათ!** ღირსეული ჟურნალისტების წინააღმდეგ უღირს ომში თქვენც ისეთივე კრახი გელით, როგორიც სააკაშვილის ბოროტმა რეჟიმმა იწვნია!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

# დანაშაულის ტოლფასი იქნება!»

# ქართველ ქაჯთა



## ასეთი ჭკვიანები და პატრიოტები არიან ხაზარაძის ნაცვლიშვილი, გახარიას ბუჩუკური, ვაშაძის ყოფილი აქუბარდია, ნაცების ყოფილი დეკანოიძე და რესპუბლიკელების მოქმედი სამნიძე!

***დიდმა აკაკი წერეთელმა, მისი ცნობილი ლექსის მიხედვით, ქართველ ქალთა კრება მხოლოდ ერთხელ და ისიც სიზმარში ნახა, ჩვენ კი უკვე მერამდენედ და, თანაც ცხადში ვიხილეთ ქართველ ქაჯთა კრება.***

**ქართველ ქაჯთა მორიგ კრებას,** რომელიც 2023 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტში გაიმართა, ბრიფინგის სახე ჰქონდა და მასში **5 ოპოზიციონერი ქალი დეპუტატი მონაწილეობდა** — ხანდაზმული თაღლითების პარტია „ლელოს“ წევრი **ანა ნაცვლიშვილი,** გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ წევრი **ანა ბუჩუკური,** გიორგი ვაშაძის პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ყოფილი წევრი **თეონა აქუბარდია,** ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი **ხატია დეკანოიძე** და რესპუბლიკური პარტიის ლიდერი **ხათუნა სამნიძე,** რომელიც პარლამენტში მოხვდა საარჩევნო ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“.

**5 პოლიტიკური ქაჯის საგანგებო ბრიფინგი** რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას მიეძღვნა. მათ განაცხადეს, რომ რუსეთთან უვიზო რეჟიმისა და პირდაპირი ავიარეისების არსებობა საქართველოს ევროპასთან დააშორებს და ოკუპანტ რუსეთთან დააახლოებს. **ხანდაზმული თაღლითების პარტია „ლელოს“ წარმომადგენელ ანა ნაცვლიშვილს** თუ დავუჯერებთ, ***„შეუძლებელია, ქვეყანა, ერთი მხრივ, მიისწრაფოდეს ევროპისკენ და, მეორე მხრივ, დგამდეს ნაბიჯებს რუსეთის ორბიტაზე დასაბრუნებლად“.*** არანაკლებ ბრძნადმეტყველი გახლდათ ქართველ ქაჯთა კრების კიდევ ერთი მონაწილე **თეონა აქუბარდია,** რომელმაც განაცხადა, რომ ***„საქართველოს მთავრობა იღებს კრემლისგან საჩუქარს და ამით აშორებს საქართველოს ევროპულ მომავალს, საფრთხეს უქმნის ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს“.***

საბოლოო ჯამში, **ქართველ ქაჯთა კრებამ** საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, უარი უთხრას რუსეთს საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენაზე!

აბა, მოდით, ერთი კარგად გავშიფროთ და გავაანალიზოთ, რას ითხოვს **ქართველ ქაჯთა კრება** საქართველოს მთავრობისაგან?

**ქართველი ქაჯები** ითხოვენ, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის სანქციის მოხსნა და ცხოვრების გამარტივება არ დაუშვას!

უკეთ რომ ვთქვათ, **ქართველ ქაჯთა კრება** მოითხოვს, რუსეთის ხელისუფლების მიერ სანქციამოხსნილი საქართველოს მოქალაქეები საქართველოს ხელისუფლებამ დაასანქციროს და საკუთარ ხალხს ცხოვრება გაურთულოს!

**რუსეთის ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა 2019 წელს, ნაცების მიერ მოწყობილი პროვოკაციის — ე.წ. გავრილოვის ღამის გამო საქართველოს მოქალაქეების დასჯა გადაწყვიტა და მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით პირდაპირი ფრენები აკრძალა, მაგრამ ახლა, 4 წლის შემდეგ, როცა კრემლმა ამ შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტა, ქართველ ქაჯთა კრება წინააღმდეგია როგორც საქართველოს მოსახლეობას, ისე რუსეთში მცხოვრებ მილიონამდე ქართველს გადაადგილებისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნას.**

კერძოდ, **ქართველ ქაჯთა კრება — ნაცვლიშვილის, დეკანოიძის, სამნიძის, აქუბარდიასა და ბუჩუკურის შემადგენლობით** — დაინტერესებულია, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოში ჩამოსასვლელად და საქართველოში მცხოვრებ ქართველებს რუსეთში გასამგზავრებლად კვლავ ზედმეტი გზების დალაშქვრა, ზედმეტი დროის დაკარგვა და ზედმეტი ფულის დახარჯვა უწევდეთ.

**თუ რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე თბილისში ერევნის, ბაქოს ან ანკარის გავლით კი არ ჩამოაღწევს,** არამედ პირდაპირი ავიარეისით ჩამოფრინდება, ეს, თურმე, საქართველოს დასავლეთთან დააშორებს და ჩრდილოეთთან დააახლოებს!

**თუ საქართველოში მცხოვრებ ადამიანს რუსეთში მოსახვედრად სომხეთის, აზერბაიჯანის ან თურქეთის გავლა კი არ მოუწევს, არამედ მოსკოვში პირდაპირი რეისით გაფრინდება, ეს, თურმე, საქართველოს ევროპელ კუბილიუსთან დააშორებს და**

## ქართველ ქაჯთა კრება მოითხოვს, რუსეთის ხელისუფლების მიერ სანქციამოხსნილი საქართველოს მოქალაქეები საქართველოს ხელისუფლებამ დაასანქციროს!

### კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



რას ნიშნავს, არ ვიცოდით, ვინ შემოვიდა, რას ნიშნავს, რომ სანქცირებული და თან როგორი **სანქცირებული, ყველაზე მაღალი თანამდებობის პირის შვილი, იმ წრიდან, რომელიც უშუალოდ პუტინის წრეა, ჩამოდის ქვეყანაში და არ ვიცით?** გუშინ არ იცოდნენ, თურმე, რომ სააკაშვილი შემოსული იყო, დღეს არ იციან, რომ შემოდიან რუსები, როგორც უნდათ და სანქცირებული რუსები. ხელისუფლებას მოვუწოდებ, **საჩქაროდ შემოიტანონ ის სიები ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, თუ რომელი პირები არიან სანქცირებული და ამ სიებით ვიხელმძღვანელოთ საზღვარზე,** რომ არავინ შემოვიდეს.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილი** ისე იქნევს ამ **ვეტოს,** როგორც ხმალს.

„ახალი თაობა“

**სალომე სამადაშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



არ დასრულდება სანქცირება **მურუსიძე-ჩინჩალაძით,** წინ ბევრი საინტერესო მოვლენა გველოდება — **არავინ აპირებს, დაგითმოთ ეს ქვეყანა** არც თქვენ და არც **ბიძინა ივანიშვილს.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**რუსული ღია და უხეში კოლონიალიზმისაგან** განსხვავებით, **დასავლური კოლონიალიზმი** შენიღბულად გირტყამს — ამ ომს ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ.

„იმედინიუსი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**არ უნდა ჩამოვიდეს ლავროვის შვილი აქ, არ უნდა ჩამოვიდეს პოზნერი და არ უნდა ჩამოვიდეს მიხალკოვი,** რომელსაც ეახლა და ქედმოხრით ელაპარაკებოდა **სააკაშვილი.**

„იმედინიუსი“

# ვნახე კრება!



## რუს კალაშნიკოვთან დაახლოებს!

კი, ასეთია **ქართველ ქაჯთა ლოგიკა!**

კი, ამას ლაპარაკობენ **ქართველი ქაჯები** ჭკვიანი ქალების გამომეტყველებით!

კი, ასე წარმოუდგენიათ **ქართველ ქაჯებს** საქართველოს ევროპული ინტეგრაცია და რუსული დეოკუპაცია!

**ქართველი ქაჯები** იმასაც ამბობენ, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება უკრაინისა და თავისუფალი სამყაროს ღალატია! ამ ლოგიკით უკრაინისა და თავისუფალი სამყაროს უპირველესი მოღალატე ევროკავშირი გამოდის, რომელმაც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთთან ისეთი სავაჭრო ურთიერთობა გააჩაღა, რომ მარტო შარშან მისი სახელმწიფო ბიუჯეტი 300 მილიარდი დოლარით შეავსო!

თუ რუსეთთან პირდაპირი ავიარეისების არსებობა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება რუსეთუმეობასა და პუტინისტობას ნიშნავს, როგორც ამას **ქართველ ქაჯთა კრება** აცხადებს, მაშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები სულ მთლად ხელიდან წასული პუტინისტები ყოფილან, რადგან უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის დაწყების შემდეგ, 2022 წელს, ევროკავშირსა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვა 2,3 პროცენტით გაიზარდა!

თუ რუსეთთან უვიზო რეჟიმის არსებობა და იმპორტის გამარტივება საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, როგორც ამას **ქართველ ქაჯთა კრება** გვეუბნება, მაშინ რუსული საფრთხე ყველაზე მეტად ევროპულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ემუქრება, რადგან რუსეთთან ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა 110-ჯერ აღემატება რუსეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვას!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **ქართველ ქაჯთა** პოზიცია ასეთია: **თუ საქართველოს მოქალაქე რუსეთში უვიზოდ და პირდაპირი ავიარეისით გაემგზავრება, მაშინ საქართველო, რომლის წილიც რუსეთის სავაჭრო ბრუნვაში 0.3 პროცენტს შეადგენს, ვერ გახდება იმ ევროკავშირის წევრი, რომლის წილიც რუსეთის სავაჭრო ბრუნვაში 32 პროცენტია!**

**ე.ი. ქართველ ქაჯთა კრებას მიაჩნია, რომ ევროკავშირისაკენ გეზაღებულ საქართველოს უფლება არა აქვს, უკრაინაში შეჭრილ რუსეთთან პირდაპირი ფრენებით ისარგებლოს, ხოლო თავად ევროკავშირს თავისუფლად შეუძლია, უკრაინაში შეჭრილ რუსეთთან წელიწადში 300-მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვა ჰქონდეს!**

ასეთი ბრძენი ქალი ოპოზიციონერები გვყავს საქართველოს პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც!

ასეთი ჭკვიანები და პატრიოტები არიან **ხაზარაძის ნაცვლიშვილი, გახარიას ბუჩუკური, ვაშაძის ყოფილი აქუბარდია, ნაცების ყოფილი დეკანოიძე და რესპუბლიკელების მოქმედი სამნიძე!**

ბედნიერი კაცი იყო **აკაკი წერეთელი,** რომელიც სიზმარში **ქართველ ქალთა — თამარ მეფის, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის კრებას** ნახულობდა, მაგრამ უბედურია დღევანდელი საქართველო, რომელიც ცხადში უყურებს **ქართველ ქაჯთა — დეკანოიძის, ნაცვლიშვილის, ბუჩუკურის, სამნიძისა და აქუბარდიას კრებას!**

კიდევ ერთი: მართალია, ამა წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტში გამართულ **ქართველ ქაჯთა კრებაში** არ მონაწილეობდა, მაგრამ აუცილებლად მათ სათვალავშია შესაყვანი **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც 19 მაისს სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ დაწერა: **„არა რუსეთთან ფრენებს“.**

**ქართველ ქაჯთა კრების** სრულფასოვანი წევრი **სალომე ზურაბიშვილი** ჯერ კიდევ 2005 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, თბილისის იპოდრომზე შეკრებილ ხალხს ეუბნებოდა — **საქართველოში ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიანო!**

სამწუხაროდ, **ქაჯები** საქართველოდან დღემდე არ წასულან და ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლინება სწორედ **სალომე ზურაბიშვილის** პრეზიდენტობა გახლავთ!

***ჯაბა ხუბუა***

**ამა წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტში გამართულ ქართველ ქაჯთა კრებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ აუცილებლად მათ სათვალავშია შესაყვანი სალომე ზურაბიშვილი!**

### ნაწყვეტები აკაკის ლექსიდან „სიზმარი“

ერთხელ
მხოლოდ, —
ისიც ძილში, —
ქართველ
ქალთა
ვნახე კრება;
გეფიცებით,
მისი ნახვა
ახლაც ისევ
მენატრება!

ტახტზე იჯდა
თამარ მეფე,
მომხიბლავი,
ეშხიანი!..
მარცხნით
უდგა
თინათინი,
მარჯვნით —
ნესტან-
დარეჯანი.

გარს ეხვიენ
სხვა ქალებიც,
როგორც
მთვარეს
ვარსკვლავთ
კრება,
ცალ-ცალკე და
ყველა ერთად,
სიცოცხლე
და ნეტარება!..



**ბედნიერი კაცი იყო აკაკი წერეთელი, რომელიც სიზმარში ქართველ ქალთა – თამარ მეფის, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის კრებას ნახულობდა, მაგრამ უბედურია დღევანდელი საქართველო, რომელიც ყოველდღე ცხადში უყურებს ქართველ ქაჯთა კრებას!**

არც თამარი,
არც თინათინ,
აღარც ნესტან-დარეჯანი!..
აღარც ერთს არ ეტყობოდა
ქართველობის რამ ნიშანი!..

გული დამწყდა!..
გამეღვიძა,
ნაღვლიანად გამეცინა!..
ვთქვი:
— ნეტავი არ მენახა,
საუკუნოდ დამეძინა!..

### კვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



**სააკაშვილი რუსეთის მიმართ ყოველთვის პოზიტიურად იყო განწყობილი,** რასაც კარგად ნიღბავდა სიტყვიერი დაპირისპირებით. **მას ხელისუფლებაში მოსვლაში მოსკოვი დაეხმარა** — პუტინმა უშიშროების საბჭოს მდივანი **იგორ ივანოვი** გამოგზავნა „ვარდების რევოლუციის“ დროს და სწორედ მისი ჩამოსვლის მერე გადადგა **შევარდნაძე.** ნუ დაგვავიწყდება, რომ **ასლან აბაშიძე** იმავე ივანოვმა წაიყვანა მოსკოვში და **სააკაშვილს დაეხმარა, დაემყარებინა კონტროლი აჭარაზე,** რაც საქართველოსთვის უდავოდ დადებითი იყო. მოკლედ, **როგორც კი სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას რამე გაუჭირდებოდა, რუსეთი ყოველთვის ეხმარებოდა.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა ახვლედიანი**
*საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე*



დარწმუნებული ვარ, **სანქციები ისევ იქნება.** დასანქცირდებიან არამარტო მოსამართლეები, არამედ მათი მხარდამჭერი ჯგუფებიც. **სალომე ზურაბიშვილი** ქვეყნის სასიკეთოდ არ მოქმედებს.

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



არ მგონია, რომ მმართველი პარტია, პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, **5-პროცენტიანი ბარიერის დაწევაზე** წავიდეს, თუ „გარედან“ ძალიან ძლიერი ზეწოლა არ იქნა.

„საერთო გაზეთი“

# დროშა ვერ დაკიდეს,

***ამერიკის შეერთებულ შტატებს საკუთარი ბოგი წულაია რომ ჰყავდეს, გასულ კვირას აუცილებლად გამოვარდებოდა და დაიყვირებდა — „დროშა ვერ დაკიდეს ამ შობელძაღლებმა!“***



## კაპიტოლიუმზე ამერიკის დროშა თავდაყირა აღმართეს!

**კონგრესის შენობაზე დროშის უკუღმა აღმართვით იქნებ იმის თქმა სურდათ, რომ ერთ დროს სანაქებო და მისაბაძი ამერიკული დემოკრატია დღეს თავდაყირა დადგა?**

საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის, ანუ კონგრესის შენობის თავზე, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დროშა თავდაყირა აღმართეს. მოგეხსენებათ, ამერიკის დროშაზე ჰორიზონტალურად არის დატანილი 7 წითელი და 6 თეთრი ზოლი, ხოლო მარცხენა მაღალ კუთხეში გამოსახულია ლურჯი მართკუთხედი 50 ცალი თეთრი ვარსკვლავით, თუმცა, **კაპიტოლიუმზე დროშა იმდაგვარად დაამაგრეს, რომ ვარსკვლავებიანი ლურჯი მართკუთხედი ქსოვილის მარჯვენა დაბალ კუთხეში მოექცა.**

**კაპიტოლიუმის თავზე თავდაყირა აღმართული ამერიკის დროშა** მოქალაქეებმა თუ ოფიციალურმა პირებმა მალევე შენიშნეს და შეცდომა ოპერატიულად იქნა გამოსწორებული, თუმცა, უკუღმა მოფრიალე ალმისათვის ფოტოების გადაღება და სოციალურ ქსელში გავრცელება მაინც მოესწრო.

**კონგრესის თავზე სახელმწიფო დროშის უკუღმა აღმართვა** კაპიტოლიუმის ტექნიკური პერსონალის უნებლიე დაუდევრობას დაბრალდა, **სოციალური ქსელების მომხმარებლებმა კი უმალ გაიხსენეს აშშ-ის კოდექსი დროშის შესახებ, რომლითაც სახელმწიფო დროშის თავდაყირა აღმართვა ნებადართულია მხოლოდ უკიდურეს ვითარებაში, როცა ადამიანების სიცოცხლეს ან ქონებას განადგურების საფრთხე ემუქრება.** ასეთ დროს აშშ-ის სახელმწიფო დროშის თავდაყირა აფრიალება კატასტროფის მანიშნებელ სიგნალად ითვლება.

რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, **კაპიტოლიუმის თავზე დროშის თავდაყირა აღმართვა** მართლაც ტექნიკურ მოსამსახურეთა მექანიკური შეცდომის შედეგი ყოფილიყო, მაგრამ **ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ თუნდაც იგივე ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებს კონგრესის შენობაზე დროშის უკუღმა დამაგრებით თავიანთი პროტესტის გამოხატვა და როგორც თანამემამულეთათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის გარკვეული პოლიტიკური გზავნილის მიწოდება სურდათ.**

**კაპიტოლიუმის თავზე ამერიკის სახელმწიფო დროშა თავდაყირა** იქნებ იმის ნიშნადააფრიალეს, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში შეერთებული შტატების საქმე უკუღმა მიდის?

**კონგრესის შენობაზე დროშის უკუღმა აღმართვით** იქნებ იმის თქმა სურდათ, რომ ერთ დროს სანაქებო და მისაბაძი ამერიკული დემოკრატია დღეს თავდაყირა დადგა?

ამის ნიშნები ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა ისე მკაფიო და თვალსაჩინოა, როგორც არასდროს!

**ამერიკული დემოკრატიის თავდაყირა ამოტრიალების დრამატული მაგალითი** თუნდაც ის მოვლენებია, რასაც ბაიდენის ხელისუფლება **აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისა და მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ ატრიალებს. ავიღოთ თუნდაც ამა წლის 10 მაისს მანჰეტენის სასამართლოს მიერ **ტრამპის** მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ მწერალი **ელიზაბეთ ჯინ კეროლი** 27 წლის წინათ სექსუალურად შეავიწროვა. აღსანიშნავია, რომ **კეროლი** ტრამპს გაუპატიურებაში ადანაშაულებდა და ამბობდა — 1996 წელს მანჰეტენის ერთ-ერთი მაღაზიის გასახდელ ოთახში ჩემზე სექსუალურად იძალადაო, თუმცა, სასამართლომ ტრამპის მიერ ქალის გაუპატიურება ვერ დაამტკიცა, მხოლოდ სექსუალური შევიწროების მუხლით გაასამართლა და კეროლისათვის 5 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. **აშშ-ის ექსპრეზიდენტი დანაშაულის ჩადენას კატეგორიულად უარყოფს, მის წინააღმდეგ გამოტანილ სასამართლო განაჩენს სამარცხვინოს უწოდებს და ამბობს, რომ ეს არის „*ყველა დროის უდიდეს კუდიანებზე ნადირობის გაგრძელება*“.**

**ტრამპმა** რომ არ თქვას, მთელი მსოფლიოს საღად მოაზროვნე ნაწილი ისედაც შესანიშნავად ხვდება, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული სამართლებრივი დევნა წმინდა წყლის პოლიტიკური აქტია, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურება — მზარდი რეიტინგის მქონე ექსპრეზიდენტმა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრა ვერ შეძლოს ან, როგორც მინიმუმ, არჩევნებამდე მაქსიმალურად დისკრედიტებული და რეიტინგდამცრობილი მივიდეს!

**და ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც თავი დემოკრატიის მექად მოაქვს!**

**და ამას აკეთებს ხელისუფ-**




**ამერიკული დემოკრატიის თავდაყირა ამოტრიალების დრამატული მაგალითი თუნდაც ის მოვლენებია, რასაც ბაიდენის ხელისუფლება დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ატრიალებს!**



**ამერიკული დემოკრატიის საქმე უკუღმა და თავდაყირა რომ მიდის, ამას მოწმობს ტელეკომპანია „ფოქს ნიუსიდან“ ყველაზე რეიტინგული ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის გათავისუფლებაც!**

**ვუყურებთ ამერიკის ელჩს საქართველოში კელი დეგნანს, ვისმენთ მის სამარცხვინო განცხადებებს და თვალნათლივ ვხედავთ, რომ კაპიტოლიუმზე აღმართული ამერიკის დროშის მსგავსად, ამერიკული დემოკრატიაც თავდაყირა დგას!**



## ქვირგვინოსნები

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



მათ, ვინც სამშობლოს ყიდის, **რადიკალური ოპოზიცია კი არა,** პირდაპირ თავიანთი სახელი — **საქართველოს მტრები უნდა ვუწოდოთ.**

„საერთო გაზეთი“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*



დეგნანი პიონერ-ხელმძღვანელივით **ჭკუას გვასწავლის,** თან, ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს. **ის ქართველი ხალხი, რომლის სახელითაც დეგნანი ლაპარაკობს, ბუნებაში არ არსებობს.**

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მაშინ, როდესაც ქართველი ხალხის ბედით შეწუხებული **ელჩი დეგნანი გვირჩევს, რა გვესაჭიროება და ცხოვრების როგორი სტილი ავირჩიოთ,** აშშ-ის საელჩო ანსამბლ „მართვეს“ წევრებს ვიზებს არ აძლევს.

„იმედინიუსი“

**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



ქართველების უმეტესობა უფრო ბედნიერი იქნება, **პუტინი ჯარს თუ გაიყვანს** აფხაზეთიდან და ცხინვალიდან.

„რეზონანსი“

# გაიღვიძე, ბაიდენ!

ლება, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ დანარჩენ სამყაროში დემოკრატიის ექსპორტი მოახდინოს!**

ამერიკული დემოკრატიის საქმე უკუღმა და თავდაყირა რომ მიდის, ამას მოწმობს ტელეკომპანია „ფოქს ნიუსიდან" ყველაზე რეიტინგული ჟურნალისტის **ტაკერ კარლსონის** გათავისუფლებაც. ცხადზე უცხადესია, რომ მთელ მსოფლიოში პოპულარული და ათეულობით მილიონი ტელემაყურებლის ნდობით მოსარგებლე ტელეწამყვანის სამსახურიდან დათხოვნა მის მიერ კონსერვატიული და ანტილიბერალური შეხედულებების გამოხატვას უკავშირდება.

**ყოველივე ამის ფონზე, დიახაც, ძალიან სიმბოლურია, რომ აშშ-ის კონგრესის შენობაზე აშშ-ის სახელმწიფო დროშა უკუღმა აფრიალდა!**

იმისგან დამოუკიდებლად, კაპიტოლიუმის თავზე ამერიკის დროშის თავდაყირა აღმართვა უნებლიე შეცდომა იყო თუ გამიზნული ქმედება, თავისუფლად შეგვიძლია, ეს თავდაყირა დამდგარი ამერიკული დემოკრატიის ალუზიად ჩავთვალოთ.

სამაგიეროდ, **ამერიკული დემოკრატია თავდაყირა დამდგარს ნამდვილად არ ჰგავდა მაშინ, როცა კაპიტოლიუმის თავზე ამერიკის დროშა წალმა აღიმართა „ასავალ-დასავალის" 15 წლის იუბილეს აღსანიშნავად და მისი მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის პატივსაცემად.** ჩვენთვის ღირსშესანიშნავი და საამაყო ეს ფაქტი 2007 წლის 26 აპრილს მოხდა, რისი ინიციატორიც სახელოვანი რესპუბლიკელი სენატორი **ფრანკ ლაუთენბერგი** ბრძანდებოდა. **მერე რა, რომ კაპიტოლიუმის თავზე „ასავალ-დასავალის" პატივსაცემად აღმართული ამერიკის დროშა, რომელიც შესაბამის სერტიფიკატთან ერთად ვაშინგტონიდან საგანგებოდ გამოგვიგზავნეს, სააკაშვილის რეჟიმმა, ფიგურალურად თუ ვიტყვით, თავზე დაგვახია, როცა სულ რამდენიმე თვეში — 2007 წლის 10 აგვისტოს დაგვარბია და „ასავალ-დასავალის" რედაქცია ოფისიდან სადამსჯელო რაზმების გამოყენებით გამოგვასახლა...** ამის მიუხედავად, ჭეშმარიტი ამერიკისა და ნამდვილი ამერიკული დემოკრატიისადმი პატივისცემა დღემდე არ დაგვიკარგავს, მაგრამ საშინლად გვწყდება გული იმის გამო, რომ პოლიტიკურად მიხრწნილი ბაიდენის ხელისუფლებამ არამხოლოდ კაპიტოლიუმზე აღმართული ამერიკის დროშა, არამედ ამერიკული დემოკრატიაც თავდაყირა დააყენა!

**სხვა თუ არაფერი, ვუყურებთ ამერიკის ელჩის საქართველოში კელი დეგნანს, ვისმენთ მის სამარცხვინო განცხადებებს და თვალნათლივ ვხედავთ, რომ კაპიტოლიუმზე აღმართული ამერიკის დროშის მსგავსად, ამერიკული დემოკრატიაც თავდაყირა დგას!**

ეჰ, ნეტავი, ჰყავდეს ამერიკას ერთი **გოგი წულაია,** რომელიც გამოვარდებოდა და დაიყვირებდა — **„დროშა ვერ დაკიდენ ამ შობელძაღლებმა!"**

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამერიკას საკუთარი **გოგი წულაია** არ ჰყავს, მაგრამ ჰყავს საკუთარი ჩერნენკო — **ჯოზეფ რობინეტ ბაიდენი,** რომელსაც **დონალდ ტრამპმა** კარგა ხნის წინათ დაარქვა **„მძინარე ჯო"!**

ჰოდა, თავს მოვალედ ვთვლით, **მძინარე ჯოს** გოგი წულაიას სამშობლოდან შევუძახოთ — **დროშა ვერ დაკიდენ, გაიღვიძე, ბაიდენ!**

*ჯაბა ხუბუა*



კონსტანტინე ჩერნენკო



ჯო ბაიდენი



გოგი წულაია

**ამერიკას საკუთარი გოგი წულაია არ ჰყავს, მაგრამ ჰყავს საკუთარი ჩერნენკო – ჯოზეფ რობინეტ ბაიდენი, რომელსაც დონალდ ტრამპმა კარგა ხნის წინათ დაარქვა „მძინარე ჯო"!**

**ამერიკული დემოკრატია თავდაყირა დამდგარს ნამდვილად არ ჰგავდა, როცა კაპიტოლიუმის თავზე ამერიკის დროშა აღიმართა „ასავალ-დასავალის" 15 წლის იუბილეს აღსანიშნავად და მისი მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის პატივსაცემად. ჩვენთვის ღირსშესანიშნავი და საამაყო ეს ფაქტი 2007 წლის 26 აპრილს მოხდა, რისი ინიციატორიც სახელოვანი რესპუბლიკელი სენატორი ფრანკ ლაუთენბერგი ბრძანდებოდა!**




THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



თუ **კელი დეგნანისთვის** წყალგამყოფი რუსეთის უკრაინაში შეჭრაა, გამოდის, რომ **ან 2008 წლის აგვისტოს ომს პირადად სააკაშვილს აბრალებს, ან იმდენად ფეხზე ჰკიდია საქართველო,** რომ არც ომი ახსოვს და არც წარსული ისტორია.

„იმედინიუსი"

**იაროსლავ კაჩინსკი**
*პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერი*



ევროკავშირი ნამდვილად **არასწორი მიმართულებით** მიდის.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



პოლონეთის ლიდერი **იაროსლავ კაჩინსკი** აცხადებს, რომ **ევროკავშირი ნამდვილად არასწორი მიმართულებით მიდის.** არიქა, კაჩინსკი პუტინისტია!

„ტვიტერი"

**ლევან ჭოტორლიშვილი**
*გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსი, პროფესორი*



**სუვერენიტეტის დაკარგვა** ჩვენს დროში ნიშნავს იმას, რომ შენი საშუალებით სხვები დაიწყებენ ომს, **იქცევი საზარბაზნე ხორცის ფარშად** — იქნება ბევრი მედიაპროპაგანდა, ტყუილი, ნგრევა და სისხლი.

„იმედინიუსი"

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



მოხსნას აშშ-მა საქართველოსთან **სავიზო რეჟიმი,** შემოიღოს **პირდაპირი ფრენები** და გაგვიფორმოს **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.**

„იმედინიუსი"

# ავიაბილეთების შესაძენ რუსულ საიტზე ამიერიდან სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში ფიქსირდება,

## მოსკოვს კი ამის გამო შენიშვნა არ გამოუთქვამს!

***19 მაისს საქართველოსთვის ისტორიული მოვლენა მოხდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 13 საათსა და 50 წუთზე დაეშვა რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის" კუთვნილი ლაინერი, რომელმაც დიდი პაუზის შემდეგ მოსკოვიდან პირდაპირი რეისით A 4851 პირველი მგზავრები ჩამოიყვანა.***

ეს ფაქტი შედეგად მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის** გადაწყვეტილებას, გაეუქმებინა 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ საქართველოსთვის კრემლის მიერ დაკისრებული სანქცია და ამის კვალდაკვალ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და რუსეთიდან პირდაპირი ფრენები აღედგინა. **განკარგულებების გამოქვეყნების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ აუქმებს რუსეთის მოქალაქეებისთვის გაცემულ რეკომენდაციას, თავი შეიკავონ საქართველოში მოგზაურობისგან.**

ამიერიდან, რუსეთში გადახვეწილი მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე და საქართველოში დარჩენილი მათი ნათესავები ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რუსეთში სხვადასხვა მიზნით 90 დღემდე ვადით გამგზავრებას და უკან დაბრუნებას წვალების და იმ ზედმეტი მატერიალური ხარჯის გარეშე შეძლებენ, რასაც ვიზის მოსაპოვებლად და ტრანზიტული ფრენისთვის ხარჯავდნენ.

**შეგახსენებთ, რომ რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ფრენები 2006 წლის ოქტომბერში შეწყვიტა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმმა დასავლეთისთვის თავის მოსაქონად ე.წ. „ჯაშუშების სკანდალი" ააგორა და რუსი მაღალი ჩინის სამხედრო პირები დააპატიმრა. 2008 წელს ფრენები რამდენიმე თვით განახლდა, თუმცა, აგვისტოს ომის შემდეგ ისევ შეწყდა.**

ამიერიდან კი საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ, საკუთარი პროდუქტი ზედმეტი შეფერხებების გარეშე გაიტანონ რუსეთის ბაზარზე, რაც დიდი შვებაა ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ ამჯერად ყურადღებას იპყრობს ამ მოვლენის სხვა ასპექტი: **წლების განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს შორის ლამის ომის დაწყების ზღვრამდე დაძაბულ ურთიერთობებში დათბობის პერსპექტივა გამოიკვეთა! ეს არის რუსეთის კეთილი ჟესტი იმის პასუხად, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად მაინც გაუძლო დასავლეთიდან პროვოკაციულ ზეწოლას, ბრმად არ შეასრულა მილიტარისტების მითითებები, უკრაინაში ნატოს სამხედრო ბლოკთან ომში ჩართულ რუსეთს თავის მხრივ, მეორე ფრონტი არ გაუხსნა და მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა, რომ საქართველო ამიერიდან მისთვის საზიანო დირექტივებს აღარ შეასრულებს, დასავლეთის ვასალი და მარიონეტი აღარ იქნება!**

ეს ამბავი სააკაშვილის მმართველობის დროს რომ მომხდარიყო, ნაპრეზიდენტალი, ალბათ, თვითმფრინავს პირადად დახვდებოდა, ყველა მგზავრსა და ეკიპაჟის წევრებს აეროპორტიდან თავისუფლების მოედნამდე ხელში აყვანილს ატარებდა, საღამოს კი ტელეეთერებში იყიჟინებდა, რომ **„საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა!"** დიახ, ამას გააკეთებდა სააკაშვილი, რომელმაც აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი ცალმხრი-










*— გამარჯობა. მე ვარ* ***სამხრეთ ოსეთის მოქალაქე.*** *ქვეყნისა, რომელიც 2008 წელს ცნო რუსეთის ფედერაციამ. მსურდა, ჩემი ეროვნული პასპორტით შემეძინა თქვენს საიტზე ბილეთი, მაგრამ ვერ მოვიძიე ქვეყნების ჩამონათვალში* ***სამხრეთ ოსეთი.*** *რატომ და რა ვიღონო?*

*— გაგიმარჯოთ.* ***მიუთითეთ ქვეყანა საქართველო.*** *პატივისცემით, კარინა. ავიაკომპანია „აზიმუტის" კლიენტთა მხარდამჭერის განყოფილების სპეციალისტი.*

## კვირგვინოსნები

### ირაკლი ქარჩავაძე

*საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი*



საქართველოს **არცერთი აეროპორტი არ მოემსახურება არცერთ სანქცირებულ საავიაციო ხომალდს** ან ავიაკომპანიას.

„ინტერპრესნიუსი"

### თამაზ გაიაშვილი

*„ჯორჯიან ეარვეისის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე*



მივესალმები რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისთვის **სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის შესახებ** — ეს ნანატრი ნაბიჯები პასუხობს მილიონობით ადამიანის მისწრაფებებს.

„ინტერპრესნიუსი"

### მიხეილ სარჯველაძე

*პარლამენტარი*



თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სანქცირებული ბორტების მიღებას აპირებს? **ჩვენ უკვე ვთქვით, რომ აქ სანქცირებული ბორტები არ ჩამოვლენ.** ისე, მაინტერესებს, **ისრაელს აქვს სანქცირებული ბორტების მიღების უფლება?** მგონი, არა. არადა, რუსეთთან საჰაერო მიმოსვლა აქვს. **ალბათ, ისრაელის ხელისუფლებაზეც უნდა ბრაზობდნენ ვიღაცები შეერთებულ შტატებში ან ევროპაში.**

„კვირის პალიტრა"

### ალეკო ელისაშვილი

*„მოქალაქეების" ლიდერი, პარლამენტარი*



ღირსეული ქვეყნის ღირსეული მთავრობა **უარს იტყოდა ფრენებზე,** იტყოდა: **„მადლობა, მაგრამ დაგვიანებულია".**

„რეზონანსი"

### მამუკა მდინარაძე

*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



შეიძლება მარტო იმისთვის ღირდა ამ ფრენების აღდგენა, რომ **რუსულ კომპანიებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღარ მოეხსენიებინათ ცალკე რეგიონად.**

„იმედინიუსი"




## თბილისში იმართება დასავლეთიდან წაქეზებული „საპროტესტო“ აქციები გაუნათლებელი ლიბერასტების მონაწილეობით, რომლებმაც ე.წ. „მიაგკი ზნაკის“ (ь) და სხვა ასოების გამოყენების ადგილი და დანიშნულება არ იციან!

ვად გააუქმა, პირადად ხვდებოდა საზღვარზე რუს ტურისტებს, შემოსვლას ეხვეწებოდა. მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ — **ამჯერად საакაშისტებმა პოზიცია პატეფონის ფირფიტასავით გადააბრუნეს და რუსეთის ცალმხრივი კეთილი ჟესტი ახალი ოკუპაციის დასაწყისად მონათლეს. ცხადია, ისინი მხოლოდ დასავლეთის პროპაგანდის ინსტრუმენტები არიან, იმ დასავლეთისა, რომელიც რუსეთის კეთილი ჟესტის გამო ქართველი ხალხის წინაშე ბოლომდე გაკოტრდა. რუსეთმა, ფაქტობრივად, აშშ-ს და ევროკავშირს ნიღაბი ჩამოხსნა და ქართველ ხალხს მათი ნამდვილი სახე დაანახვა.**

ფაქტია, იმ ფონზე, როდესაც რუსეთი საქართველოს წინაშე მის მიერვე დაწესებულ შეზღუდვებს აუქმებს, საქართველოს სანქციებით უკვე მისი „პარტნიორი“ აშშ და ევროკავშირი ემუქრებიან. უფრო მეტიც — სჯიან კიდეც! ასე, მაგალითად, **ქართველ ყმაწვილებს, ანსამბლ „მართვეს“ წევრებს, რომლებიც ამერიკაში 12 ივლისისთვის დაგეგმილ ფესტივალზე გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, აშშ-ის საკონსულომ ვიზების გაცემაზე უარი უთხრა მარტო იმ მიზეზით, რომ ანსამბლის ერთ-ერთი წევრი მმართველი პარტიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის შვილია!**

საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების და პირდაპირი ავიარეისების აღდგენის კრემლის ნაბიჯი აშკარად გასცდა ოდენ „კეთილი ნების ჟესტის“ ფარგლებს და გაცილებით მნიშვნელოვანი ისეთი ქვეტექსტები გამოავლინა, რომელიც შეიძლება, ახლო მომავალში **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას** უკავშირდებოდეს. კერძოდ, რუსულმა ავიაკომპანია **„აზიმუტმა“**, რომელიც 19 მაისიდან საქართველოსკენ პირდაპირ რეისებს ახორციელებს, კომპანიის საიტზე ოკუპირებული ტერიტორიები: **აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც აქამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იყო მითითებული, ქვეყნების სიიდან საერთოდ ამოიღო.** აქვე გთავაზობთ ამასწინანდელ მიმოწერას კომპანიის წარმომადგენელსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეს შორის:

*— გამარჯობა. მე ვარ **სამხრეთ ოსეთის მოქალაქე.** ქვეყნისა, რომელიც 2008 წელს ცნო რუსეთის ფედერაციამ. მსურდა, ჩემი ეროვნული პასპორტით შემეძინა თქვენს საიტზე ბილეთი, მაგრამ ვერ მოვიძიე ქვეყნების ჩამონათვალში **სამხრეთ ოსეთი.** რატომ და რა ვიღონო?*

*— გაგიმარჯოთ. **მიუთითეთ ქვეყანა საქართველო.** პატივისცემით, კარინა. ავიაკომპანია „აზიმუტის“ კლიენტთა მხარდაჭერის განყოფილების სპეციალისტი.*

**ავიაკომპანია „აზიმუტი“ საკუთარ საიტზე შემდეგ განაცხადს აქვეყნებს:**

*„აზიმუტი“ **სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ სთხოვს,** რეგისტრაციისას მიუთითონ, რომ **ცხოვრობენ საქართველოში!***

**ანალოგიური დამოკიდებულებაა აფხაზეთთან დაკავშირებითაც — „დამოუკიდებელი აფხაზეთი“** გაქრა ავიაკომპანიის საიტზე ქვეყნების ჩამონათვალი ნუსხიდან. **ავიაბილეთების შესაძენ რუსულ საიტზე ამიერიდან სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში ფიქსირდება, მოსკოვს კი ამის გამო შენიშვნა არ გამოუთქვამს!**

**დიახ! ეს არის პირველი წარმატებული ნაბიჯი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დიად გზაზე!**

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მნიშვნელოვანი დისკომფორტია **„დამოუკიდებელი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის“** მოსახლეობისთვის და, მკითხველო, რას ფიქრობთ, ვინ ქომაგობს მათ? **ვინ და ქართველი ლიბერასტები და ნაცები!** აი, რას წერს ნაცების ერთ-ერთი სახე **დავით ქაცარავა,** რომელსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია, ხოლო „აზიმუტის“ საიტზე ქვეყნების ჩამონათვალის ნუსხიდან „აფხაზეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ ამოღებით გახარებული კი არა, შეშფოთებულია:

***— „მინდა მივმართო ოკუპირებულ აფხაზეთში და სამაჩაბლოში მცხოვრებ მოსახლეობას და ე.წ. სეპარატისტულ მთავრობებს — რუსებმა უცბად, ერთ საათში გაგაუქმეს! დასჭირდათ და ამოგაგდეს ე.წ. დამოუკიდებელი ქვეყნების სიიდან; გაგაფარჩაკეს რაღაც ავიაკომპანიის ინტერესების გამო. როდის მიხვდებით, რომ თქვენ რუსებისთვის ნული ხართ, ხურდა ფული, რომელსაც რუსებისთვის არანაირი ღირებულება არა აქვს და გაგცვლიან, გადაგაგდებენ მაშინ, როდესაც დასჭირდებათ! დღევანდელი მაგალითი ჯერ მცირე, მაგრამ მაინც, წესით, მინიშნება უნდა იყოს თქვენთვის! დადგება მომენტი და რუსები თხებივით გაგყიდიან. იფიქრეთ!“***

ამ მიმართვით **დავით ქაცარავა, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ რუსეთი საქართველოსთვის მართლაც აპირებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, რაც ნაციონალური მოძრაობის და ქართველი ლიბერასტების სრული ფიასკო იქნება!** ამიტომ, აფხაზებსა და ოსებს აფრთხილებს, რომ **რუსეთმა მათ „უღალატა“ და პრიორიტეტად საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება აირჩია!** პარალელურად, თბილისში იმართება დასავლეთიდან წაქეზებული „საპროტესტო“ აქციები გაუნათლებელი ლიბერასტების მონაწილეობით, რომლებმაც ე.წ. „მიაგკი ზნაკის“ (ь) და სხვა ასოების გამოყენების ადგილი და დანიშნულება არ იციან! როგორც არ უნდა გაისარჯონ, მოვლენები ამჯერად სრულიად სხვა მიმართულებით ვითარდება, რუსეთსა და საქართველოს შორის 3 ათეული წლის განმავლობაში გახისტებული ურთიერთობები აშკარად თბება და რბილდება!

ყველაფრის მიუხედავად, ქართველები არ ვართ ისეთი მიამიტები, ჩავთვალოთ, რომ 2-3 თვეში რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს. ამ შედეგამდე ჯერ კიდევ დიდი გზა არის გასავლელი და მრავალი გამოცდაა ჩასაბარებელი, **თუმცა, ისიც ფაქტია, რუსეთს არ უცდია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინვესტიციებიც არ განუხორციელებია, არადა, შეეძლო, უმოკლეს ვადაში აფხაზეთში შეექმნა ისეთი ინფრასტრუქტურა, რაც ამ ტერიტორიას ნამდვილ ედემად აქცევდა.** რუსეთს არც აფხაზეთის ეკლესიის მიერთება უცდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ტერიტორია მას თავისად არ შეუგულებია, არამედ, მისი ნამდვილი პატრონის — **საქართველოსგან შესაბამის დამოკიდებულებას და ნებას ელოდება, რათა კუთვნილი დაუბრუნოს...**

## რუსეთს ახლა განსაკუთრებით სჭირდება ამიერკავკასიის გავლით სამხრეთისკენ სარკინიგზო მაგისტრალით პარტნიორ ქვეყნებთან კავშირი, რასაც აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ აფერხებს და ჩნდება შანსი,

## საქართველოს რუსეთთან გარიგებისა: მაგისტრალი – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ!

რა თქმა უნდა, ეს არ შედის ევროკავშირისა და აშშ-ის ინტერესთა სფეროში, უფრო მეტიც — ასეთი გარიგება მათ სრულ ფიასკოს მოასწავებს. აი, რატომ აფუთფუთდნენ განსაკუთრებული გაშმაგებით დასავლეთიდან დაფინანსებული **უცხოური გავლენის აგენტები — ნაცები და ლიბერასტები!**

დიახ, დგება ჟამი, იკვეთება რეალური პერსპექტივა, საქართველო გამთლიანდეს და ეკონომიკურადაც წელში გაიმართოს. **ახლა ყველაფერი ქართველი ერის ნებაზე და ბრძნულ, სწორ არჩევანზეა დამოკიდებული!**

***ზაზა დავითაია***


ირაკლი კობახიძე შვილებთან ერთად

კვირგვინოსანი მსხვილი პლანით

### ირაკლი კობახიძე

*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

ანსამბლი **„მართვე“** მიდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბავშვებზეა საუბარი, **12, 11 და 14 წლის ბავშვი ამერიკაში ხომ არ დარჩება მარტო.** ყველაფერი დაორგანიზებული იყო ამერიკული მოწვევით. სტანდარტულად შეავსეს ერთბაშად განაცხადები და როცა ჯგუფია, მარტივად ხდება ეს ყველაფერი, **2 კვირაში, მაქსიმუმ, ერთ თვეში უნდა ჩაურტყან ვიზები. ივლისში უნდა ყოფილიყო გასტროლები და, საბოლოო ჯამში, უთხრეს, რომ ერთბაშად არ მოხდებოდა ვიზების გაცემა, სათითაოდ უნდა შეეტანათ,** აბსურდია. ვადები უთხრეს ნოემბრის ჩათვლით, როცა ივლისში იყო გასტროლები. **50 ბავშვი, მთელი „მართვე“ დატოვეს საქართველოში.** ასეთ რაღაცებს უნდა მიხედოს ამერიკის ელჩმა და არა იმას, რომ სხვა ქვეყანა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. მგონი, ჯობია, რომ **თვითონ გადადგან ასეთი ნაბიჯები, რაც უკავშირდება იმავე სავიზო რეჟიმის გამარტივებას, პირდაპირ ფრენებსა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერას,** თუმცა, გავიდა 30 წელი და ამაზე, სამწუხაროდ, საუბარიც არ არის.

„პირველი არხი“

## კვირგვინოსნები

### თამარ ჩიბურდანიძე

*„ხალხის ძალის“ წევრი*



რუსეთის ავიაკომპანია **„აზიმუტის“** მიერ **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოთა სიიდან ამოღება** იმ პროცესის დასაწყისია, რაზეც 30 წელია, ვოცნებობთ. ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია, რომ **რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ავიაკომპანია ამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა.**

„იმედინიუსი“

### სოზარ სუბარი

*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**უკრაინელი მოქალაქეებისთვის რუსეთში დღესაც უვიზო მიმოსვლაა და გაცილებით მსუბუქი პირობებით, ვიდრე ახლა საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესდა.** ზოგადად, შეჩვეულები ვართ, რომ ჩვენი ოპოზიცია ყოველთვის ყველაფერს აკეთებს, რათა **რამენაირად უმტროს საქართველოს ინტერესებს.**

„TV იმედი“

### ირაკლი ზარქუა

*პარლამენტარი*



**ჭიჭე ოფშორი ამბობს, არ შემოუშვათ რუსი ტურისტებიო და თვითონ აქირავებს თავის ქონებას რუსებზე.**

„იმედინიუსი“

*2023 წლის 16 მაისს ერთი წელი შესრულდა, რაც დააპატიმრეს და 3,5 წლით რუსთავის ციხეში გაამწესეს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ყოფილი პროკურორი და ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის გენერალური მდივანი ნიკა გვარამია.*

გვარამიას დაპატიმრების წლისთავზე მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი ციხეში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით ზის. სამართლებრივ კაზუისტიკაში რომ არ შევტოპოთ და იურიდიულ ტერმინთა რახარუხს არ მოვყვეთ, მარტივად ვიტყვით: **ნაცმოძრაობის მიერ მიტაცებული „რუსთავი-2“-ის დირექტორს ნიკა გვარამიას მოლოდინი ჰქონდა, რომ ქართული სასამართლოს სამი ინსტანციის გადაწყვეტილებას სტრასბურგის სასამართლოც ძალაში დატოვებდა და ტელეკომპანიას კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნებდა. სწორედ ამიტომ, მედიამენეჯერის ტყავში შემძვრალმა ნაპროკურორალმა გადაწყვიტა, ფინანსურად გაეკოტრებინა ტელეკომპანია, სანამ იგი კანონიერი მფლობელის საკუთრებაში გადავიდოდა. გვარამიას ეს საქმე წარმატებით გამოუვიდა და სხვადასხვა მაქინაციის გამოყენებით „რუსთავი-2“-ს 7 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა.**

ასე რომ, სულ ტყუილად იხოკავენ ლოყებს ქართველი ნაცლიბერალები და მათი უცხოელი მოკავშირეები, რომლებიც გვარამიას **„უდანაშაულო მედიამენეჯერად“** და **„ივანიშვილის რეჟიმის პოლიტპატიმრად“** რაცხავენ!

გვარამია ციხეში სწორად და კანონიერად ზის — იგი სისხლის სამართლის დამნაშავეა!

ამ ამბავში არასწორი და უსამართლო მხოლოდ ის არის, რომ გვარამია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ტელევიზიის დირექტორობისას ჩადენილი დანაშაულის გამო მისცეს, **მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობისას ჩადენილი დანაშაულები კი ხახვივით შეარჩინეს!**

**ალბათ, თავად გვარამიაც კმაყოფილია, რომ რეჟიმის პროკურორობისას ჩადენილი დანაშაულების გამო მრავალი წლით არ დააპატიმრეს და მარტო ტელევიზიის დირექტორობისას ჩადენილი დანაშაულისათვის გასამართლებულს მცირე სასჯელი აკმარეს. ამიტომაც, სააკაშვილივით სცენებს არ მართავს და თავს არ იმკვდარუნებს. ზის თავისთვის. ხანდახან ციხიდან წერილს გამოუგზავნის თავის მომხრეებს და სულ ეს არის.**

აი, მაგალითად, ამა წლის 16 მაისსაც, პატიმრობის წლისთავზე, **გვარამიამ რუსთავის ციხის 212-ე საკნიდან უსტარი გამოუგზავნა მეგობრებს, ახლობლებსა და გულშემატკივრებს, რომლებიც მის გასათავისუფლებლად იბრძვიან.** განსაკუთრებული არაფერი, წერს — ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ბრძოლას სტრასბურგში გავაგრძელებო! **ეს სტრასბურგით მუქარა მაგარი იციან! სააკაშვილსაც სტრასბურგის იმედი ჰქონდა — სამკურნალოდ თბილისიდან ვარშავაში გამიშვებსო, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ შემოუთვალა — ნურას უკაცრავადო!**

გვარამიასაც იგივე ელის — სტრასბურგი ეტყვის, სადაც ზიხარ, სწორად ზიხარო!

გვარამიას მიერ პატიმრობის წლისთავზე ციხიდან გამოგზავნილ წერილში თუ რამე საყურადღებო და საინტერესოა, ეს **ლევან ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი პასაჟი** გახლავთ. კერძოდ, სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პროკურორი მის მიერ 2007 წელს კრემლის აგენტად გამოცხადებულ ბერძენიშვილზე წერს:

> *„პერსონალური მოკითხვა და განსაკუთრებული სიყვარული **ბატონ ლევან ბერძენიშვილს.** ხომ ისევ „ყველაზე უკეთ“ ხართ, „როგორც ტანკი“? აბა, რა! მეც ეგრე! ყოჩაღად უნდა ვიყოთ, ბევრი საქმე გვაქვს წინ!“*

# ნიკა გვარამია — ლევან ბერძენიშვილს:
# ხომ ისევ «ყველაზე უკეთ» ხართ, «როგორც ტანკი»? აბა, რა! მეც ეგრე!



# ჰაიტ, თქვე

ე.ი. გვარამია ბერძენიშვილს სწერს — **შენც „ტანკი“ ხარ და მეც „ტანკი“ ვარო!**

ამ შემთხვევაში გვარამია მართალია — **ბერძენიშვილიც „ტანკია“ და თვითონაც „ტანკია“!**



**ორივენი მაგარი „ტანკები“ არიან!**

გვარამიას მიერ ჩადენილი უამრავი **„ტანკობიდან“** მარტო იმის გახსენება რად ღირს, 2007 წელს, ბოლშევიკური პროპაგანდის სტილში, დოკუმენტური ფილმი **„ნოემბრიდან ნოემბრამდე“** რომ გადაიღო, რომელშიც მთელი ქართული ოპოზიცია, **ლევან ბერძენიშვილის** ჩათვლით, კრემლის აგენტად გამოიყვანა!

აღარაფერს ვამბობთ **გვარამიას „ტანკობის“ ერთ-ერთ ყველაზე მონუმენტურ ეპიზოდზე,** როცა იგი, პროკურორის ამპლუაში, „რკინის არგუმენტით“ ამართლებდა „იმედის“ დარბევასა და დახურვას — **ეს ტელევიზია პოლიტიკურ პროცესებს მიკერძოებულად აშუქებდაო!** მიკერძოებულობის გამო ტელევიზიის დარბევის გამკანონებელი გვარამია მერე თავად გახდა ყველაზე მიკერძოებული ტელევიზიის დირექტორი, რაც მისი **„ტანკობის“** ერთ-ერთი დასტურია!

**გვარამიას „ტანკური“ ეპოპეიდან** ერთ-ერთი გამორჩეული ფრაგმენტია ისიც, როცა საკუთარი ტელეჯიხურის პირდაპირი ეთერიდან ქართველ მეღვინეებს მიმართა — **ჩაგიფსით ღვინოშიო!**

მოკლედ, გვარამიას პოლიტიკურ-ჟურნალისტური ბიოგრაფია ერთი დიდი **„ტანკობაა“,** თავად გვარამია კი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, შიგადაშიგ **„მეტანკეობასაც“** ახერხებს!

რაც შეეხება **ბერძენიშვილის „ტანკობას“,** აქაც მაგალითების ოკეანე გვაქვს, მაგრამ ყველას ჩამოსათვლელად დრო და ადგილი არ გვეყოფა. ან

**საიდან უნდა დავიწყოთ ბერძენიშვილის „ტანკური“ საქციელების ჩამოთვლა – „კაგებეს“ წინაშე დისიდენტობის მონანიებიდან და საკუთარი თანამებრძოლების დაბეზღებიდან თუ იქიდან, ნაცმოძრაობის ყველა ამომრჩეველი ჯალათად რომ გამოაცხადა, ცოტა ხანში კი თავად გახდა ნაცმოძრაობის ამომრჩეველიცა და პოლიტიკური თანამებრძოლიც?**

ან იქნებ ის გავიხსენოთ, **აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა** სექსუალურ მანიაკებად რომ შერაცხა, **ერეკლე მეფეს** საქართველოს მოღალატე უწოდა და **დავით აღმაშენებლის** ყველა შვილი და შვილიშვილი იდიოტად გამოაცხადა? იქნებ მარტო იმის გახსენებამაც იკმაროს, ლევან ბერძენიშვილმა **ხევსურები კანიბალებად რომ გამოიყვანა** — მტრისთვის მოჭრილ მარჯვენას ჭამდნენო! მართლა ძალიან შორს წაგვიყვანს **ბერძენიშვილის „ტანკობების“** ჩამოთვლა და არც არის საჭირო, რადგან ისედაც ყველამ იცის, რა **„ტანკიც“** ბრძანდება ეს ქართველ**ვა-**

# «ტანკმა» გვარამიამ «ტანკი»

## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*პარტია „კანონისა და სამართლის“ ლიდერი*



ეს **ხატია დეკანოიძე** დღეს რომ თავს იკლავს, **„მაშინ ცუდი ამბები ხდებოდა და ჩემთვის წითელი ხაზიაო“** და ახლა რომ აღმოაჩინა წითელი ხაზები, 2023 წელს, კი მაგრამ, **მაშინ რატომ არ გაგვიგია ერთი სიტყვა, მონაწილე რომ იყო, როგორც პოლიციის მაღალჩინოსანი და თავზე დიდი ქუდი ეხურა პოლიციელის, ან დარბევაზე, ან რაიმე დანაშაულზე.** ვაჰ, ეს შუბლის ძარღვი „მაყუთთან“ ერთად წყდება თუ ისედაც გაწყვეტილი აქვთ? ახლა ეს ბედავს, ეს **უტიფარი „პოლიციელი“ დეკანოიძე,** თითის გაშვერას, იმ თითის, აწეული რომ ჰქონდა, მაღალჩინოსანი რომ იყო და შვილმკვდარ დედებს რომ უქნევდა უტიფრად.

„რეზონანსი“

**ვახო შაქარიშვილი**
*კონსერვატიული პორტალის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი*



როდესაც საქმე რუსეთს ეხება, იქვეა ყველაზე „ფაქიზი ეროვნული თავმოყვარეობის“ მქონე **ლელა ხოშტარია,** რომელმაც დასჭექა: **„სისხლში ამოსვრილ თვითმფრინავებს“** არ შემოვუშვებო და წავიდა **„სისხლიანი რუბლების“** გადასახურდავებლად.

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



რას აპროტესტებს **ელენე ხოშტარია?** იმას აპროტესტებს, რუსეთიდან თვითმფრინავი რომ შემოდის, ხომ? **რუსეთიდან ფული რომ შემოდის, ეგ არ აღელვებს?** ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ **რუსეთიდან ფულს იღებს ქალბატონი ელენე,** იღებს უმტკივნეულოდ და ამ დროს საპროტესტო აქცია ელენეს ინიციატივით იმაზე, **თვითმფრინავი არ მივიღოთო,** არ ტოვებს გულწრფელობის წარმოდგენას. **აი, ამიტომ არ გაჰყვება მას ხალხი.**

„რეზონანსი“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ფული მარტო **ჯოჯოხეთს კი არ ანათებს,** ზოგიერთი **ოპოზიციონერის ტვინსაც აბნელებს.**

„ინტერპრესნიუსი“




ლევან ბერძენიშვილი „მთავარი არხის“ გადაცემა „შენი შუადღის“ თანაწამყვანის ამპლუაში

# «ტანკებო!»

ილიბერალთა გურუ!

**„ტანკო“,** ყოჩაღად უნდა იყო, წინ ბევრი საქმე გვაქვს! — წერს **„ტანკი“ გვარამია „ტანკ“ ბერძენიშვილს,** რომელიც, ყველა **„ტანკობასთან“** ერთად, ნაცსექტის პარტიული ტელევიზიის — „მთავარი არხის“ ოფიციალური თანამშრომელიც გახლავთ!

ნეტავი, რა საქმეები აქვთ წინ ამ **„ტანკებს“** — გვარამიასა და ბერძენიშვილს?

ნეტავი, კიდევ რომელი დიდი ქართველი, რომელი დიდი მწერალი, რომელი დიდი მეფე და საქართველოს რომელი კუთხის ხალხი დარჩათ გასალანძღი და ლაფში ამოსასვრელი?

**ნეტავი, კიდევ როგორ უნდა გამოუყონ „ტანკიდან“ ენა ღმერთსა და მართლმადიდებელ ეკლესიას?**

აკი, ერთმა **„ტანკმა“** — გვარამიამ მართლმადიდებლობა კორუფციასა და ჩამორჩენილობასთან გააიგივა, როცა თავის გადაცემაში განაცხადა:

> ***„მოდით, ჩამოვთვალოთ მართლმადიდებელი ქვეყნები — რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, სერბეთი, საბერძნეთი, დაქცეული, კორუფციისგან განადგურებული, დეგრადირებული ეკონომიკით და ხშირ შემთხვევაში, დემოკრატიითაც კი. ეს არ არის შემთხვევითობა, ჩვენ ჩამოვთვალეთ პრაქტიკულად ყველა მართლმადიდებელი ქვეყანა და პრაქტიკულად ყველგან ერთი და იგივე მდგომარეობაა“.***

მეორე **„ტანკმა“ ბერძენიშვილმა** „ფრანკლინის კლუბში“ საჯარო ლექციისას ახალგაზრდებს განუცხადა:

> ***„ჩვენ ახლა აბსოლუტურად კარგად ვიცით, როგორაა საქმე — ცა ცარიელია, ღმერთი არ არსებობს! არიან ვიღაცები, აქვთ ძველი წარმოდგენები და ჰგონიათ, რომ მაინც არსებობს, ისე, ახლა განათლებულმა სამყარომ, ძირითადად, ვიცით, რა ხდება. ყოველ შემთხვევაში, ევროპის უმეტესობას ასე ჰგონია, რომ ცა ცარიელია“.***

აი, ასეთი **„ტანკები“** არიან გვარამია და ბერძენიშვილი, რომელთაგან ერთს ჰგონია, რომ მართლმადიდებლობა დემოკრატიისა და ეკონომიკის მტერია, მეორე კი ქადაგებს, რომ, თუ ღმერთის არსებობის გჯერა, გაუნათლებელი ხარ!

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ეს **ორი „ტანკი“** ერთმანეთს ყვარობს, ერთმანეთს აქებს და ერთმანეთს ამხნევებს?

**გვარამიავ და ბერძენიშვილო, თქვე „ტანკებო“, ისემც გიქნიათ, ერთმანეთს ლულებით გადასკვნიხართ!**

ოღონდ საქართველოს თავი დაანებეთ!

**ოღონდ საქართველოს ნუ წაბილწავთ, თქვე „ტანკებო“, თქვენა!**

***ჯაბა ხუბუა***



ჯერ კიდევ როდიდან...

ლევან ბერძენიშვილი და მიხეილ სააკაშვილი



# ხმა ჩაიკმინდე, შე მიშჩანო!

***რევოლუციამდელ რუსეთში მეშჩანი წვრილ ვაჭარს ერქვა, შემდგომში კი ეს ტერმინი განზოგადდა და წვრილმესაკუთრული ინტერესების მქონე, პირად გამორჩენასა და სარგებელზე მოფიქრალი ადამიანის სინონიმად იქცა. რაც შეეხება ჩვენ მიერ წინამდებარე წერილში გამოყენებულ ცნებას — მიშჩანი — მასში კონკრეტულად ერთი სულიერი, მსჯავრდებული მიშა სააკაშვილი მოიაზრება.***

იქიდან გამომდინარე, რომ მიშას მსგავსი **მეშჩანი,** ანუ წვრილმესაკუთრე, ანგარებიანი და დღენიადაგ პირად სარგებელზე ორიენტირებული ტიპი ქართულ პოლიტიკაში იშვიათად ყოფილა, მისთვის **მეშჩანის** თიკუნი სრულებით ზედგამოჭრილია.

ჰოდა, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოპლაკულმა მიშამ საკუთარი **მიშჩანობა** კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა, როცა გასულ კვირას „ფეისბუქში“ დაწერა:

> *„ჯერ თბილისის და ბათუმის აეროპორტები ავაშენეთ* ***გიორგი ქარბელაშვილთან*** *ერთად. ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ახსოვს ქუთაისის აეროპორტი 2008 წელს, რუსეთის მიერ 500-კილოგრამიანი ბომბებით დაბომბილი კოპიტნარის მაგივრად რომ ავაშენეთ,* ***ვერა ქობალიას*** *და* ***რამაზ ნიკოლაიშვილის*** *აქტიური დახმარებით. ავიყვანეთ ჰოლანდიური არქიტექტორული კომპანია, ძალიან მეჩქარებოდა, რომ ამათ მოსვლამდე ამეშენებინა და საერთაშორისო სტატუსი მიგვეცა. უკვე ბევრჯერ ვნანობ ამ აეროპორტების არსებობას, პირველად ქართველების მასობრივად გასვლის გამო და ახლა რუსების შემოსევის ტრაგედიის გამო“.*

**მიშჩანმა სააკაშვილმა,** რომელსაც სტრასბურგის სასამართლომ სარჩელი არ დაუკმაყოფილა და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვებაზე უარი უთხრა, როგორც ჩანს, იფიქრა — ჩემი აფერისტობისა და სიმულანტობის აწ უკვე საერთაშორისო მასშტაბით დადასტურება რომ გადავფარო, მოდი, ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებ თავს, როგორც ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი მამა და ახალი დროის დავით აღმაშენებელიო! ჰოდა, ნახეთ, როგორ წერს — **ვნანობ, რომ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტები ავაშენეო!** აბა, რა — სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა და იბერიას გააბრწყინებდა, თვითმფრინავები საქართველოდან საზღვარგარეთ ვაგზლის მოედნიდან დაფრინავდნენ, ხოლო საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩამოფრენილ ბოინგებს დიდუბის ავტოსადგური იღებდა... **აბა, სააკაშვილამდე აეროპორტებიც არ გვქონია და სხვანაირად როგორ იქნებოდა? საერთოდ, სააკაშვილამდე საქართველო კარიკატურული ქვეყანა იყო, ქართველები კი — ბნელი ხალხი, რომლებიც ულვაშს არ იპარსავდნენ და აეროდრომის ფორმის ქუდები ეხურათ!** აი, თურმე, როგორ ყოფილა ჩვენი საქმე — **სააკაშვილამდე არ გვქონდა აეროპორტები, მაგრამ გვქონდა აეროდრომი ქუდები!**

თანაც, **მიშჩანი სააკაშვილი** ისე აცხადებს თავს აეროპორტების აშენებლად, ვითომ საქართველოს მოსახლეობას არ ახსოვდეს, მისი ხელისუფლების დროს გარემონტებულ თბილისის აეროპორტს ქარმა სახურავი რამდენჯერ ახადა და წვიმამ შიგ შენობაში რამდენჯერ დააყენა წყალუხვი მდინარე.

***გაგრძელება მე-14 გვერდზე***




მაქსიმ გორკის პიესა „მეშჩანები“

# ბერძენიშვილი მოიკითხა!

## კვირგვინოსნები



**დავით ჭიჭინაძე**
*პარტია „ტრიბუნის“ თავმჯდომარე*

თუ ევროკავშირი ამჯერადაც არ მოგვცემს სტატუსს, ის ამით **პუტინის წისქვილზე დაასხამს წყალს** და თვითონაც სერიოზული რეპუტაციული ზიანი მიადგება.

„ახალი თაობა“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*

ნახევარიც თუ მართალია, რაც **მელიამ** ილაპარაკა, მაშინ არც ვიცი, რა ვთქვა! თურმე **ადეიშვილის, მერაბიშვილისა და კეზერაშვილის** ტრიუმვირატი განაგებენ პარტიას და ნაცმოძრაობა გადასარჩენია. **ხაბეიშვილმა** სასიკეთოდ ვერაფერი შეცვალა, მით უფრო **სააკაშვილის სასარგებლოდ არაფერი გააკეთა.** პირიქით, სტრასბურგმა მთლად დაუსვა წერტილი სააკაშვილის იმედს. ასე თუ ისე, **„ოცნება“ მუშაობს, ოპოზიციას კი სძინავს.** ევროკავშირი **სტატუსს თუ არ მოგვცემს,** შეცდომას დაუშვებს.

„კვირის პალიტრა“



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

უმსგავსობა იყო, როცა **მძარცველი კეზერაშვილის** ტელევიზიით „ევროპელი სოციალისტების“ ვიცე-პრეზიდენტმა ნოტაციები უკითხა საქართველოს საზოგადოებას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ხმა ჩაიკმინდე, შე მიშჩანო!




დასაწყისი
მე-13 გვერდზე

## მიშჩანი სააკაშვილი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა განაგდო და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, ქართველებს საქართველოს ერთგულებისაკენ მოუწოდებს!

სააკაშვილის ჩართვა კლინიკა „ვივამედიდან“ სასამართლო დარბაზში და წარწერა მაისურზე „მე უკრაინელი ვარ“.

ნუ იტყვით და **მიშჩან სააკაშვილს,** თურმე, ის უწუხებს გულს, რომ საქართველოდან ქართველები მასობრივად გადიან ... ესე იგი — **როცა მე ვიყავი ხელისუფლებაში, საქართველოდან ემიგრაციაში არავინ მიდიოდა, ახალ კი, ამ ხელისუფლების პირობებში, ხალხი მასობრივად გარბისო** — ამის თქმა უნდა „ვივამედში“ მოკოტრიალე **მიშჩანს,** რომელიც, როგორც ყოველთვის, ახლაც ცრუობს, რადგან საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ ემიგრანტთა რიცხვმა სწორედ მისი ხელისუფლების დროს მიაღწია მანამდე არნახულ მასშტაბს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებს ეყრდნობა, სააკაშვილის მმართველობის დროს, 2004-2012 წლებში, საქართველოს უარყოფითი მიგრაციული სალდო 221 214 იყო, ანუ **სამშობლოდან წასული და ემიგრაციაში დარჩენილი ადამიანების რიცხვმა ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული ადამიანების რაოდენობას 221 214-ით გადააჭარბა.** სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013-2021 წლებში საქართველოს უარყოფითმა სალდომ **63 981** შეადგინა, ანუ ოთხჯერ შემცირდა ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ქვეყნიდან წავიდნენ და ემიგრაციაში დარჩნენ.

რაც შეეხება **მიშჩანი და აწ უკვე ევროპული სასამართლოს დონეზე მხილებული სიმულანტი სააკაშვილის** მოთქმას იმის შესახებ, თითქოს საქართველო რუსეთის მოქალაქეების „ტრაგიკულ შემოსევას“ განიცდის, ესეც წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია და მავნებლური დემაგოგიაა. **სხვა თუ არაფერი, კომიკურია, როცა რუსების „ტრაგიკულ შემოსევაზე“ ლაპარაკობს ის სააკაშვილი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა, რუს ტურისტებს საქართველოში სტუმრობისაკენ მოუწოდებდა და ლარსის საბაჟო პუნქტზე პირადად ხვდებოდა მათ.** უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიღო, რადგან ომგადატანილი საქართველოს დაქცეულ ეკონომიკას რუსული



### აი, რას ეუბნებოდა სააკაშვილი 2012 წელს საქართველოში ჩამოსულ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებსაც ლარსის საბაჟო პუნქტზე პირადად ხვდებოდა:

რუსეთის ყველა მოქალაქე, რომელიც მოდის ტურიზმისთვის, კარგი განზრახვებით, ბიზნესის საკეთებლად, გულითადად მოგესალმებით!

ტურისტული ნაკადები ჰაერივით სჭირდებოდა. მაშ, ახლა რატომღა შფოთავს გიულის ძე იმის გამო, რომ რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ფრენები აღადგინა? ეს ხომ რუსეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების ზრდას შეუწყობს ხელს და საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება? ჰოდა, სწორედ ამაშია საქმე

**– თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში არ არის, საქართველოს ეკონომიკასა და ქართველ ხალხს ხეირი არ უნდა დაადგეთ! წყალს და მეწყერს წაუღია საქართველო თავისი ეკონომიკითა და თავისი ხალხით, თუ ძალაუფლება სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელში არ იქნება!**

**თუ ქართული ეკონომიკა წინ წავიდა და საქართველოს მოსახლეობას ცხოვრება გაუ-**



**უმჯობესდა, სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელისუფლებაში დაბრუნების ისედაც ნულოვანი შანსი სულ მთლად მინუსებში გადავა!** აი, ეს აწუხებს სააკაშვილს და მეტი არაფერი! აი, ამიტომ არის სააკაშვილი **უკანასკნელი მიშჩანი** და წვრილმესაკუთრე!

იმავე ფეისბუქ-პოსტს **მიშჩანი სააკაშვილი** ქართველებისადმი დიდაქტიკური მიმართვით ამთავრებს:

> ***„ქართველებო, არამხოლოდ უკრაინელებს არ უნდა უღალატოთ, რომელთაც ჩვენთვის არასოდეს უღალატიათ, არამედ, პირველ რიგში, საქართველოს ერთგულები უნდა დარჩეთ“.***

აქ რა უნდა ქნას ნორმალურმა კაცმა, ჰომეროულად გადაიხარხაროს თუ გულამოსკვნით ატირდეს?

**მიშჩანი სააკაშვილი,** რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა განაგდო და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, ქართველებს საქართველოს ერთგულებისაკენ მოუწოდებს!

**მიშჩანი სააკაშვილი,** რომელმაც ქართული პასპორტი უკრაინულ პასპორტზე იმის გამო გაცვალა, რომ ოდესის გუბერნატორის პოსტი დაეკავებინა, ქართველებს არიგებს ჭკუას, საქართველოს არ უღალატოთო!

**მიშჩანი სააკაშვილი, რომელმაც ქართული ენა უარყო, საკუთარ სასამართლო პროცესებზე უკრაინულად ალაპარაკდა და მაისურზე დაიწერა „მე უკრაინელი ვარ“, ქართველებს ასწავლის, როგორ უნდა მოექცნენ საქართველოს!**

ასეთ წვრილმესაკუთრესა და პოლიტიკურ ვაჭრუკანას, ასეთ უტიფარსა და ურცხვილოს ვერაფერს ვეტყვით, ვერაფერს შევაგონებთ და ვერაფრისკენ მოვუწოდებთ, გარდა ერთისა — **ხმა ჩაიკმინდე, შე მიშჩანო!** შენნაირ **მიშჩანებსა** და **მეშჩანებს** ქართველების წინაშე ხმა არ ამოეღებათ!

***ჯაბა ხუბუა***

## კომიკურია, როცა რუსების „ტრაგიკულ შემოსევაზე“ ლაპარაკობს ის სააკაშვილი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა და ლარსის საბაჟო პუნქტზე პირადად ხვდებოდა რუს ტურისტებს!

# ვენერალისიმუსი

№27 (195) ★ 2023 წლის 22 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან




**იაკობ კედმი**

# ვისი სახელი და როლი არ უხსენებიათ ამ გამარჯვებაში? უმაღლესი მთავარსარდლის!!!

*გამარჯვების დღე იყო ამასწინათ, დიადი გამარჯვების მორიგი წლისთავი.* ***ვისი სახელი არ უხსენებიათ ერთხელაც კი? ვისი როლი არ უხსენებიათ ამ გამარჯვებაში? უმაღლესი მთავარსარდლის!!! არ ყოფილა იგი, არა!*** *და მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ყველა ქალაქში, მათ შორის, პარიზში, არის* ***სტალინგრადი. რომელ ქვეყანაში არ არის ქალაქი სტალინგრადი?*** *თქვენს ქვეყანაში!* ***რომელ ქვეყანაშია სტალინის სახელი ისტორიიდან ამოძირკვული?*** *თქვენს არმიაშიც კი რცხვენიათ, ახსენონ ეს სახელი, თუნდაც ომზე ლაპარაკობდნენ... მაშ, რაღა გინდათ?*

თქვენი შვილები დღემდე სწავლობენ ყალბ ისტორიას. თუნდაც **სოლჟენიცინის** წიგნებში არის 90 პროცენტი სიცრუე და ჭორი, მაგრამ ისინი რეკომენდებულია! მაგრამ განა შეიძლება, რეკომენდაცია გაუწიო ტყუილს, როგორც ლიტერატურას, და ისე მიაწოდო ბავშვებს? **რა გსურთ ამით? და რა იციან თქვენმა შვილებმა თქვენს ქვეყანასა და ხალხზე? რაზე ესაუბრებოდნენ მასწავლებლები?**

სტალინური ტერორიო... **სტალინი შემორჩა მხოლოდ ტერორით და სხვა არაფერი ყოფილა? მეტი არაფერი გაუკეთებია მას ამ სახელმწიფოსათვის? და შეუსწავლია კი ვინმეს ეს სტალინური ტერორი? ვინმეს გაუანალიზებია მისი ეტაპები, მიზეზები?** რამდენი ადამიანი იყო რეპრესირებული უკანონოდ და რამდენი — კანონიერად? და როდესაც დაიწყო რეაბილიტაცია, როგორ მიდიოდა ეს პროცესი? — **ისეთივე მეთოდით, როგორც ხდებოდა ამ ადამიანების დაპატიმრება — გეგმიურად!** ჰკითხეთ მათ, ვინც ამას ახდენდა — გასცეს განკარგულება და ყველა — მათ შორის, ბანდიტები, მკვლელები, ჯაშუშები, დივერსანტები რეაბილიტაციას დაექვემდებარა უკანა რიცხვით! **ამიტომაც გვყავს ამდენი რეაბილიტირებული, ამიტომაც გვყავს ამდენი უდანაშაულო მსჯავრდებული...** თქვენთან ხომ ისტორიას სერიოზულად არავინ იკვლევს და დღევანდლამდე ასე გრძელდება!

**რა იციან თქვენმა ბავშვებმა თქვენს ქვეყანაზე, რა იციან კარგი მის შესახებ? არაფერი! მხოლოდ ის, რაც ასწავლეს.** თუნდაც **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი** ავიღოთ. იმეორებენ სიტყვა **„პაქტს“** ის ადამიანებიც კი, ვინც პროპაგანდითაა დაკავებული. არადა, **პაქტი** მოიგონეს ანტისაბჭოელებმა, სინამდვილეში კი ხელშეკრულება გახლავთ — ისევე, როგორც მიუნხენის ხელშეკრულება, პოლონეთის ხელშეკრულება, საფრანგეთის ხელშეკრულება... მაგრამ უნდა დაერქვას **პაქტი,** რადგან თქვენ არაფერი გესმით პროპაგანდის, თქვენ არ ანიჭებთ მნიშვნელობას ამა თუ იმ სიტყვას. **თქვენ არ იცავთ არც საკუთარ ღირსებას და არც საკუთარ სიმართლეს! არადა, ტყუილისათვის უნდა დასაჯო, ხოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც სიცრუეს ღაღადებენ, არ უნდა იქნეს გამოყენებული, მასწავლებელი, რომელიც ცრუობს, არ უნდა იქნეს დაშვებული ბავშვებთან.** არ შეიძლება, ადრეული ასაკიდანვე აზიარო ისინი თვალთმაქცობას, ტყუილს, ორსახოვნებას, **მაგრამ თქვენ ამას სჩადიხართ!**

უნივერსიტეტში იყო ამასწინათ ასეთი ფაქტი — პედაგოგი ითხოვდა ისტორიის მისეულ ინტერპრეტაციას, მაგრამ, როდესაც სტუდენტმა უთხრა, რომ მისი მოსაზრებები არ შეესაბამება სინამდვილეს, განუცხადეს: — **არა, შენ დაწერ ზუსტად ისე, როგორც გეუბნები!** და როცა სტუდენტმა უარი თქვა ამაზე, გადაწყდა მისი გარიცხვა. და თქვენმა სასამართლომაც დაადასტურა, რომ პედაგოგი მართალია, როცა თავის სტუდენტებს აიძულებს, ისწავლონ სიცრუეზე იმიტომ, რომ მას ასე სურს! და რაღა გიკვირთ, რომ ამის შედეგად სწორედ ამდაგვარი ადამიანები აღიზრდებიან.

**ნაპოლეონი** სახელგანთქმული პიროვნებაა, თვით თქვენისთანა ფსევდოსიმართლის მოყვარულთათვისაც კი. არადა, ნაპოლეონი იყო ყველაზე სასტიკი ფიგურა. ერთი მაგალითი: როცა ის უკან იხევდა აკოდან ***(ყოფილი აკრა. დღეს ქალაქი ისრაელში. რედ.),*** როგორი ბრძანება გასცა? — **საფრანგეთის არმიის ყველა დაჭრილი მებრძოლი მისიკვდილდეს! იმიტომ, რომ ისინი აფერხებდნენ უკუსვლას.** დიახ, ნაპოლეონმა საკუთარი ჯარისკაცების განადგურება მოითხოვა — ყველასი, ვისაც აღარ შეეძლო სიარული. დიადი მხედართმთავარი, ხალხის მამა, საფრანგეთის გმირი პანთეონშიც განისვენებს. არაფერ ცუდს მის შესახებ არ ამბობენ. ფრანგები პატივისცემით ეპყრობიან. **მარატსაც** პატივისცემით ეპყრობიან, **რობესპიერსაც,** საფრანგეთის დიდ რევოლუციასაც, რომელმაც სისხლით მორწყო ჯერ საფრანგეთი და შემდეგ — ევროპა. იაკობინელთა ტერორი, რომელიც იყო ყველაზე საზარელი ტერორი ისტორიაში... მაგრამ მაინც საფრანგეთის ჰიმნი არის „მარსელიოზა“ და საფრანგეთის დროშაც არის ის დროშა, რომელიც მათ აღმართეს და დღემდე არ შეუცვლიათ. **მათ არ შეუცვლიათ ჰიმნი! მათ არ შეუცვლიათ თავისი ისტორია! მათ არ მიუსადაგებიათ ისტორია პოლიტიკური კონიუნქტურისათვის!**

რომელ ქალაქში გამოვიდა სიტყვით **ლავროვი?** როცა თავად **ვოლგოგრადის** მცხოვრებთაც კი რცხვენიათ ამ სახელწოდების? არ არის და არ იყო ასეთი ქალაქი არასოდეს რუსეთში. ესაა სირცხვილი ამ ქვეყნისათვის. **ესაა სირცხვილი მათთვის, ვინც ამ ქალაქს იცავდა.**

## უცხოელები პატივს სცემენ სტალინგრადს, ეს არამარტო სტალინის ქალაქია, არამედ რუსეთის სიმბოლოც არის. სიმბოლოების გადარჩევა დაუშვებელია. ამიტომაც აქედან უნდა დავიწყოთ!

სანამ თქვენ არ ეტყვით საკუთარ მოქალაქეებს სრულ სიმართლეს ცუდზეც და კარგზეც, იმის შესახებ — რა ითვლება დანაშაულად და რა ითვლება მიღწევად, სანამ არაფერს მიაჩუმათებთ და არავის დაადუმებთ, ეს ტკივილია! **სანამ იმ მოვლენას, რომელიც თქვენს ქვეყანაში ოქტომბერში მოხდა, ბადატრიალებას უწოდებთ, ვერასოდეს მიხვალთ საფრანგეთის დონემდე, სადაც დღემდე საფრანგეთის დიდი რევოლუცია კვლავ საფრანგეთის დიდი რევოლუციაა!** თუნდაც ამის სწავლა გვმართებს! და სანამ არც **ტროცკის** როლი, არც **ბერიას** როლი არ შეფასდება ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო თავისი უარყოფითი მხარეებით, რათა ვერავინ შეძლოს თქმა — აქაოდა, მე მხოლოდ ჭორები ვიციო, — არაფერი გამოვა! არადა,

## ბერია რომ არ ყოფილიყო, არ გექნებოდათ ბირთვული იარაღი. თქვენ მოვალენი ხართ, ემადლიერებოდეთ მხოლოდ ამ ადამიანს, რომ არსებობთ, როგორც სახელმწიფო.

მთელ საბჭოთა კავშირში არავის შეეძლო ამის ორგანიზება. **მაგრამ რა ბრალდება წაუყენეს ბერიას? ინგლისის ჯაშუში!.. ინგლისის ჯაშუში!!!** და განაჩენი ძალაში დატოვეს. **ვასილი სტალინი** რისთვის გაასამართლეს ამ დემოკრატებმა? ჰა? და **შვილი** რიღასთვის გაასამართლეს? რატომ გამოკეტეს ციხეში? ან სუდაპლატოვი რისთვის იჯდა ან მისი მეგობრები, რომლებიც ... **ქვეყანა ვალშია მათ წინაშე თავისი არსებობით და ლაპარაკობს ამაზე ვინმე?**

*სოლოვიოვი მიანიშნებს — საუბარი უნდა დავამთავროთო. კედმი კი დასძენს:* — **ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! დაიცავით სიმართლე!!!**




***იაკობ კედმი (იაკობ იოსების ძე კაზაკოვი.*** *დაიბადა 1947 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალებამდე ზუსტად 6 წლით ადრე). წარსულში ისრაელის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ორგანიზაცია „ნატივის“ ხელმძღვანელი (1992-1999), რომელიც სპეციალიზებული იყო ებრაელებთან კავშირებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში. 1969 წელს მოახდინა ალია ისრაელში, 1973 წელს მონაწილეობას იღებდა ე.წ. „განკითხვის დღის“ ომში, სხვა არაერთ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. დაამთავრა თელ-ავივის უნივერსიტეტი და სახელმწიფო უშიშროების კოლეჯი. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატის თანამდებობის საფარქვეშ იყო სპეცსამსახურის თანამშრომელი.*
*2010 წლიდან რეგულარულად გამოდის რუსეთის ტელევიზიასა და რადიოში პრორუსული პოზიციებით. ხშირად ჩნდება* ***ვლადიმერ სოლოვიოვის საავტორო პროგრამაში.*** *1978 წლიდან გადავიდა ივრითულენოვან გვარზე —* ***კედმი.***

# „ასეთი რაღაცები სტალინს არასოდეს გამოეპარებოდა!“

**ისტორიკოსის თვალით**

# სვიმონ მასხარაშვილი: ბერია თავისივე

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ლავრენტი ბერიას დამხობისა და პირადი ტრაგედიის განმაპირობებელ კონკრეტულ მიზეზებს ასახელებს და აცხადებს, რომ ფენომენალური უნარებისა და ჭკუა-გონების პატრონი ბერია საკუთარ შეცდომებს ემსხვერპლა:***

— **„სმერშ“**-ად წოდებული სამხედრო კონტრდაზვერვა, რომელსაც ომის დაწყების დღიდან ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ უნიჭიერესი **ვიქტორ აბაკუმოვი** ჩაუყენეს სათავეში, უშიშროების კომიტეტს საერთოდ არ ექვემდებარებოდა და პირადად სტალინის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ბელადი რამდენიმე წყაროდან იღებდა საჭირო ინფორმაციას; მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ინფორმატორი გახლდათ სწორედ „სმერშ“-ი, რომლის აბრევიატურაც ცნობილი ლოზუნგის — **„სმერტ შპიონამ“**-ის კომპილაციას წარმოადგენს. „სმერშ“-ი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ელიტური და უძლიერესი სპეცსამსახური გახლდათ. ცხადია, ახალგაზრდა **ვიქტორ აბაკუმოვი** ბერიას მმართველობის მეთოდებსა და სტილს არ იცნობდა და **ვსევოლოდ მერკულოვისგან** განსხვავებით, რომელსაც დედა ქართველი ჰყავდა, არც კავკასიელი იყო და არც ლავრენტი პავლოვიჩის მეგობარი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ **ვიქტორ აბაკუმოვმა და ალექსანდრე გოლოვანოვმა,** რომელიც ომის დაწყების წინ, ფაქტობრივად, არავინ იყო და 1944 წელს უკვე საბჭოთა კავშირის შორეული ავიაციის მთავარი მარშალი გახდა, უმოკლეს დროში თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთეს. ერთიც და მეორეც ექვემდებარებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ სტალინს და მზისქვეშეთში ვერც ბერია და ვერც სხვა ვინმე მათ დავალებას ვერ აძლევდათ. დიახ, **აბაკუმოვი და გოლოვანოვი** შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროებას არ ემორჩილებოდნენ და ისინი პასუხისმგებელი იყვნენ მხოლოდ სტალინის წინაშე. სტალინი კი ნიჭიერ ადამიანებს და ახალგაზრდებს განსაკუთრებით წყალობდა... ამიტომ რა გასაკვირია, რომ იმდენ უნიჭოსა და რეგვენს შორის, როგორებითაც სავსე იყო პარტიული აპარატი, სამხედრო უწყება და, საერთოდ, ქვეყნის მმართველი ელიტა, უნიჭიერესი და ახოვანი **ვიქტორ აბაკუმოვი, ვსევოლოდ მერკულოვი და კონსტანტინე როკოსოვსკი** სტალინმა სხვებისგან გამოარჩია! სხვათაშორის, სამივე იყო ღირსეული პიროვნება... აბაკუმოვზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც დახვრიტეს, ვერც ალექსანდრე გოლოვანოვსა და ვერც კონსტანტინე როკოსოვსკის ხრუშჩოვმა და მისმა გიენებმა სტალინზე ერთი ცუდი სიტყვა ვერ დააცდენინეს. ორივემ, ფაქტობრივად, სტალინს შეწირა ჯანმრთელობაც, კარიერაც და სიცოცხლეც!

**— საბჭოთა კავშირის უშიშროების ყოფილი მინისტრი ვიქტორ აბაკუმოვი უშიშროების იზოლატორში გატყდა და სტალინზე აუგი თქვა?**

— არა, ვაჟკაცი **აბაკუმოვი** ვერ გატეხეს! ბუნებაში არ არსებობს **ვიქტორ აბაკუმოვის** ჩვენება არც სტალინისა და არც ბერიას წინააღმდეგ! ეს ულამაზესი, უნიჭიერესი და ორმეტრიანი **ვიქტორ აბაკუმოვი** ხრუშჩოვმა და მისმა ჯალათებმა საშინლად აწამეს, მაგრამ სტალინსა და ბერიაზე სიტყვა ვერ დააცდენინეს! აბაკუმოვი 1954 წლის 19 დეკემბერს 46 წლის ასაკში დახვრიტეს!

**— ვიქტორ აბაკუმოვი რეალურად რას ან ვის გადაჰყვა?**

— აბაკუმოვი გადაჰყვა **გიორგი მალენკოვსა** და პოლკოვნიკ **მიხეილ რიუმინს.** მოგეხსენებათ, **მალენკოვმა და რიუმინმა** შეთითხნეს „ექიმთა საქმე“ და პოლიტბიუროზე ისე წარმოაჩინეს, თითქოს უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი საქმის კურსში იყო კრემლში მკვლელი ექიმების არსებობის შესახებ, რომლებმაც სტალინის უახლოესი მეგობარი **ანდრეი ჟდანოვი** მოკლეს... ჟდანოვი გარდაიცვალა 1948 წლის 31 აგვისტოს, ხოლო 1952 წლის მიწურულს მისი მკურნალი ექიმის **ლიდია ტიმოშუკის** ჩვენების საფუძველზე საბოლოოდ შეითხზა „ექიმთა საქმე“. საგულისხმოა, რომ **ვიქტორ აბაკუმოვის** გაწირვა და დაპატიმრება, დიდი ალბათობით, ემთხვევა სტალინის ერთ-ერთ უკანასკნელ ინსულტს, როცა ბელადი ქმედუუნარო იყო და ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობის გამო სიტუაციას ვერ აკონტროლებდა.

მოგეხსენებათ, **ვიქტორ აბაკუმოვი** 1951 წლის 9 აგვისტოს **სემიონ იგნატიევით** ჩაანაცვლეს, რომელიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს სტალინის გარდაცვალების დღემდე, 1953 წლის 5 მარტამდე, ინარჩუნებდა. ლავრენტი ბერიას აბაკუმოვის დასაცავად თავი დიდად არ შეუწუხებია, რადგან აბაკუმოვი მისი კაცი არ იყო...

**— გასაგებია, რომ 1946 წლიდან ბერია უშიშროებას ველარ აკონტროლებდა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროში რა ხდებოდა? ბოლოს და ბოლოს, 1953 წლის 5 მარტს ბერია ხომ შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა და უშიშროებაც დაიქვემდებარა?**

— 1946 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტრო უშიშროების კომიტეტის დუბლირებული ვარიანტი იყო. ომის დროს საბჭოთა მილიცია სახანძრო სამსახურის დანამატი არ ყოფილა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავდა თავისი ჯარები, უწყება დასდევდა სპეკულანტებს, აგენტებს, კრიმინალებს... თეირანში, იალტასა და პოტსდამში სტალინის დაცვა უზრუნველყო სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც მაშინ **ბერია** ხელმძღვანელობდა.

სხვათაშორის, **სერგეი კრუგლოვი** ჯერ კიდევ 1943 წელს მოხვდა თვალში **უინსტონ ჩერჩილს** და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ძალიან გამოცდილი და ვერაგი პოლიტიკოსი იყო, თავიდანვე ჩააგდო განხეთქილების მარცვალი საბჭოთა სპეცსამსახურებში, როცა სხვებისგან მაინცდამაინც **კრუგლოვი** გამოარჩია და საპატიო სახელმწიფო ჯილდოთი დააჯილდოვა. საქმე ის გახლავთ, რომ 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე **სერგეი კრუგლოვს** დავალებული ჰქონდა ბრიტანეთის დელეგაციის დაცვა. ჩერჩილმა კრუგლოვს ისეთი მაღალი ხარისხის ჯილდო მიანიჭა, ბრიტანეთში რომ ეცხოვრა, **„სერ“ კრუგლოვი** გახდებოდა. არადა, ამ დროს კრუგლოვი ბერიას მოადგილე იყო და თუ ვინმეს ასეთი მაღალი რანგის ჯილდო ეკუთვნოდა, ალბათ, სწორედ ბერიას. მაგრამ ჩერჩილის ქვეწარმავლური ბუნება და შორსმჭვრეტელობა იმაში გამოვლინდა, რომ **სერგეი კრუგლოვის** ხასიათი, როგორც ჩანს, კარგად შეისწავლა და ჯილდოს მინიჭებით ამბიცია გაუჩინა, რამაც მოგვიანებით ბერიას ტრაგედიაში გადამწყვეტი როლი ითამაშა!

ჩერჩილი იყო ბრწყინვალე ფსიქოლოგი და კრუგლოვის პერსონა უზუსტესად შეაფასა, რასაც ვერ დავუკარგავთ. ეს იყო ერთგვარი **„გათიშე და იბატონე“**-ს პოლიტიკა, რომლის გათამაშებაც ჩერჩილმა საბჭოთა სპეცსამსახურებში წარმატებით მოახდინა. დიახ, ჩერჩილმა აშკარად დაინახა, რომ **სერგეი კრუგლოვი** ბერიას ყურმოჭრილი მონა არ იყო და მას საკუთარი ამბიციებიც ჰქონდა... იცით, ყველაზე მეტად რა მაოცებს? **ლავრენტი ბერიას, რომელიც ფენომენალური შესაძლებლობებისა და ჭკუა-გონების პატრონი იყო, როგორ გამორჩა და როგორ ვერ დაინახა სერგეი კრუგლოვის ამბიციური პერსონა?** სხვათაშორის, ასეთი რაღაცები სტალინს არასოდეს გამოეპარებოდა და ყოველთვის ცდილობდა, სპეცსამსახურებში ძალთა ბალანსი შეენარჩუნებინა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ ხდებოდა, რაც ბელადმა **ჰენრიხ იაგოდასა და ნიკოლაი ეჟოვის** სახით უდიდესი მტრები შეიძინა და მერე მათი განეიტრალება ძალიან ძვირი დაუჯდა. სწორედ ბალანსის პოლიტიკის იგნორირებამ შექმნა **„ეჟოვშჩინა“,** როცა ნიკოლაი ეჟოვმა ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და სტალინიც კინაღამ ფიზიკურად გაანადგურა.

**— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ სერგეი კრუგლოვი, როგორც დამბალანსებელი, ბერიას მოადგილედ მიზანმიმართულად დანიშნეს?**

— დიახ, 1938 წლის დეკემბერში, როცა სტალინმა ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა, კადრების კურატორმა **გიორგი მალენკოვმა** სერგეი კრუგლოვი მაშინვე გაამწესა ბერიას მოადგილედ. მოგეხსენებათ, **ნიკოლაი ეჟოვის** ჩამოშორების შემდეგ კადრების საკითხს **მალენკოვი** წყვეტდა... ცხადია, ბერიას მოდგილედ **კრუგლოვის** გამწესება სტალინის ნება-სურვილის გარეშე ვერ მოხდებოდა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ **სერგეი კრუგლოვი** არ ყოფილა ხელწამოსაკრავი ფიგურა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თეირანის კონფერენციაზე ბრიტანეთის პრემიერის დაცვას არ ანდობდნენ.

**კრუგლოვს** ჰყავდა თავისი კადრები, ერთგული ჯაშუშები და აგენტები, რომლებიც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. აი, ასეთი კაცი, რომელსაც ჰქონდა ამბიცია და ბრიტანეთის იმპერიის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო, 1946 წელს დანიშნეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად. ყოველივე ზემოთქმულს დავუმატოთ ისიც, რომ **კრუგლოვი** გამოკვეთილად იყო **გიორგი მალენკოვის** კადრი. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ კრუგლოვი გახლდათ საოცრად ამპარტავანი, ამბიციური და შურისმაძიებელი... აი, ასეთი ბუნებისა და თვისებების კაცი







ვიქტორ აბაკუმოვი

**„ულამაზესი, უნიჭიერესი და ორმეტრიანი აბაკუმოვი ხრუშჩოვმა და მისმა ჯალათებმა საშინლად აწამეს, მაგრამ სტალინსა და ბერიაზე სიტყვა ვერ დააცდენინეს!“**

1953 წლის 5 მარტს, როცა ბერია შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა და **გიორგი მალენკოვთან** ერთად, ფაქტობრივად, ხელისუფლება გაიყო, ლავრენტიმ დააქვეითა და **ივან სეროვთან** ერთად თავის მოადგილედ დანიშნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დაუძინებელ მტერთან ერთად გიწევდა ერთ ოთახში ცხოვრება და როდის რა დაგემართებოდა, ღმერთმა უწყის! მდგომარეობა კიდევ უფრო დრამატული და ბერიასათვის დამისი ნამდვილად ტურუხანსკში ცხოვრობდა.

ივან სეროვი იყო მოენე, რომელიც თავის კოლეგებს ბელადთან აბეზღებდა... არსებობს სეროვის მიერ დაწერილი უამრავი ანონიმური წერილი **ვიქტორ აბაკუმოვისა** და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. ფიგურალურად თუ ვიტყვით, ლავრენტი ბერიას მოადგილე **ივან სეროვი** სტალინის „ჭუჭყიანი ძაღლი“ იყო!

ცხადია, სეროვის პერსონას ეს არანაირად არ ამართლებს, მაგრამ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურში **ივან სეროვის** ფუნქციის მატარებელი ხალხი ბლომადაა. **სეროვმა** იცოცხლა დიდხანს, 1954 წლის 13 მარტიდან 1958 წლის 8 დეკემბრამდე იყო საბჭოთა „კაგებეს“ მინისტრი, შემდეგ დანიშნეს „გრუ“-ს უფროსად... სწორედ მაშინ აგორდა **„პენკოვსკის საქმე“,** რასაც ივან სეროვი გადააყოლეს კიდეც. მოგეხსენებათ, ოლეგ პენკოვსკი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარი სადაზვერვო სამმართველოს პოლკოვნიკი იყო, რომელიც 1961 წელს ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ამხილეს და 1963 წელს დახვრიტეს. ივან სეროვი 1990 წელს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა... მისი ძალიან ეშინოდა **იური ანდროპოვს!**

**— ოთხმოც წელს გადაცილებული ივან სეროვი ანდროპოვისთვის საშიში რატომ იყო?**

— **იური ანდროპოვს** ყველაზე მეტად ივან სეროვის კი არა, სეროვის ჩანაწერების ეშინოდა, რომლებსაც ყველგან ეძებდა, მაგრამ ისე მოკვდა, ვერ იპოვა! **სეროვი** ფლობდა ძალიან სერიოზულ ინფორმაციას, რადგან უშიშროებაში სტალინის მოენე იყო. უშიშროებამ იცოდა, რომ **ივან სეროვი** მოგონებებს წერდა, მაგრამ ჩანაწერებს სად ინახავდა, ვერაფრით დაადგინეს. ნაწერების აღმოჩენის მიზნით, უშიშროებამ არაერთხელ გადაატრიალა სეროვის სახლი, აგარაკი, მაგრამ ამაოდ...

2014 წელს ივან სეროვის შვილიშვილმა ბაბუის ძველ აგარაკზე მშენებლობა წამოიწყო და როცა გარაჟიც დაანგრია, ლოდებს შორის, ერთ-ერთი აგურის ნაცვლად აღმოჩნდა ივან სეროვის ხელნაწერი, რომელიც კედელში იყო ჩაშენებული. ეს ხელნაწერი გამოიცა კიდეც... არავითარი განსაკუთრებული და შემაძრწუნებელი იქ არ წერია, რადგან **სეროვმა** მაინც თავი აარიდა ბევრი რაღაცის თქმას. ამასთან, **ნიკიტა ხრუშჩოვმა** სწორედ სეროვს გამოაშიგნინა მთელი საბჭოთა არქივები, რათა რეპრესიებსა და ათას უბედურებაში თავისი დანაშაულებრივი კვალი წაეშალა.

1957 წელს ხრუშჩოვი რომ ვერ დაამხეს, ესეც **სეროვის** დამსახურება გახლდათ. მან უდიდესი როლი ითამაშა თავდაცვის მინისტრობიდან **გიორგი ჟუკოვის** გადაყენებაში, როცა 1957 წლის 26 ოქტომბერს იუგოსლავიაში ვიზიტით მყოფი და სტალინის მოღალატე **ჟუკოვი** ხრუშჩოვმა სამარცხვინოდ მოისროლა, ფაქტობრივად, ჰაერში მოხსნა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრობიდან გაათავისუფლა. როგორც კი ხრუშჩოვმა **გიორგი მალენკოვი** „ჩარეცხა“, ბერიას პირველი მოადგილე **სერგეი კრუგლოვიც** ზედ მიაყოლა და დაითხოვა. ამბიციური და ამპარტავანი **სერგეი კრუგლოვი,** რომელმაც **ივან სეროვთან** ერთად ბერიას განადგურებაში უდავოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა, 1977 წლის 6 ივლისს ძალიან საეჭვო ვითარებაში მატარებელმა გაიტანა.

**— საბოლოოდ რა გამოდის, ბერიას დამხობა მიზანმიმართულად მზადდებოდა და იმ დიდი პოლიტიკური შეთქმულების ლოგიკური შედეგი იყო, რომელიც მას გამოეპარა?**

— როცა შენს ერთგულს და ერთ დროს მხსნელ **სერგო გოგლიძეს** „მეგრელთა საქმის“ გამო გერმანიაში გადაკარგავ და ახლოს არ გაიკარებ ისე, რომ არაფერს ჰკითხავ; როცა **ვიქტორ აბაკუმოვის** წამება არ გსიამოვნებს, მაგრამ ციხიდან მაინც არ უშვებ; როცა უერთგულეს, დედით ქართველ და კავკასიური მენტალიტეტის მქონე **ვსევოლოდ მერკულოვს** ახლოს არ გაიკარებ, მიუხედავად იმისა, რომ უშიშროებაში დაბრუნება გთხოვა და ამის პასუხად 1953 წლის 22 ივნისს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თანამდებობიდანაც კი უვადო შვებულებაში გაუშვებ; როცა ორ პირად მტერს — ამბიციურ **სერგეი კრუგლოვსა** და ყოველგვარი ბნელი საქმის მოქმედ **ივან სეროვს,** რომელიც შენი მუშაკი არასოდეს ყოფილა და ყოველთვის სტალინის წინაშე იყო პასუხისმგებელი, შენივე ბრძანებით შენს მოადგილეებად დანიშნავ, აუცილებლად მოხდება ის, რაც 1953 წლის 26 ივნისს მოხდა! თან არ დაგვავიწყდეს, რომ **სერგეი კრუგლოვიც** და განსაკუთრებით ივან სეროვი, შემსრულებლები და რისკიანი ტიპები იყვნენ, რომლებმაც ლავრენტი ბერიას დამხობაში ლომის წილი შეიტანეს! ასე რომ, **ბერია თავისივე შეცდომებმა დაღუპეს!** ზემოჩამოთვლილი შეცდომებიდან ერთი მათგანიც რომ არ დაეშვა, ბერია უსათუოდ გადარჩებოდა! განსაკუთრებით გამოვყოფდი მერკულოვის პერსონას... ბერიას რომ ვსევოლოდ მერკულოვისთვის დაეჯერებინა, ვერავინ დაამხობდა და სტალინის ტახტზეც დაჯდებოდა!



ლავრენტი ბერია

**„ბერიას რომ მერკულოვისთვის დაეჯერებინა, ვერავინ დაამხობდა და სტალინის ტახტზეც დაჯდებოდა!“**



ვსევოლოდ მერკულოვი

# შეცდომებმა დაღუპეს!

სასიკვდილო საფრთხის შემცველი იყო იმ მხრივაც, რომ **სერგეი კრუგლოვი** სიცოცხლით გახლდათ დავალებული გიორგი მალენკოვისგან, რომელიც ასევე, ბერიას მსგავსად, ერთპიროვნული ძალაუფლებისკენ მიისწრაფოდა!

**— რაც შეეხება ბერიას მეორე მოადგილეს — ივან სეროვს, ის რამდენად ამბიციური გახლდათ და ვისი კადრი იყო?**

— ომის პერიოდში **ივან სეროვისა და ნიკიტა ხრუშჩოვის** გზები ძალიან ხშირად იკვეთებოდა. მეორე და მთავარი — **ივან სეროვი** ყოველთვის სტალინის პირად დაქვემდებარებაში იყო და ბერიასთან არ უმუშავია. **სეროვი** არ იყო კავკასიური „კაგებეს“ კადრი, რომელსაც ბერიასთან პირდაპირი ბმა ჰქონდა. ცნობისათვის, პირადად **სეროვმა** განახორციელა ჩეჩნების, ინგუშებისა და ე.წ. „თურქი-მესხების“ დეპორტაცია. მაშინ, 1944 წლის სექტემბერ-ნოემბერში, **ივან სეროვი** ასრულებდა არა ლავრენტი ბერიას, არამედ პირადად სტალინის დავალებას. სწორედ **ივან სეროვს** დაავალა სტალინმა ჰიტლერის გვამის თუ სხეულის ნაშთების მოძებნა და საგანგებო მისიით ბერლინში გაგზავნა. მასვე ჰქონდა დავალებული სტალინის სავარაუდო ვაჟის — **დავიდოვის** მოძებნა. როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ირკვევა, დავიდოვს **ივან სეროვმა** დააწერინა ხელწერილი ამ ისტორიის გაუთქმელობის შესახებ. „დნმ“-ის ანალიზმა დაადასტურა, რომ **ალექსანდრე დავიდოვი,** რომელიც 1917 წელს დაიბადა და 1987 წელს გარდაიცვალა, ნამდვილად სტალინის შვილი იყო და დე-



ივან სეროვი

**„ამბიციური და ამპარტავანი კრუგლოვი, რომელმაც სეროვთან ერთად ბერიას განადგურებაში უდავოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა, 1977 წლის 6 ივლისს ძალიან საეჭვო ვითარებაში მატარებელმა გაიტანა!“**



სერგეი კრუგლოვი



**„იური ანდროპოვს ყველაზე მეტად ივან სეროვის კი არა, სეროვის ჩანაწერების ეშინოდა, რომლებსაც ყველგან ეძებდა, მაგრამ ისე მოკვდა, ვერ იპოვა!“**

იური ანდროპოვი

**„ლავრენტი ბერიას მოადგილე ივან სეროვი სტალინის „ჭუჭყიანი ძაღლი“ იყო!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## რუსი ისტორიკოსები და მწერლები დაუღალავად ადანაშაულებენ სტალინს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბოროტმოქმედებებში. მაშ, ხრუშჩოვის და მისი ხროვის დანაშაულზე რაღა უნდა ვთქვათ? განა სწორედ მედროვე ნიკიტას სანქციით არ გადათელეს ტანკებით უნგრეთი, დახვრიტეს ქართველი ახალგაზრდობა 1956 წლის 9 მარტს, ულმობლად ჩაახშვეს მუშათა გამოსვლა ნოვოროსიისკში? უნგრეთის და თბილისის მოვლენებზე ბევრი რამ დაიწერა, ნოვოროსიისკის ტრაგედია კი დღემდე ბურუსით არის მოცული. რა მოხდა იქ? როდის? როგორია მსხვერპლის სტატისტიკა?



როგორც ჩანს, საუბარია არა **ნოვოროსიისკის,** არამედ **ნოვოჩერკასკის** ტრაგედიაზე. მუშები **1962 წელს როსტოვის ოლქის ქ. ნოვოჩერკასკში,** მსხვილ სამრეწველო ცენტრში დახოცეს. მუშათა მღელვარების მიზეზად იქცა აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები, მაღაზიებიდან პირველი აუცილებლობის საქონლის გაქრობა, ხორცის და რძის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა, პურის მომარაგებაში შეფერხებები. მოვლენები ასე ვითარდებოდა. **1962 წლის იანვრიდან ნოვოჩერკასკის** უმსხვილეს ელმავალმშენებელ ქარხანაში შრომის ანაზღაურების პერმანენტული შემცირება დაიწყო. იმავე წლის ზაფხულისათვის იგი სამჯერ შემცირდა. **1 ივნისს** კი რადიოთი გამოცხადდა ფასების მნიშვნელოვანი (35 პროცენტამდე) „დროებითი" მომატება ხორცზე, რძეზე, კვერცხსა და კვების სხვა პროდუქტებზე. სწორედ ამ ბოლო წვეთმა აავსო მუშების მოთმინების ფიალა. იმავე დღეს ქარხნის ყველა საამქროს მუშები დილიდანვე გაიფიცნენ. საწარმოს ადმინისტრაციამ, ანუ დირექტორმა, მთავარმა ინჟინერმა და პარტორგანიზაციის მდივანმა გაფიცულთა დაშოშმინება და სამუშაო ადგილებზე დაბრუნება სცადეს. მოლაპარაკების დროს დირექტორის გარშემო შეკრებილ მუშათა ჯგუფს ქალი მიუახლოვდა ღვეზელით ხელში. დირექტორმა სიტუაციის განსამუხტად ხუმრობა გადაწყვიტა: **„თუ ხორცისათვის ფული არ გყოფნით, ამ ქალს მიბაძეთ — კარტოფილის ღვეზელი მიირთვით."** ეს სიტყვები სახალხო აფეთქების დეტონატორად იქცა. მუშებმა დირექტორი, მთავარი ინჟინერი და პარტიული ლიდერი ერთ-ერთ სათავსში ჩაკეტეს და ქუჩებში გამოვიდნენ. სტიქიურად დაიწყო აღმოცენება მიტინგებმა და დემონსტრაციებმა. გამოჩნდა ხელნაწერი ლოზუნგები, მათ შორის ხალხის განსაკუთრებული გამოცოცხლება გამოიწვია ლოზუნგმა **„ხრუშჩოვი — სახორცედ!".** იმავე დღეს ელმავალმშენებელი ქარხნის **14-ათასიან** კოლექტივს სხვა საწარმოთა — ელექტროდების ქარხნის, „ნეფტემაშის", სამშენებლო ორგანიზაციათა მუშები, სტუდენტები, მოსწავლეები შეუერთდნენ. საღამოს მთელი ქალაქი დუღდა. **2 ივნისს** ხმა დაირხა, რომ ხელისუფლებამ რამდენიმე გაფიცული დააპატიმრა და მათ მილიციის განყოფილებაში სცემეს. ბრბო მილიციას მიაწყდა. აქ მათ ცეცხლით შეეგებნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაფიცულებმა შტურმით აიღეს მილიციის შენობა და ამხანაგები გაათავისუფლეს. მაშინ ქალაქში არმიის ნაწილების, ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების შეყვანა დაიწყეს. ბევრმა ჯარისკაცმა უარი თქვა ხალხისთვის სროლაზე. ყვებოდნენ, რომ როდესაც ერთ ოფიცერს ცეცხლის გახსნა უბრძანეს, მან თავი მოიკლა. მისი სახელი უცნობია. მაგრამ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ხალხის დიდი მასა მოგროვდა, ავტომატების და ტყვიამფრქვევების მასირებული ცეცხლი გახსნეს. დაღუპულთა რაიმე სტატისტიკა, ბუნებრივია, არ არსებობს. საქმე შეიძლება ეხებოდეს ათეულ ათასობით ადამიანს, რომელთა შორის ბევრი შემთხვევითი გამვლელი, ქალი, ბავშვი თუ მოხუცი იყო. 3 ივნისს ჯარისკაცები მთელი ღამის განმავლობაში ტვირთავდნენ საბარგო მანქანებს გვამებით, საავადმყოფოები დაჭრილებით გაივსო. მოკლულები ქალაქგარეთ გაიყვანეს. მათი დამარხვის ადგილი უცნობია.

ამით მღელვარება ნოვოჩერკასკში არ ჩამცხრალა. სხვადასხვა ადგილებში გამოსვლები გრძელდებოდა. ქალაქში პოლიტბიუროს წევრები **ფროლ კოზლოვი** და **ანასტას მიქოიანი** ჩავიდნენ. მაგრამ მუშებთან პირისპირ მოლაპარაკებაზე წასვლისა შეეშინდათ, რადიოთი გამოვიდნენ და შეჰპირდნენ, რომ გაფიცულთა ყველა მოთხოვნას (ხელფასის მომატება, აუცილებელი პროდუქტებით მომარაგება) შეასრულებდნენ, ხოლო მოთავეებს დევნას არ დაუწყებდნენ. **3 ივნისის საღამოს** მღელვარება ჩაცხრა.

ამის შემდეგ ხელფასები მართლაც გაიზარდა, მაღაზიებში ზოგიერთი პროდუქტი შეიტანეს, მაგრამ ბოლო პირობა არ შესრულდა. დაიწყო სამართლებრივი და არასამართლებრივი ანგარიშსწორების პერიოდი. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე გამოსვლების 14 მონაწილის პროცესი გაიმართა (ბუნებრივია, დახურული). **პროკურორ კრუგლოვის მოთხოვნით, 7 მათგანს მოსამართლე სმირნოვმა დახვრეტა მიუსაჯა, დანარჩენებს კი — ხანგრძლივი პატიმრობა. სულ „ნოვოჩერკასკის საქმეზე" 105 ადამიანი გაასამართლეს. მინიმალური სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა იყო.**

## გვინდა, ვიცოდეთ, როდის მიიღეს სსრკ კონსტიტუცია, რომელსაც სტალინურს უწოდებდნენ, სიმართლეა თუ არა, რომ ის თავიდან ბოლომდე ბუხარინმა და სხვა „ხალხის მტრებმა" დაწერეს და რომ საკონსტიტუციო კომისიის წევრთა უმრავლესობა მოგვიანებით დახვრიტეს?




**დიდი ბრიტანეთი** დღემდე წარმატებით გადის იოლად ძირითადი კანონის გარეშე. სსრკ-ში კი სხვადასხვა დროს ოთხი კონსტიტუცია მიიღეს — **1918, 1924, 1936** და **1977 წლებში. „სტალინურად" წოდებული 1936 წლის 5 დეკემბერს ამოქმედდა.** სსრკ-ის დასავლელი მეგობრები მას მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურ და დემოკრატიულ კონსტიტუციას უწოდებდნენ, რამეთუ, წინამორბედთაგან განსხვავებით, თითოეული მოქალაქისთვის ყველა უფლების და თავისუფლების დეკლარირებას ახდენდა სიტყვის, გამოსვლის, სინდისის თავისუფლების ჩათვლით. თუმცა, ძალაუფლება ერთი პარტიის ხელში რჩებოდა და ამიტომ ყველა ეს **„თავისუფლება",** არსებითად, დეკლარაციად რჩებოდა.

საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში (სულ 30 ადამიანი) მართლაც შედიოდნენ ისინი, ვინც შემდგომში ხალხის მტრად გამოაცხადეს, მათ შორის **ნიკოლაი ბუხარინი, კარლ რადეკი, აბელ ენუქიძე** და სხვები. მაგრამ იმის თქმა, რომ კონსტიტუციის პროექტის ტექსტი თავიდან ბოლომდე მათი დაწერილია, მართებული არ იქნება. ბუნებრივია, კონსტიტუციაზე არაერთი ადამიანი მუშაობდა, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები პირადად **სტალინის** მიერ იყო ნაკარნახევი. შემორჩენილია აგრეთვე კონსტიტუციის სტატიათა მის მიერ დაწერილი შავი პირები. მრავალრიცხოვანი შესწორებების შეტანის შემდეგ ტექსტის საბოლოო რედაქტირებაც მას ეკუთვნის.

საკონსტიტუციო კომისიის წევრთა შემდგომ ბედს რაც შეეხება, **ტროცკისთან** კავშირში მხილებულ **კარლ რადეკს** (ჩეკისტებმა მათი მიმოწერა ჩაიგდეს ხელში) **1937 წელს 10 წლით** თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და **1939 წელს** პატიმრობაში გარდაიცვალა. იმავე, **1937** წელს **„მორალურ-საყოფაცხოვრებო გახრწნისათვის"** დახვრეტა მიესაჯა **აბელ ენუქიძეს. ბუხარინს, რიკოვთან, იაგოდასთან, რაკოვსკისთან** და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სხვა წევრებთან ერთად, დახვრეტა **1938 წლის მარტში** მიუსაჯეს.

სულ საკონსტიტუციო კომისიის **30 წევრიდან 1937-1940 წლებში 14 ადამიანი დახვრიტეს, ორმა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

ასეთია საკონსტიტუციო სტატისტიკა.

## ჰიტლერი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დიქტატორი იყო. თუმცა, ხელისუფლებაში ლეგალური, კონსტიტუციური გზით, არჩევნების შედეგად მივიდა. ვგონებ, ეს ერთადერთი შემთხვევაა ისტორიაში. უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვიამბობთ ამის შესახებ?

მართალი ბრძანდებით, ხელისუფლებაში **ჰიტლერის** მისვლა რაიხსტაგში არჩევნების შედეგად განხორციელდა. თუმცა, ეს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ. **ჰიტლერამდე** დიდი ხნით ადრე სავსებით ლეგალური და დემოკრატიული გზით მივიდა ხელისუფლებაში **ნაპოლეონის** ძმისწული **ლუი ბონაპარტი. 1848 წლის** დეკემბერში ის საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს, ზუსტად სამი წლის შემდეგ თავი **„სამუდამო პრინც-პრეზიდენტად"** გამოაცხადა, ხოლო კიდევ ერთ წელიწადში (1852 წლის დეკემბერი) — **იმპერატორ ნაპოლეონ III-დ.**

კვლავ **ჰიტლერს** დავუბრუნდეთ. **1919 წელს** შექმნილი ნაცისტური პარტია (1920 წლამდე გერმანიის მუშათა, შემდგომში კი გერმანიის მუშათა ნაციონალურ-სოციალისტური პარტია) წლიდან წლამდე იკრებდა ძალას. ასე, მაგალითად, თუ **1928 წელს მას 810 ათასმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, 1930 წელს — 6, 4 მილიონმა, 1933 წლის იანვარში რაიხსტაგში არჩევნებზე ნაცისტებმა უკვე 11,7 მილიონი ხმა მიიღეს და, ამდენად, ყველაზე მსხვილი საპარლამენტო ფრაქცია შექმნეს.** სავსებით ბუნებრივია, რომ **გერმანიის პრეზიდენტმა, ფელდმარშალმა ფონ ჰინდენბურგმა** მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება ამ პარტიის ლიდერს **ადოლფ ჰიტლერს** დაავალა. ასე გახდა ჰიტლერი **30 იანვარს გერმანიის კანცლერი** (მთავრობის მეთაური).

სხვა საქმეა, რომ ხელისუფლებაში კანონიერი გზით მისვლის შემდეგ ის სახელმწიფო გადატრიალებას ახდენს, თანდათან უყრის თავს ძალაუფლებას ერთ ხელში და ყველა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს სდევნის. **1933 წლიდან** ერთმანეთის მიყოლებით მტკიცდება კანონები **„ერთიანი იდეოლოგიის შესახებ," „რასობრივი სიწმინდის შესახებ", „პოლიტიკური პარტიების ხელახალი რეგისტრაციის შესახებ"** (რის შედეგადაც ნაციზმის ყველა მოწინააღმდეგე კანონგარეშე გამოცხადდა). ადგილებზე არჩევითი ორგანოების ნაცვლად საიმპერიო მრჩეველთა დანიშვნითი თანამდებობები მკვიდრდება. **1933 წლის ოქტომბერში გერმანია ერთა ლიგიდან გამოდის. 1934 წლის 2 აგვისტოს ფონ ჰინდენბურგი კვდება.** პრეზიდენტის და რაიხსკანცლერის თანამდებობებს ერთი პირი ითავსებს. იმავე პერიოდში **ჰიტლერი „გერმანელი ხალხის ფიურერის (ბელადიფს)"** ოფიციალურ ტიტულს იღებს. **1935 წლის გაზაფხულზე** ყალიბდება ვერმახტი (ვერსალის შეთანხმებით შეზღუდული რაიხსვერის ნაცვლად) და შემოაქვთ საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. და ასე შემდეგ. ჯერ კიდევ **1934 წლის აგვისტოში,** „გერმანიის რაიხის მეთაურის შესახებ" რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ (მხარი დაუჭირა მონაწილეთა 90 პროცენტმა) ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, რაიხსტაგის ჩათვლით, ფიქციად იქცევა.

**ჰიტლერსა** და **ლუი ბონაპარტს** შორის კიდევ ერთი ისტორიული პარალელის გავლება შეიძლება. ორივე მათ მიერ გაჩაღებულმა ომმა დაღუპა. **ნაპოლეონ III თავის 100-ათასიან არმიასთან ერთად ტყვედ ჩავარდა და 1870 წელს დაემხო. გერმანიის ფიურერის ბედი ცნობილია.**



## ცნობილია, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი სკკპ 22-ე ყრილობაზე მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოსვენების წინადადებით გამოვიდა

გივი ჯავახიშვილი ერთადერთი სულაც არ ყოფილა, მეტიც, ამ საკითხზე ის სულ ბოლოს გამოვიდა, ისიც იმიტომ, რომ სტალინის გამოსვენების ხრუშჩოვისეული გეგმა აუცილებლად გულისხმობდა ქართველის განცხადებას. მჟავანაძის ავად გახდომით დაბოღმილმა ხრუშჩოვმა სიტყვით გამოსვლა ჯავახიშვილს დაავალა, როგორც მეორე კაცს საქართველოს ხელმძღვანელობაში. ვინ გამოვიდა ყრილობაზე პირველი ამ საკითხთან დაკავშირებით? ეს საეჭვო პატივი წილად ხვდა ძველ ბოლშევიკს დორა აბრამის ასულ ლაზურკინას (ქალიშვილობაში კლებანოვა). თავისი აქციის მზადებისას ხრუშჩოვმა ბევრი ძველი ბოლშევიკის გადმობირება სცადა, მაგრამ ამ ავანტიურაზე ვერავინ დაითანხმა, მათ შორის რეპრესიაში მოყოლილებიც კი. მხოლოდ ლაზურკინა გამოეხმაურა. 80 წლის ყველასათვის უცნობი ქალის „ვარსკვლავი" 1961 წლის ოქტომბერში, სკკპ 22-ე ყრილობაზე ამობრწყინდა. მოვიტანთ ფრაგმენტს მისი გამოსვლიდან: **ლაზურკინა:** მიმაჩნია, რომ ჩვენი მშვენიერი ვლადიმერ ილიჩი, ყველაზე ადამიანური ადამიანი, არ უნდა იმყოფებოდეს იმის გვერდით, ვინც, 1934 წლამდე დამსახურებების მიუხედავად, არ შეიძლება იყოს ლენინის გვერდით. მავზოლეუმში სტალინის ადგილი არ არის!

**ხრუშჩოვი:** სწორია! (*მქუხარე ხანგრძლივი აპლოდისმენტი*) (*სკკპ 22-ე ყრილობის სტენოგრამიდან*) ლაზურკინას შემდეგ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის სახელით გამოვიდა ი. სპირიდონოვი (ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი). მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს სიტყვა გივი ჯავახიშვილს, რომელმაც მოკლედ თქვა, რომ „ლენინგრადელი ამხანაგების წინადადებას მხარს უჭერს."

2023 წლის 22 მაისი. № 27 (195)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ელიზბარ ელიზბარაშვილი ფართო საზოგადოებამ 2023 წლის მარტში გაიცნო, როცა არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების დღეებში ახალგაზრდა მეცნიერს, სავარაუდოდ, დავით კეზერაშვილისა და უცხო ქვეყნის აგენტურის მიერ დაფინანსებული დავით ჩხობაძე თავის „შპანასთან“ ერთად აუდიტორიაში შეუვარდა და პროფესორისთვის ე.წ. სირცხვილის დერეფნის მოწყობა სცადა:*

## ელიზბარ ელიზბარაშვილი:

# ან რუსეთი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, ანდა – ამერიკის მონობა და ომი!

— კიდევ ერთხელ ვაცხადებ — **ახალგაზრდები, რომლებმაც 2023 წლის მარტში ჩემი ლექციის ჩაშლა სცადეს და მე აუდიტორიიდან გავაძევე, უნივერსიტეტის სტუდენტები საერთოდ არ არიან და წარმოადგენენ ორგანიზაცია „ნაბიჯს“, რომლის წევრებიც სწორედ ახლა პარლამენტის წინ მცირერიცხოვან აქციაზე წვიმაში დგანან და რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენას აპროტესტებენ.** ეს ახალგაზრდები იდგნენ იმ აქციაზეც, სადაც დედები შვილებისთვის წამალს ითხოვდნენ...

მოკლედ, ეს არის პროტესტანტული, ნეოლიბერასტული ჯგუფი, რომელიც, დიდი ალბათობით, დაკავშირებულია ნაცმოძრაობასთან. რაც შეეხება ჩემს ლექციაზე მომხდარ ინციდენტს, ამის შესახებ ჩემი განცხადება დევს პოლიციაში და მასალები მივაწოდე სახალხო დამცველსაც, თუმცა, ჯერჯერობით არ შემხმიანებიან.

**— ბატონო ელიზბარ, თქვენ რუსეთის მიერ ფრენების აღდგენა ახსენეთ, რომელსაც ნაცსექტანტები აპროტესტებენ. მომხდარ ფაქტს როგორ აფასებთ — საქართველოსთვის რუსეთთან ფრენების აღდგენა კარგი იქნება თუ ცუდი?**

— რუსეთმა საქართველოსთან მარტო ფრენები კი არა, უვიზო რეჟიმიც აღადგინა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ კარგია. ამით ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გამოცოცხლდება და ქართველი ფერმერები და გლეხები დიდად იხეირებენ. **გორელი კაცი გერმანიაში, იტალიასა და ჰოლანდიაში ვაშლს გასაყიდად ვერ წაიღებს, მაგრამ რუსეთში ამას ძალიან ადვილად შეძლებს...** იგივე ეხება ღვინოს, ქართულ მწვანილსა და ციტრუსს... უფრო მეტიც, ესპანელი, ფრანგი და იტალიელი არ შეგატანინებს თავის ქვეყანაში ქართულ ღვინოს, რადგან არ უნდა, კონკურენტი გამოუჩნდეს. რუსეთში ამ მხრივ პრობლემა არ გვექნება, ხალხი ფულს იშოვის, ქვეყანა ამოისუნთქავს, ურთიერთობები გაცოცხლდება!

**— მხოლოდ ეს ეფექტი ექნება ამ ყველაფერს?**

— ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგში აუცილებლად დააყენებს და წინა პლანზე წამოსწევს პოლიტიკურ საკითხებსაც და, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემას!

**— როგორ წამოსწევს, რანაირად?**

— აშკარაა, რომ უკრაინაში ატეხილი საშინელი ომის ფონზე რუსეთს აღმოსავლეთიდან, კერძოდ, ჩინეთიდან ტვირთების მიღების პრობლემა არა აქვს, მაგრამ სამხრეთის ფლანგზე ვერ გადის, რადგან აფხაზეთის რკინიგზის პარალიზების გამო ეს მარშრუტი მისთვის ჩაკეტილია. **რუსეთის სტრატეგიული ინტერესია რკინიგზის მეშვეობით ირანთან დაკავშირება, რაც საქართველოს გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია!** რუსეთს ირანზე გასვლა ინდოეთის ოკეანეში მოსახვედრად სჭირდება. თუ მოსკოვმა ამ ზესტრატეგიულ მიზანს მიაღწია, მაშინ ის დასავლეთთან ურთიერთობას საერთოდ ჩაკეტავს და რკინიზგის მეშვეობით აისრულებს საუკუნოვან ოცნებას — **გაიჭრება ინდოეთის ოკეანეში!** აი, ამ მიზნის მიღწევის თვალსაზრისით საქართველოს პოზიციას უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რასაც კრემლში სწორად აფასებენ. აქედან გამომდინარე, **თუ საქართველომ აფხაზეთის რკინიგზა გახსნა და რუსეთს საშუალება მისცა, ირანის რკინიგზას დაუკავშირდეს, მაშინ კრემლისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის**




„პუტინმა ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენით საქართველოში პოლიტიკური პროცესები დააჩქარა!“





„ამერიკა გრძნობს — თუ თბილისში ხელისუფლებას ვერ შეცვლის, შესაძლოა, საქართველოს დატოვება მოუწიოს!“

„რუსეთის სტრატეგიული ინტერესია რკინიგზის მეშვეობით ირანთან დაკავშირება, რაც საქართველოს გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია!“

**ქვაზი-სახელმწიფოების რჩენა და მათი „დამოუკიდებლობით“ მანიპულირება აბსოლუტურად ზედმეტი ბარგი-ბარხანა ხდება!**

ამიტომ რუსეთი, დიდი ალბათობით, წავა იმაზე, რომ რაღაც ფორმით მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღადგენას და სოხუმსა და ცხინვალში ჩვენი იურისდიქციის აღდგენას!

**— ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოდ გამოიყურება, მაგრამ დასავლეთი საქართველოში ამ გეგმის განხორციელებას დაუშვებს?**

— დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ საფრთხეს რომ გრძნობენ, სწორედ იმიტომაც დარბის ამერიკის ელჩი **კელი დეგნანი** და ხალხს ატყუებს — **საქართველოს მოსახლეობა რუსეთ-საქართველოს შორის ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენას აპროტესტებსო!** ცხადია, არავითარი ამის მსგავსი ქვეყანაში არ ხდება, პირიქით, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ამ კავშირების აღდგენას მიესალმება, რაც ამერიკული „აირაის“ კვლევებმაც დაადასტურა. ცნობილია, რომ ამ კვლევების შედეგები აშკარად გაყალბებულია, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ჩანს, რომ **მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთთან ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენას ემხრობა.**

**— მაშინ რა გამოდის, თუ ყველაფერი იმ გეგმის მიხედვით წარიმართა, რის შესახებაც თქვენ საუბრობთ, ამერიკის შეერთებული შტატები და გლობალური დასავლეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინააღმდეგ წავლენ?**

— რაოდენ გასაკვირიც გინდა იყოს, თუ მოვლენები ამ სცენარით წარიმართა, რისი შანსიც ძალიან დიდია, მაშინ გლობალური დასავლეთი და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინააღმდეგ წავლენ!

**— ეს რომ არ მოხდეს, საქართველომ რა უნდა ქნას?**

— მაშინ საქართველომ რუსეთთან ფრენები უნდა აკრძალოს და სავიზო რეჟიმი დააწესოს, რასაც თავად რუსეთი არ დაუშვებს და ამერიკას თავისას არ გაატანინებს. პირდაპირ უნდა ითქვას — პუტინმა ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენით საქართველოში პოლიტიკური პროცესები დააჩქარა! **თუ აქამდე საქართველოდან და კავკასიიდან ამერიკის გაძევება კუს ნაბიჯებით ხდებოდა, ახლა ეს პროცესი უფრო დინამიკური გახდა!** პუტინმა საქართველოს ხელისუფლებას ამერიკასთან რევერანსების დრო მოუსპო და ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის აღდგენით მიანიშნა, რომ თბილისმა არჩევანი მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს — ან რუსეთი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, ანდა — ამერიკის მონობა და ომი!

**— ახლა უკვე ქართველ ხალხზეა დამოკიდებული, რას მოიმოქმედებს და რა არჩევანს გააკეთებს!**

— ამერიკას არჩევანი გაკეთებული აქვს და ამ ხელისუფლების დასამხობად ნიადაგს საგულდაგულოდ ამზადებს. 2023 წლის მარტის აქციები სწორედ ამას ემსახურებოდა და 19 მაისის აქციაც, რომელიც ჩაფლავდა, სწორედ ხალხის პროტესტის ასაგორებლად დანიშნეს. **აქციები აუცილებლად იქნება და საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს მაქსიმალურად ფრთხილად, რადგან ამერიკა გრძნობს, რომ, თუ თბილისში ხელისუფლებას ვერ შეცვლის, შესაძლოა, საქართველოს დატოვება მოუწიოს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წ. №11–15,16–17, 18–19, 20–21,22–23

## „მამა როსტომ ლორთქიფანიძე, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი იყო, თენგიზ სიგუასა და პატრიარქს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა!“



## იგორ კვესელავა:

# გია უჩავას თავისუფლად შეეძლო გამსახურდიას მოკვლა, რასაც დაჟინებით ითხოვდა თენგიზ სიგუა, მაგრამ იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის წყევლა-კრულვიან საქმეში საქართველოს საპატრიარქოსა და უმაღლესი სასულიერო იერარქების როლზე საგანგებოდ მიუთითებს და აცხადებს, რომ ვიღაცის სატანურმა ტვინმა თავიდან ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ილია მეორის უდიდეს მეხოტბეებად აქცია, რამაც მისი პატრიარქად კურთხევა გარანტირებული გახადა, მაგრამ იმავე ხალხმა შემდეგ გამსახურდიას ხმები გაუვრცელეს — ზვიადს პატრიარქობა უნდაო! — და ზვიადი ილია მეორეს დაატაკეს:***



გია უჩავა



თენგიზ სიგუა

— 1992 წელს გაზეთ „ქართულ აზრში“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ფაქტობრივად, არალეგალურ პირობებში გამოდიოდა, გამოქვეყნდა საბჭოთა „კაგებეს“ კარტოთეკის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეკლესიის უმაღლეს იერარქებს, მათ შორის, პატრიარქსაც ეხებოდა. აქ საუბარი იყო ცხრა კაცზე, მათ შორის გახლდათ ერთი სამოქალაქო პირიც, ისტორიკოსი, პროფესორი **ზურაბ სამსონის ძე მამულია,** რომლის შესახებაც ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ საქართველოში გადატრიალებისთვის საჭირო ფული მოსკოვიდან სწორედ მან ჩამოიტანა.

**ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა, რომ არაერთი სასულიერო პირი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღო, საქართველოს პირველ პრეზიდენტს დღემდე მტრობს და მის სახელს პირად საუბრებში აუგად მოიხსენიებს...** ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის ნასუფრალით იკვებებოდა და ღმერთსა და სატანას ერთდროულად ემსახურებოდა. არავისთვის დასამალი არ არის, რომ 1992 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობას, როცა დაღუპულთა გვამები გაციებული არ იყო და რუსთაველის პროსპექტზე სისხლის გუბეები იდგა, **საპატრიარქო დიდი ლხინითა და ქეიფით შეხვდა და საქართველოს ზვიადის დამხობა ასე მიულოცა — ქვეყნიდან სატანა განვდევნეთო!** ცნობილია ის კაციც, რომელიც მაშინ იმ ნადიმის თამადა იყო... მოგვიანებით ამ თემას უფრო დეტალურად მივუბრუნდები, რადგან ერთი დეტალი მაქვს დასაზუსტებელი!

**— მაინც რა იყო პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის ურთიერთობის გაფუჭების მთავარი მიზეზი?**

— მიზეზი ბევრი იყო, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი, ალბათ, მაინც საეკლესიო სასამართლოს შემოღების საკითხი გახლდათ, რომელსაც ზვიად გამსახურდია დაჟინებით ითხოვდა. მოგეხსენებათ, **ლეონიდე კათალიკოსის** დროს და მერეც, კომუნისტების ეპოქაში, გარკვეულ დრომდე, ეს სასამართლო ჩვენს ეკლესიაში არსებობდა და ცოდვაში ჩავარდნილ სასულიერო პირებს ეკლესია თავად ასამართლებდა. დღეს ეს ინსტიტუცია საქართველოს ეკლესიაში მოსპობილია, რაც მტერსა და მოყვარეს ათასგვარი ინსინუაციისა და მითქმა-მოთქმის საფუძველს აძლევს! მოხდა ასეთი შემთხვევა — 19 წლის ბიჭი საქართველოს ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს, რაც დიდი სჯულისკანონით ყოვლად დაუშვებელია. საეკლესიო წესების თანახმად, მღვდლად მხოლოდ 30 წლის მამაკაცის კურთხევაა შესაძლებელი. მომხდარ ფაქტს **ზვიად გამსახურდია** მკაცრად აპროტესტებდა, რაც საპატრიარქოს აღიზიანებდა. ზვიადის მიმართ იყო შურის მომენტიც.

**— „შურის მომენტში“ რას გულისხმობთ?**

— ზვიადი მოითხოვდა, რომ საეკლესიო პირები ყოფილიყვნენ ღრმად განსწავლულნი და ინტელექტუალურად მაღალ საფეხურზე მდგომნი. საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ვერც მაშინ და ვერც ახლა კრიტიკას ვერ უძლებს. ცხადია, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში გაზრდილ ზვიად გამსახურდიას, რომელმაც ლიტერატურასთან, უცხო ენებთან, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიასთან, ფილოსოფიასთან და თეოსოფიასთან ერთად ზედმიწევნით იცოდა საღმრთო სჯული, ძველი და ახალი აღთქმა, წმინდა მამათა სწავლებანი და მართლმადიდებლური მღვდელმსახურების ყველა წესი, ვერ იქნებოდა კმაყოფილი იმ დონით, რასაც ჩვენი საეკლესიო იერარქების უმრავლესობა ამჟღავნებდა და ამჟღავნებს. **ყოფილა შემთხვევები, როცა ზვიად გამსახურდია ქართველ სასულიერო პირებს მღვდელმსახურებაში დაშვებული შეცდომების, ლოცვების მიფუჩეჩებისა და შემოკლების გამო მოკრძალებითა და დიდი რიდით, მაგრამ მაინც შენიშვნებს აძლევდა, რაც არავის სიამოვნებდა.** თუმცა, იყო სასიამოვნო და ამაღელვებელი ისტორიებიც... მაგალითად, ერთი ახალგაზრდა, რომელიც ქურდობდა და სიონში მისულ მრევლს ჯიბიდან ფულს აცლიდა, ზვიად გამსახურდიამ ისე მოაქცია, რომ კაცი სასულიერო ცხოვრებას შეუდგა და მოძღვარი გახდა. ამის შემდეგ ზვიადი მას ეახლა და სთხოვა — მამაო, ღირს მყავ და დამიმოწაფეო! მავანი აშარი და უწიგნური ზვიადს ე.წ. შტაინერისტობას, ანუ სექტანტობას აბრალებს და პროვოკაციულად აცხადებს — ზვიადი მართლმადიდებლურ დოგმებს ებრძოდაო! პირიქით, **ზვიადი სწორედ იმას ებრძოდა, პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცეული საქართველოს საპატრიარქო უკანონობას უკანონობაზე რომ სჩადიოდა!**

**— ამბობენ, რომ დასცლოდა, ზვიად გამსახურდია უსათუოდ მოიწვევდა რუის-ურბნისის მსგავს საეკლესიო კრებას, რასაც საქართველოს ეკლესიაში დიდი წმენდა მოჰყვებოდაო...**

— მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში ზვიად გამსახურდიას გვერდში ედგნენ ისეთი დიდი და გამორჩეული საეკლესიო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: მეუფე **ამბროსი ქათამაძე,** მეუფე **ქრისტეფორე წამალაიძე,** მღვდელი **ვახტანგ მარგიანი** და სხვა სასულიერო პირები. სამივე ეს პიროვნება აცხადებდა, რომ საქართველოს ეკლესიაში დიდი საეკლესიო კრების ჩატარება აუცილებელი იყო. უფრო მეტიც, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი მეუფე **ამბროსი ქათამაძე,** რომელიც შეფიცულთა გუნდის წევრი იყო და ზვიად გამსახურდიას საფლავის საიდუმლოს ინახავდა, ასეთ რამეს ამბობდა — **„სულკურთხეული და ცხრაჯერ მირონცხებული წმინდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მაშინ აღდგა, როცა მოკლეს!“** ხოლო მიტროპოლიტი **ქრისტეფორე წამალაიძე,** რომელიც ზვიად გამსახურდიას სუ-

## კვირგვინოსნები

**ნუკრი მუშიაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ქილიჩდაროღლუს** მოადგილე **ოზქოჩი** აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მთავარი ლობისტია თურქეთში, მან თურქეთის პარლამენტში საგარეო მინისტრს დაუსვა კითხვა, **როდის აპირებს თურქეთი აფხაზეთის აღიარებას.** იყო ქართველი და არ უჭერდე ამ არჩევნებში **ერდოღანს** მხარს, საქართველოს მტრობას ნიშნავს, არ აქვს მნიშვნელობა ეს იდიოტობით მოგდის თუ სპეციალურად აკეთებ ამას.

„იმედინიუსი“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*



არაფერი არ იქნება, ვიდრე მოქალაქე არ მიხვდება, **ხმას რომ აძლევს, ის ღმერთი არ უნდა გახადოს** — ერთხელ გახადეს, მეორედ გახადეს, მესამედ გახადეს — აგერ, **ერთი საავადმყოფოშია, მეორე კი დამალულია.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური პარტიის წევრი*



ისეთი არჩევნები არ გვჭირდება, რომელიც **ისევ ივანიშვილს ან ისევ სააკაშვილს** მოიყვანს ხელისუფლებაში.

„ახალი თაობა“

# „თბილისის ომის დროს სასულიერო პირებს კუბოებით ეკლესიებში იარაღი შეჰქონდათ და ამას სჩადიოდნენ მოსახლეობის თვალის ასახვევად, თითქოს კუბოში მკვდარი იწვა!“



ლიერი მოძღვარი იყო, პირდაპირ აცხადებდა, რომ **„შევარდნაძემ და ილია მეორემ საქართველოში პოლიტიკური ეკლესია ჩამოაყალიბეს, რათა რელიგიაც პოლიტიკურ რელსებზე გადაეყვანათ!“**

**— კიდევ რა იყო დაპირისპირების მიზეზი?**

— პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის ურთიერთობას ისიც ძაბავდა, რომ საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი იყო და ეკუმენურ მოძრაობაში გახლდათ ჩართული. დიდი სჯულისკანონით, ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ილია მეორემ, პატრიოტული ძალების ზეწოლის შედეგად, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო დატოვა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ საკითხშიც მართალი იყო.

**— შეეძლოთ თუ არა საქართველოს ეკლესიას და ილია მეორეს ზვიად გამსახურდიას დამხობის შეჩერება?**

— *(იცინის)* ილია მეორე და საქართველოს საპატრიარქო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას როგორ შეაჩერებდნენ, როცა ეკლესია და პატრიარქი გადატრიალებაში თავად მონაწილეობდნენ?! **ედუარდ შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დიდი მოძრაობა და სპეცოპერაცია 1991 წლის 2 სექტემბერს კი არ დაუწყია, არამედ ეს მოძრაობა მან ცეკას პირველი მდივნობის ადრეულ ეტაპზე, სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან დაიწყო.**

**— მაინც როგორ დაიწყო?**

— მოსყიდვით! შევარდნაძე ადამიანების მოსყიდვის დიდოსტატი იყო! მოხდა უბედურება — საქართველოს ე.წ. ნაღები ინტელიგენცია და საეკლესიო ელიტა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ყველაზე საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ, ედუარდ შევარდნაძისა და მისი მსტოვრების მიერ მოსყიდული აღმოჩნდნენ! შევარდნაძემ, როგორც სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები მიიმხრო, სწორედ ასე მოისყიდა სასულიერო წოდების ჯგუფი, რომელიც ეკლესიას მართავდა. თბილისის ომის დროს, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ამხობდნენ, ეკლესიებში იარაღი კუბოებით შეჰქონდათ! შეიარაღებული ბანდიტები, რომლებსაც იარაღით რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი ამარაგებდა, თადარიგს იჭერდნენ და ომის გაგრძელებისა და გაფართოების შემთხვევაში იარაღის საწყობებს მთელი ქალაქის მასშტაბით ქმნიდნენ.

**— კი მაგრამ, იარაღის საწყობები ეკლესიებშიც იყო?**

— საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და ავადსახსენებელი ფაქტია, რომელსაც ადგილი ნამდვილად ჰქონდა... დიახ, თბილისის ომის დროს სასულიერო პირებს კუბოებით ეკლესიებში იარაღი შეჰქონდათ და ამას სჩადიოდნენ მოსახლეობის თვალის ასახვევად, თითქოს კუბოში მკვდარი იწვა... ცხადია, ამ ყველაფრის შესახებ საქართველოს ეკლესიის მეთაურმა იცოდა. საპატრიარქოს თანხმობის გარეშე ქაშუეთში ხატებს კედლებიდან ვერ ჩამოხსნიდნენ და ეკლესიის გუმბათში სნაიპერები და მეტყვიამფრქვევეები ვერ ავიდოდნენ. მათი მთავარი სამიზნე იყო მთავრობის სასახლის მესამე სართული, სადაც ზვიად გამსახურდიას კაბინეტი მდებარეობდა. სწორედ იმიტომ აძვრნენ ქაშუეთის გუმბათში, რათა იქიდან პრეზიდენტისთვის უფრო საგულდაგულოდ დაემიზნებინათ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — **საპატრიარქო და პატრიარქი ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობას არ და ვერ შეაჩერებდნენ, რადგან საქართველოს ეკლესიაც შევარდნაძის მიერ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი და მონაწილე იყო.** ჩემი ინფორმაციით, თბილისის ომის დროს **ზვიად გამსახურდიამ** ორჯერ სცადა საქართველოს პატრიარქთან შეხვედრა, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ეს შეხვედრა ვერ შედგა. **დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი — ილია მეორემ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას თავი აარიდა და ავადმყოფობა მოიმიზეზა!** მოკლედ, ილია მეორე შევარდნაძესთან იმდენად იყო დაკავშირებული, იმ სიტუაციიდან ვერ გამოვიდოდა და ვერც სისხლისღვრას შეაჩერებდა.



# „საქართველოს ე.წ. ნაღები ინტელიგენცია და საეკლესიო ელიტა შევარდნაძისა და მისი მსტოვრების მიერ მოსყიდული აღმოჩნდნენ!“

შევარდნაძის მეცადინეობით და მის მიერ წარმოებული მოსყიდვის პოლიტიკის წყალობით, ეკლესიის მმართველი ელიტა უშიშროებას შეერწყა. ამდენად, რაც გინდა მძიმე და მწარე მოსასმენი იყოს, **ზვიად გამსახურდიასა და საპატრიარქოს შორის დაპირისპირება სინამდვილეში უნდა განვიხილოთ დაპირისპირებად ზვიადსა და უშიშროების ერთ-ერთ დანაყოფს შორის.** ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ საბჭოთა საქართველოში მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა რელიგიის საქმეთა კომიტეტი, რომელიც „კაგებეს“ სტრუქტურას წარმოადგენდა.

**— თბილისში ატეხილი საშინელი და სისხლისმღვრელი ომის შეჩერებას სომხეთის ხელისუფლებაც შეეცადა, რაც ვერ მოხდა.**

— ომის შეჩერებას ასევე ცდილობდა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც,** მაგრამ უშედეგოდ. გულახდილად რომ გითხრათ, საქართველოს ეკლესიის მხრიდან ომის შესაჩერებლად ქმედით მცდელობას ადგილი არც ჰქონია! ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ ჩემთვის ცნობილი არ არის...

ის ფაქტი, რომ, ზვიად გამსახურდიას არაერთი მცდელობის მიუხედავად, პატრიარქმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და პირველი პრეზიდენტი არ მიიღო, იმის ნათელი დასტურია, რომ საქართველოს ეკლესიის დიდ ნაწილს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა სურდა. ეს ნათლად გამოჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატრიარქი ოპერის ბაღში მოშიმშილე **ჯაბა იოსელიანთან** მივიდა, შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა, გულში ჩაიკრა და უთხრა — **ჯაბა, თქვენ საქართველოს სჭირდებით!** ზვიადის დამხობაში ეკლესიაც რომ უნდა გაესვარათ, ეს დიდი და საგანგებო გეგმის ნაწილი იყო!

**— რომელი გეგმის?**

— საუბარია იმ გეგმაზე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკლესის დანგრევა-განადგურებას! დაინტერესებულმა ძალებმა ამ სისხლიან საქმეში ეკლესიის „გასაყვანად“ ყველაფერი გააკეთეს, რათა მერე ხელში უმძლავრესი არგუმენტი დაეჭირათ და საქართველოს მოსახლეობის თვალში ეკლესიისა და საპატრიარქოს სრული დისკრედიტაცია მოეხდინათ! **ვიღაცის სატანურმა ტვინმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ თავიდან ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ილია მეორის უდიდეს მეხოტბეებად იქცნენ, რამაც მისი პატრიარქად კურთხევა გარანტირებული გახადა, მაგრამ იმავე ხალხმა შემდეგ გამსახურდიას ხმები გაუვრცელეს — ზვიადს პატრიარქობა უნდაო! — და გამსახურდია ილია მეორეს დაატაკეს!**

ეს იყო შევარდნაძისა და „კაგებეს“ მიერ დაწერილი სცენარი, რომელმაც საქართველოს შემდგომი ბედი დიდწილად განსაზღვრა და თბილისში ატეხილი ომის დროს ილია მეორე გააჩუმა. სასულიერო პირები რომ ქვეყნის გადამტრიალებლებთან ახლო კავშირში იყვნენ, ამის ნათელი დასტურია მამა **როსტომ ლორთქიფანიძის** ხშირი სტუმრობა თენგიზ სიგუას ოჯახში. პირადად შევსწრებივარ მათ ჩურჩულს... სიგუა ჩემი მეზობელი გახლდათ და მის ოჯახში არაერთხელ ვყოფილვარ. მამა **როსტომ ლორთქიფანიძე,** რომელიც ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი და კომუნისტური პარტიის სიით უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო, თენგიზ სიგუასა და პატრიარქს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა! **არაერთხელ შემინიშნავს, თუ როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს მამა როსტომ ლორთქიფანიძე და საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა...**

სხვათაშორის, სიგუა აღიარებდა და ამბობდა — ზვიად გამსახურდიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა თბილისის ზღვაზე არ გაგვანადგურაო! იგივე თენგიზ სიგუა გახლდათ მთავრობის სასახლეში ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ინიციატორი! ამ მიზნით ამბოხებულებმა ზვიად გამსახურდიას გუნდში შეგზავნეს ცნობილი აგენტ-პროვოკატორი **გია უჩავა,** რომელიც მოგვიანებით გენერალიც გახდა. **უჩავას,** რომელიც გამსახურდიას ხუთკაციან სამხედრო საბჭოშიც კი შედიოდა, თავისუფლად შეეძლო მისი მოკვლა, რასაც დაჟინებით ითხოვდა **თენგიზ სიგუა,** მაგრამ იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



სტრასბურგის სასამართლოს პასუხი **სააკაშვილის** ვარშავაში გადაყვანაზე მკაფიო ნიშანია იმისა, რომ **ევროპაში გადარჩენილია ინსტიტუციები,** რომლებიც თავიანთ რეპუტაციას უფრთხილდებიან და **ჯალათს მსხვერპლად ვერ შეასაღებ.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა ტუსკაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა საქართველოსთვის“ ლიდერი*



სტრასბურგის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით თქვა, რომ **სააკაშვილს სასიკვდილო არაფერი სჭირს.** სააკაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გადაიყვანონ. **საქართველოს ციხეებში 9 ათასი პატიმარია. მათ რას ვეუბნებით, როდესაც უკვე 2 წელი სრულდება, რაც სააკაშვილი სასჯელს საავადმყოფოში იხდის.**

„ახალი თაობა“

**პაატა დავითაია**
*პოლიტიკოსი*



თუ ოპოზიცია გონს არ მოეგება, **„ოცნება“ მომდევნო არჩევნებზეც უმრავლესობას მიიღებს.**

„ახალი თაობა“

# მაჭუტაძემ ნაცებს «ჭუტა» უჩვენა!



**2023 წლის 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს, უწმინდურთა ბუნაგში, რომელსაც ქართულ პოლიტიკურ საძაღლეთში „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, დიდი გნიასი და გაწევ-გამოწევა ატყდა.**

საქმე ის გახლავთ, რომ ამ დღეს საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა იმ კანდიდატებს, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრისთვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილები უნდა დაეკავებინათ. ხუთი კაციდან აირჩიეს სამი — **ტრისტან ბენაშვილი, გიორგი გზობავა და ზურაბ გურასპაშვილი.** კანდიდატების ასარჩევად, მინიმუმ, 90 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საჭირო, რასაც „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“ ერთად ვერ აგროვებდნენ და მხოლოდ 84 ხმას უყრიდნენ თავს. მაგრამ კენჭისყრა ჩატარდა და ჰოი, საკვირველებავ — ბენაშვილმა 93 ხმა მიიღო, გზობავამ — 91, ხოლო გურასპაშვილმა — 93, რაც იმის უტყუარი მტკიცებულება იყო, რომ ხელისუფლებასთან ერთად კანდიდატებს ოპოზიციონერებმაც დაუჭირეს მხარი.

ამ ფაქტით აღშფოთებული დეპუტატი **სალომე სამადაშვილი** პარლამენტის სხდომათა დარბაზში მკერდდაშანთული ამორძალივით წამოიჭრა, თვალები დაქაჩა, ცხვირის ნესტოები ინდაურის ჩიჩახვივით დაბერა, ტუჩები მობრიცა, აკნავლდა, აჩხავლდა და ნაცსექტანტებს მოუწოდა — **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღოთ, გარეთ გამოდითო!**

მოკლედ, დიდი ამბები ატყდა და მაშინვე იმის კვლევა-ძიება დაიწყო, ვინ იყვნენ ის მოღალატეები, რომლებმაც „ქართული ოცნების“ კანდიდატებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მხარი დაუჭირეს. სამადაშვილის შემდეგ ერთ-ერთი, ვინც გამოვარდა და ულვაშები წისქვილის ვირთხასავით ააცმაცუნა, **რომან გოცირიძე** იყო, რომელმაც ოპოზიციისა თუ „ჟოპოზიციის“ გასაგონად ერთმნიშვნელოვანი დიაგნოზი დასვა — ასეთი რამ ფულის გარეშე არ ხდებაო!

და მაინც, ვინ იყო ის ხუთი კაცი, რომელიც საქართველოს პარლამენტში ხუთი ნომრით შევიდა და 2023 წლის 17 მაისს სააკაშვილსა და მის სექტას უგანა!

დუმილი **ლუკა მაჭუტაძემ** დაარღვია, რომელმაც ყოფილ დედაპარტიას **„ჭიტა“** დაუძახა და **„ჭუტა“** უჩვენა — იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ხმა მივეციო! **მაჭუტაძეს** მიჰყვნენ და-ძმა **ნატო და როსტომ ჩხეიძეები, ბაჩუკი ქარდავა** და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **დილარ ხაბულიანი.**

**იყო დრო, მაჭუტაძე ერთი პატრიოტი ბიჭი გახლდათ, თბილისის ქუჩებში ზვიადის დროშას აფრიალებდა და ისევე, როგორც სააკაშვილის წვერებიანი მარქსი – შალვა ხაჭაპურიძე, ეროვნულებთან ერთად იდგა!**



ინციდენტის შემდეგ, რომელმაც ისედაც მოფახფახებული ოპოზიცია და ლგბტ ფაშისტები წყობილებიდან გამოიყვანა, **ლუკა მაჭუტაძემ, ნატო ჩხეიძემ და როსტომ ჩხეიძემ** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ დატოვეს.

**მოკლედ, მეძავი ქალისა არ იყოს, ნაცმოძრაობას სახელი ისე გაუტყდა და პოზიციები იმდენად შეერყა, თვით ლუკა მაჭუტაძემაც კი უგანა და „ჭუტა“ უჩვენა...** არადა, იყო დრო, მაჭუტაძე ერთი პატრიოტი ბიჭი გახლდათ, თბილისის ქუჩებში ზვიადის დროშას აფრიალებდა და ისევე, როგორც სააკაშვილის წვერებიანი მარქსი — **შალვა ხაჭაპურიძე,** ეროვნულებთან ერთად იდგა!

საერთოდ, **მაჭუტაძენი** ფრიად აღმატებული, ძველი და ისტორიული გვარის წარმომადგენელნი არიან. საქართველოს ისტორიამ უამრავი **მაჭუტაძე** იცის — საეკლესიო მოღვაწენი, ელჩები, მწიგნობრები და ა.შ. **ლუკა მაჭუტაძე** ამ ისტორიაში რა ადგილს დაიკავებს, ძნელი სათქმელია, რადგან კიტოვანის მეზარბაზნემ და სააკაშვილის დევმა — ნაცსექტანტმა **ჭანკოტაძემ,** რომელმაც ამ ოცდათორმეტი წლის წინათ რუსთაველის პროსპექტი გადაბუგა, ულტიმატუმი წაუყენა — ვინც სახელისუფლებო კანდიდატებს ოპოზიციიდან მხარი დაუჭირა, ან თვითონ წავიდეს, ან არადა, პარტიიდან გავრიცხავთო!

მოკლედ, **ლუკა მაჭუტაძემ,** რომელიც ერთ დროს ზვიად გამსახურდიას მზეს ფიცულობდა, იმდენი იკუნტრუშა და საქმე ისე წაიყვანა, თავიც ჩაირეცხა და ნაცსექტიდანაც გაირიცხა.

## მთავარი ახლა ის არის, მაჭუტაძე, რომელმაც სააკაშვილის პარტიას „ჭუტა“ უჩვენა, თავადაც ჭუტელი ხომ არ გახდება და გველების ბუდიდან ხვლიკების სოროში ხომ არ გადაინაცვლებს?

რაც შეეხებათ, **ბაჩუკი ქარდავასა და და-ძმა ჩხეიძეებს, ბატონი როსტომი, რომელიც დიდ გაუგებრობაშია მოყოლილი, განათლებული და წესიერი კაცია და ნამდვილად მეცოდება იმისათვის, რომ კიტოვანის მეზარბაზნე დევი ჭანკოტაძე პარტიიდან გარიცხვით დაემუქრა, ხოლო ნატო ჩხეიძე და, მითუმეტეს, ბაჩუკი ქარდავა, რომლებიც ბოლოს მაინც იმ სააკაშვილთან მიიძურძგნენ, რომელსაც უკანასკნელი სიტყვებით აგინებდნენ, თავიანთ გზას აუცილებლად მონახავენ!**

*დიტო ჩუბინიძე*

# ნაცმოძრაობას თვით მაჭუტაძემაც უღალატა!






გივი (ნიკოლოზ) ანდრიაძე:

# „წითელი მიხაკის რაინდად“ წოდებულ ტიციან ტაბიძის შვილიშვილს „სპორტის რაინდის“ წოდება მომანიჭეს!

***გასულ კვირას, 15 მაისს, რუსთაველის თეატრთან ტიციან ტაბიძის 80 წლის შვილიშვილს გივი ანდრიაძეს შევხვდი. ზუსტად 86 წლის წინათ, 1937 წლის 15 მაისს, სწორედ ამ თეატრში დაგმო ლავრენტი ბერიამ ტიციან ტაბიძის პოეზია და თავის საანგარიშო გამოსვლაში შემოქმედებითი სიმთვრალე უწოდა. ფაქტობრივად, ეს იყო სასიკვდილო განაჩენი. 86 წლის შემდეგ, 15 მაისს, დრომ თითქოს იმ პერიოდის მწარე სურნელი მოიტანა, ჰაერში ცეცხლის სუნი დატრიალდა და სახანძრო მანქანების სირენის ხმაც გაისმა — ქვედა ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი იწვოდა.***

**გივი (ნიკოლოზ) ანდრიაძე:** — 1937 წლის 15 მაისს რუსთაველის თეატრში **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-10 ყრილობაზე** ლავრენტი ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში ტიციან ტაბიძესა და მის მეგობარ „ცისფერყანწელებს“ კარჩაკეტილი, განკერძოებული ჯგუფი უწოდა — **მათი პოეზია შეზარხოშებისა და შემოქმედებითი სიმთვრალის ნიშანი იყო, რაც ქეიფში გამოიხატებოდაო.** დარბაზში სიცილი ამტყდარა. მიუხედავად იმისა, რომ დამსწრეთ შორის ტიციანისა და მისი მეგობრების ნაცნობები და მწერალთა კავშირის წევრებიც ისხდნენ, მათ დაცვას ვერავინ გაბედავდა. სწორედ ამ გამოსვლისას უწოდა ბერიამ **სანდრო ახმეტელს** ფაშისტი, რომელიც უკვე დაპატიმრებული ჰყავდა და ერთ თვეში დახვრიტა კიდეც.

რუსთაველის თეატრი იმ პერიოდში **სერგო კლდიაშვილის** პიესაზე („ვერაგი“) მუშაობდა, უნდა ეჩვენებინათ ხალხის მტრების მავნებლური მოქ-

## კვირგვინოსნები

**ისაკო დასაენი**
*პარლამენტარი*



არც მე, არც ჩემს შვილებს **ქოლცენტრებთან და მათ დანაშაულებთან კავშირი არ გვქონია,** მიმდინარეობს გამოძიება და დარწმუნებული ვარ, დადგინდება, ვინ არის დამნაშავე. „პირველი არხი“

**ავთანდილ ხუციძე**
*მოკრივე*



ერთადერთ კაცად მთვლიდნენ ციხეში, ვისაც იარაღი ჰქონდა — **იარაღად ჩემი ხელი ითვლებოდა.** ამერიკამ არ იცის, რომელი ქვეყნის მოქალაქე ვარ, **როგორც რუსი, ისე გამასამართლეს.** „თბილისელები“

**კონსტანტინე მჭედლიშვილი**
*საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ექსპერტი, პროფესორი*



მტკვარზე, სულ ცოტა, **კიდევ ორი ხიდი მაინც უნდა აშენებულიყო.** ახალი ავტობუსების შემოყვანა და ბასლაინების მოწყობა ნაწილობრივ ჭრის პრობლემას, აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარებაც — **გზებისა და ქუჩების ქსელის განვითარება თავისი ხიდებით, გვირაბებითა და კვანძებით.** „კვირის პალიტრა“

**ელენე თაბაგარი**
*პიანისტი*



ჩემი ოცნებაა, **გადარჩენაზე ფიქრი შევწყვიტო.** ერთი დღე მაინც იყოს ისეთი, რომ **მთელი დღე გადარჩენაზე ფიქრის მაგივრად დრო მთლიანად მუსიკას დავუთმო,** შემდეგი კონცერტი დავგეგმო და არა — მეორე დღის ლუკმა. „სარკე“

**მეუფე ანტონი**
*ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი*



**ოჯახის სიწმინდის დღეს** ხალხი გამოვიდა, რათა კიდევ ერთხელ თქვას თავისი სიტყვა — ნუ ცდილობენ, ახალ-ახალი შეპარული იდეებით **გადაგვიგვარონ რწმენა და ერთგულება სარწმუნოებისადმი.** „ინტერპრესნიუსი“

მედება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ხალხის მტრებში, რა თქმა უნდა, მოიაზრებდნენ **ახმეტელსაც, ტიციან ტაბიძესაც, პაოლო იაშვილსაც, გოგი ელიავასაც** და სხვებს. ეს იყო ბერიას შურისძიება ნიჭიერ ადამიანებზე, თანაც, ახმეტელს ამ დროისათვის მისთვის უკვე ნათქვამი ჰქონდა — ნეტა, შენ თეატრისა რა გაგეგებაო... ბერია ამაზე გაბოროტდა. მოგვიანებით რუსთაველის თეატრში პირველობის სურვილი მაინც დაიკმაყოფილა და კომპარტიის მე-10 ყრილობა იქ ჩაატარა.

**— ამის შემდეგ მწერალთა კავშირში მოხდა პარტიისათვის მიუღებელი პოეტებისა და მწერლების დაგმობა, რომელთა შორისაც იყო ტიციან ტაბიძე...**

— ვინც ბერიას არ მოსწონდა, იმათ გარეწრები, ჯაშუშები და ხალხის მტრები უწოდეს. **პაოლო იაშვილმა** წნეხს ვერ გაუძლო და 1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირში თავი მოიკლა. მეორე დღეს, 23 ივლისს, ბიუროს სხდომაზე თქვეს — იაშვილის თვითმკვლელობა პარტიისა და საბჭოთა წყობის წინააღმდეგ პროვოკაციული ქმედება იყო და ამის გამო ისე უნდა დასაფლავდეს, როგორც ხალხის მტერიო...

პაოლო და ტიციანი განუყრელი მეგობრები იყვნენ და მათი ერთმანეთისადმი ერთგულება დასაფასებელია. მიხარია, რომ ქუთაისში, ცისფერყანწელთა ქუჩაზე, მათი ქანდაკებებიც დადგეს, თუმცა, სამწუხაროდ, აქამდე ნახვა ვერ მოვახერხე. როდესაც მერაბ ბერძენიშვილს ტიციანის ძეგლი ყვარელში უნდა დაედგა, თან ვახლდი, ადგილს არჩევდა, მახსოვს, მთელი დღე რაიკომის მდივანთან ერთად დავდიოდით. ბოლოს მერაბმა ერთი სკვერი შეარჩია, სადაც მზის სხივები ისე სცემდა, რომ ძეგლის დადგმის შემთხვევაში, მთელი დღის განმავლობაში განათებული იქნებოდა. მერე ისიც გავიგეთ, თურმე, ეს ადგილი ადრე **ნინო მაყაშვილის** — ტიციანის მეუღლის სახლის ეზო ყოფილა. აქვე ერთი საინტერესო ფაქტიც მაცნობეს — **ნინო მაყაშვილის ბაბუის მამა (დედის მხრიდან) და ილია ჭავჭავაძე ძმები იყვნენ, ვენახებიც და მარანიც საზიარო ჰქონდათო.**

**— ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ თქვენ — 1937 წელს დახვრეტილი ტიციან ტაბიძის შვილიშვილი — საბჭოთა პოლიტიკური ელიტის მთავარი მკურნალის ევგენი ჩაზოვის მოსწავლე იქნებოდით...**

— ექიმების ოჯახში გავიზარდე, ბაბუაჩემი **ნიკოლოზ ანდრიაძე** პირველი ინფექციონისტი იყო, ამ დარგის ჩამოყალიბება და განვითარება სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული, დააარსა ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო (რომელსაც მისი სახელი ეწოდა). ექიმი-კარდიოლოგი იყო მამაჩემიც — **ალექსი ანდრიაძე,** ასე რომ, სკოლის დამთავრების შემდეგ მეც სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე, ვმუშაობდი მოსკოვში, მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში, დისერტაცია დავიცავი აკადემიკოს **ევგენი ჩაზოვის** ხელმძღვანელობით. იგი მთელ მსოფლიოში ცნობილი ექიმი იყო, წლების განმავლობაში მეოთხე სამმართველოს — ე. წ. „კრემლიოვკას“ უფროსი გახლდათ, სადაც სსრ კავშირის პარტიული ლიდერები მკურნალობდნენ — **ლეონიდ ბრეჟნევი, კონსტანტინე ჩერნენკო, იური ანდროპოვი, მიხეილ გორბაჩოვი, ბორის ელცინი...** ჩაზოვთან დიდი სკოლა გავიარე, მეც უამრავ პაციენტს ვმკურნალობდი. ერთხელ სამკურნალოდ მოიყვანეს ერთ-ერთი სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ჩემს მორიგეობაზე გაუჩერდა გული, ახალგაზრდა ვიყავი, ელექტროშოკერი გამოვიყენე, დეფიბრილაცია ჩავუტარე და გავაცოცხლე. ერთი წუთიც რომ დამეყოვნებინა, დაიღუპებოდა. იმ დროისათვის ეს იშვიათი მოვლენა იყო და ჩაზოვმა მადლობა გამომიცხადა. მაშინ პირველად გადავარჩინე ადამიანი, თანაც — ცნობილი ექიმი.

საქართველოში ვმუშაობდი რესპუბლიკურ საავადმყოფოში კარდიო-ქირურგიული დეპარტამენტის ექიმ-კონსულტანტად, ვაგვარებდი სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობებს. გამოქვეყნებული მაქვს 70-მდე ნაშრომი, ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთი საკანდიდატო დისერტაცია. 2017 წელს ამირჩიეს აკადემიკოსად, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლა კი, ჩემს ასაკში უკვე ძალიან გამიჭირდა კონფერენციებზე დასწრება, ავადმყოფების გასინჯვა, მათ ნათესავებთან საუბარი, ამიტომ საავადმყოფოში სიარულზე უარი ვთქვი.

**— ამას გარდა, ვეტერანი მოფარიკავე ბრძანდებით, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ გინესის რეკორდების დირექციაში თქვენზე რეკომენდაცია წარადგინა...**

— მშობლებმა 12 წლის ასაკში პიონერთა სასახლეში ფარიკაობის წრეზე შემიყვანეს. პუტკუნა ბიჭი ვიყავი, იფიქრეს — აქტიური სპორტით დაკავდება და წონაში დაიკლებსო. **ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ფარიკაობაში გავხდებოდი მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.** 20 წლისაც არ ვიყავი, როდესაც ეგვიპტეში მსოფლიო ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა, ეს იყო 1962 წელი, ფინალში შევხვდი ფრანგ მოფარიკავეს **კურტილიას,** რომელიც იმ წელს ჩემპიონი გახდა, მე კი მეხუთე ადგილზე გავედი.

შემდეგ წელსაც გავედი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ბელგიის ქალაქ გენტში გაიმართა, პირველი ადგილი ავიღე და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, სამჯერ მოვიგე ტურნირი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე. იმ დროს ფარიკაობა ელიტური სპორტის სახეობად ითვლებოდა, ტურნირი რომ მოგეგო, ძალიან ბევრი უნდა გევარჯიშა. სხვათაშორის, **დღესაც აქტიურად ვვარჯიშობ, დავრბივარ, ვცურავ, 80 წლის ვარ და კიდევ ვცდილობ, სპორტულ ფორმაში ვიყო, მაგრამ ტურნირებში მონაწილეობას აღარ მივიღებ.**

**— რატომ?**

— ვეტერანების მსოფლიო პირველობები ერთხელაც არ გამომიტოვებია, 1997 წლიდან ვმონაწილეობდი. 2002 წელს ამერიკაში ტარდებოდა მსოფლიო პირველობა ვეტერანებში, კარგად მოვემზადე და ჩავედი. თავიდან მეხუთე, მერვე და მეათე ადგილებზე გავედი, მერე შედეგები გავაუმჯობესე. იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი ავიღე, უნგრეთში მესამეზე გავედი. 70 წელს გადაცილებული ვიყავი, როდესაც დაშნითა და ხმლით ვიფარიკავე, არადა, მთელი ცხოვრება რაპირით ვფარიკაობ.

2015 წელს ლაიფციგში, მედიკოსების ჩემპიონატზე, რაპირით ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. 2019 წელს ისევ გერმანიაში ხმლით, რაპირითა და დაშნით ევროპის ჩემპიონი გავხდი. თუმცა, ბევრი ფიქრის მერე გადავწყვიტე, ფარიკაობას თავი დავანებო, მივხვდი, რომ 80 წლის ასაკში შეჯიბრის მოგება უკვე შეუძლებელია. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ხორვატიაში ორი ბრძოლა მოვიგე, მაგრამ შემდეგი წავაგე ინგლისელ მოფარიკავესთან, რომელიც ჩემზე 10 წლით უმცროსი იყო. ასე გამოვეთიშე შეჯიბრებას. წაგებას შეჩვეული არ ვარ და ძალიან გამიჭირდა ამასთან შეგუება. ასე რომ, ტურნირებს თავი დავანებე, თუმცა, სპორტს მაინც ვერ ველევი, ყოველდღე დავრბივარ, ვცურავ.

**სიმბოლურია, რომ „წითელი მიხაკის რაინდად“ წოდებულ ტიციან ტაბიძის შვილიშვილს „სპორტის რაინდის“ წოდება მომანიჭეს. ამით ვამაყობ.**

ყოველი წლის 12 აპრილს (სწორედ ამ დღეს გავხდი ჩემპიონი), საკუთარი ხარჯებით ვატარებ ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ტურნირს, სადაც მონაწილეობენ ახალგაზრდა მოფარიკავეები როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან.

**— თქვენს ოჯახში მომავალი მოფარიკავე იზრდება...**

— ფარიკაობაზე დადის ჩემი შვილიშვილი, ქალიშვილის — მარიამის შვილი **ელენე,** კარგი შედეგები აქვს. მარიამის ვაჟი **ზუკა** ჭადრაკს თამაშობს კარგად. მე ვაჟთან **ლექსოსთან** ვცხოვრობ, მისგან მყავს 12 წლის შვილიშვილი ნიკოლოზ ანდრიაძე, რომელსაც როგორც შემიძლია, ვანებივრებ, დავყვები ჩოგბურთზე, ცურვასაც ეუფლება — დახურული აუზი გვაქვს და კვირაში ორჯერ მასთან მოდის ცურვის მასწავლებელი. სამწუხაროდ, გარდაცვლილია ჩემი მეუღლე **მანანა ანდრიაძე,** კონსერვატორიის პრორექტორი იყო, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პირველი მუსიკათმცოდნე ქართველი ქალი, რომელმაც ამ სფეროში დოქტორის ხარისხი მიიღო, კონსერვატორიაში შექმნა საეკლესიო მუსიკის კათედრა და ქართული საგალობლების კვლევის სკოლა. ჩემი შვილები — ლექსო და მარიამი, ასევე რძალი — ლექსოს მეუღლე ანა სითბოსა და ყურადღებას არ მაკლებენ, გვერდით მიდგანან და ცხოვრებას მილამაზებენ. **მიხარია, რომ ტიციან ტაბიძისა და ნიკოლოზ ანდრიაძის შთამომავლობა ცხოვრებას ღირსეულად აგრძელებს.**

**იური ოსიპოვი**, ***საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი:*** — **გივი ანდრიაძემ** საქართველოს ფარიკაობის ისტორიაში შესამჩნევი კვალი დატოვა, იუნიორთა შორის იყო ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი რაპირაში, რაპირა კი ფარიკაობის კლასიკაა. მიხარია, რომ მიუხედავად ჩვენ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობისა, სპორტში ერთად გავიარეთ ძალიან საინტერესო ცხოვრებისეული ეტაპი. აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩვენ პროფესიონალი სპორტსმენები არ ვყოფილვართ და საკუთარ პროფესიაშიც გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ.

**ნუგზარ ფოფხაძე**, ***ჟურნალისტი, გივი ანდრიაძის მეგობარი:*** — ჩვენს თაობასა და სამშოში პირველი უდიდესი სიხარული მოგვანიჭა **გივი ანდრიაძემ,** რომელიც სტუდენტთა შორის ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაშინ სპორტი ყველას გვიყვარდა, ჩვენი ძმაკაცით ძალიან ვამაყობდით და დღესაც ვამაყობთ, რადგან მას ეს სპორტი არ მიუტოვებია და ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონატებში დღესაც მონაწილეობს, ტურნირებს იგებს და სამშობლოში გამარჯვებული ბრუნდება ხოლმე.

გივი ჩემი უახლოესი მეგობარია, ჩვენი ოჯახის თილისმა, უწესიერესი კაცი, რომელმაც შესანიშნავი ოჯახი შექმნა და საუკეთესო შვილები გაზარდა. სამწუხაროდ, გარდაცვლილია მისი არაჩვეულებრივი მეუღლე, **ქალბატონი მანანა** — კონსერვატორიის პრორექტორი, მეცნიერი. გივი ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის განსახიერებაა, გაზრდილია დიდი პოეტის **ტიციან ტაბიძისა** და **ნინო მაყაშვილის,** ცნობილი ექიმის **ნიკოლოზ ანდრიაძის** ოჯახში, დიდებული წინაპრების შთამომავალია. იგი მიღებული იყო ნობელის პრემიის ლაურეატის, პოეტისა და მწერლის ბორის პასტერნაკის ოჯახში, მოსკოვში სწავლის პერიოდში მის სახლში ცხოვრობდა. მოგეხსენებათ, გივის ბაბუას — **ტიციან ტაბიძესა** და **პასტერნაკს** რა გულითადი და უანგარო მეგობრობა აკავშირებდათ — **ტიციანის დახვრეტის მერე ტიციანის ოჯახისადმი გამოჩენილი ერთგულებით პასტერნაკმა თავისი კაცობა და მოყვასის სიყვარული დაამტკიცა.** აი, ასეთი ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა გივი, პიროვნებად ჩამოყალიბდა და ვამაყობ, რომ ის ჩემი მეგობარია.

**ღმერთო, უმრავლე საქართველოს გივი ანდრიაძის მსგავსი ადამიანები, ისეთი ოჯახები, როგორიც მას ჰყავს, დალოცვილი იყოს მისი შთამომავლობა!**

***ესაუბრა***
***ქეთევან ხამიცაშვილი***





გივი ანდრიაძე დედასთან და მეუღლესთან ერთად



ნინო მაყაშვილი და ტიციან ტაბიძე



მსოფლიო ჩემპიონი გივი ანდრიაძე

„ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ფარიკაობაში გავხდებოდი მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი!“

## კვირგვინოსნები

**ვაჟა დურგლიშვილი**
*კომპოზიტორი*



მეც, **ვაჟა აზარაშვილიც** და სხვებიც **ბევრ ახალ სიმღერას ვწერთ, მაგრამ მომღერლები რატომღაც აღარ ინტერესდებიან.** ურჩევნიათ, ძველი, ცნობილი სიმღერა აიღონ, რაღაც შეცვალონ, **ტექსტი ან არანჟირება გადააკეთონ და ისე შეასრულონ.** საბოლოოდ კი უხარისხო პროდუქტს იღებენ.

„სარკე“

**ნინი ნიქლაური**
*მომღერალი*



საქართველოში რომ ჩამოვედი, **ძალიან შეცვლილი დამხვდა ყველაფერი.** მე ძველ უბანში ვცხოვრობ და სხვანაირი დასახლება დამხვდა მაღალი საცხოვრებელი სახლებით. არადა, გონებაში ბარაკები მქონდა დამახსოვრებული. ძალიან ლამაზია ეს ყველაფერი, მაგრამ **ასე მეგონა, რომ სხვაგან ვიყავი და არა — ჩემს უბანში.** მართლა სტუმარივით ვიგრძენი თავი, **იქ უკვე ჩემი ბავშვობის ნაწილი აღარ იყო.**

„სარკე“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოლოგი*



საქართველო მკვეთრად გამოხატულია **რელიგიური ღირებულებებით, ოჯახის ფასეულობებით,** „ქართული ოცნება“ დადგა იქ, სადაც უნდა დამდგარიყო.

„TV იმედი“

# რა უნდა ვიცოდეთ კუჭის კიბოს

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი **კახა საბახტარიშვილი** კაცობრიობის მოურჩენელი სენის — კიბოს წინარე ნიშნების, წარმოშობისა და პრევენციის შესახებ საუბრებს აგრძელებს და ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ადამიანები, რომელთა მშობლებიც სიმსივნით დაიღუპნენ, კიბოს მაღალ რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან:*



## კახა საბახტარიშვილი: ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კიბო გენეტიკური დაავადებაა!

### „რესტორნებში სიგარეტის მოწევის აკრძალვა უდავოდ მისასალმებელია, ამით საყლაპავი მილის კიბოს რისკს ვამცირებთ!“

— ცნობილი გამოთქმა — **„სიმსივნე განაჩენი არ არის!“** — აბსოლუტურ რეალობას ასახავს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კიბოს დროულად აღმოვაჩენთ და შესაბამის მკურნალობასაც არ დავაყოვნებთ. წინა ინტერვიუში დეტალურად ვისაუბრეთ იმ ნაადრევი ნიშნების შესახებ, რომელიც ამა თუ იმ სახის სიმსივნეს ახასიათებს. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური და გავრცელებული კუჭ-ნაწლავის სისტემის სიმსივნეებია, რაც პირდაპირ კავშირშია იმ არასწორ კვებასთან და ჩვევებთან, რაც ლამის ეროვნულ ტრაგედიად იქცეს! **დავიწყოთ მარტივი და საშიში ჩვევით, როცა ლხინის დროს ძლიერმოქმედი ალკოჰოლური და სპირტიანი სასმელების მიღებასთან ერთად სიგარეტსაც ვაბოლებთ. სწორედ ეს არის საყლაპავი მილის კიბოს გამომწვევი ძირითადი მიზეზი!**

**— ბატონო კახა, ალკოჰოლი და სიგარეტი საყლაპავი მილის კიბოსთან რა კავშირშია?**

— საყლაპავი მილის სიგრძე, რომლის მეშვეობითაც საკვები პირიდან კუჭში გადადის, საშუალოდ 25-30 სანტიმეტრს შეადგენს. საყლაპავი მილის შიდა ზედაპირი ძალიან მგრძნობიარეა თერმული და ნიკოტინის ზემოქმედების მიმართ. როდესაც სპირტიან სასმელს ნიკოტინს ვაყოლებთ, საყლაპავის შიდა ზედაპირზე ნიკოტინის ზემოქმედება ათჯერ იზრდება. ნიკოტინი კი კიბოს გამომწვევი კანცეროგენია და თუკი მისი მავნე გავლენა სპირტის ზემოქმედებით ათმაგდება, ცხადია, ათმაგდება ნიკოტინისგან გამოწვეული საყლაპავი მილის კიბოს რისკიც. ამიტომ რესტორნებში სიგარეტის მოწევის აკრძალვა უდავოდ მისასალმებელია, ამით საყლაპავი მილის კიბოს რისკს ვამცირებთ! **საყლაპავის კიბო შესაძლოა, განვითარდეს ცხელი ჩაის ან ყავის სმის შედებად.** ძალიან მაღალი ტემპერატურა იწვევს საყლაპავი მილის შიდა კედლების დამწვრობას, ანთებას და ბოლოს წყლულების წარმოქმნას. საყლაპავში გაჩენილი წყლულები გადაგვარებული უჯრედებია, რომელთა კიბოში გადაზრდამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. **დადგენილია, რომ მდუღარე, ქაფქაფა ჩაის, ყავისა და რძის მიღება საყლაპავი მილის კიბოს რისკს რვაჯერ ზრდის! ჩაყავით თითი ახლად ადუღებულ ჩაიში ან ყავაში და რასაც იგრძნობთ, ბევრად უარესი რამ ხდება ყელში.** ეს არის ერთგვარი ტესტი იმის დასადგენად, თუ რა დონეზე გაცხელებული სითხე შეიძლება მივიღოთ. ცნობისათვის, სითხე, რომლის დალევასაც ვაპირებთ, მისი ტემპერატურა ცელსიუსით 60 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს!

**— საქართველოში ე.წ. „იჟოგა“, ანუ გულწვა ძალიან ბევრს აწუხებს. არის თუ არა „იჟოგა“ საყლაპავი მილისთვის საშიში?**

— ე.წ. „იჟოგის“ დროს კუჭის წვენი, რომელიც უძლიერესი მჟავე რეაქციის მატარებელია, იწვევს საყლაპავი მილის ანთებას, ანუ **ეზოფაგიტს.** თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, საყლაპავი მილის ანთებითი უბნები დაწყლულდება და პროცესი კიბოში გადაიზრდება. **თუ ყლაპვა გვიჭირს, გული გვერევა და გვაღებინებს, ყლაპვისას ყელი გვტკივა, წონაში ვიკლებთ, ბეჭებს შორის გვტკივა ან მკერდის ძვლის უკან დისკომფორტს ვგრძნობთ, ე.წ. „იჟოგას“ ვერ ვიშორებთ, გვახველებს და ხმა გვეხლიჩება, აუცილებლად მივმართოთ ონკოლოგს, რათა საყლაპავი მილის სიმსივნე გამოირიცხოს!**




## „დადგენილია, რომ მდუღარე, ქაფქაფა ჩაის, ყავისა და რძის მიღება საყლაპავი მილის კიბოს რისკს რვაჯერ ზრდის!“



ონკოლოგს მაშინაც კი უნდა მივმართოთ, როცა არცერთი ეს ნიშანი გამოხატული არ არის, მაგრამ მაინც ვგრძნობთ მუდმივ ტკივილს ბეჭებს შორის, რომელიც მხრებსა და კისერზე ვრცელდება... ეს შესაძლოა, საყლაპავის კიბოს ყველაზე ნაადრევი და პირველი ნიშანი იყოს! ამ ტკივილის მიზეზი ის არის, რომ საყლაპავი მილი ზურგის მხრიდან ხერხემალს ეკვრის... ასეთი ტკივილი კისრის ოსტეოქონდროზსაც ახასიათებს, მაგრამ უმჯობესია, პირველ რიგში, მაინც ონკოლოგს ვესტუმროთ, სიმსივნე გამოვრიცხოთ და მერე წავიდეთ ხერხემლის სპეციალისტთან.

**— კუჭი საქართველოში თითქმის ყველას აწუხებს... რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა კუჭის სიმსივნე არ გამოგვეპაროს?**

— გასტრიტი, ეროზია და წყლული რეალურად კუჭის კიბოს სტადიებია! თუ ამ სტადიებს არ გაივლის, კუჭის კიბო ვერავითარ შემთხვევაში ვერ განვითარდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა კუჭში პოლიპებია და დიდია იმის ალბათობა, რომ სიმსივნეში გადაიზარდოს. დღესაც მიიჩნევენ, რომ გასტრიტის, ეროზიისა და წყლულის მიზეზი ცხარე სანელებლებია. ეს აზრი თუნდაც იმიტომ არის მცდარი, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტ ცხარე საჭმელს მექსიკელები მიირთმევენ, მაგრამ იქ კუჭის კიბოს შემთხვევები მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია. რეალურად თუ განვსჯით, გასტრიტის, ეროზიისა და წყლულის მიზეზი არც კუჭის მაღალი მჟავიანობაა. კუჭის ზედაპირი ისეა მოწყობილი, მას ხორცის მონელება იმგვარად შეუძლია, რომ თავისი თავი არ დაიზიანოს. კუჭის კიბოს გამომწვევი მიზეზი დადგენილია და ეს გახლავთ **ჰელიკობაქტერია პილორი,** რომელიც იმდენად გამძლეა, კუჭის წვენის ზემოქმედებასაც კი იტანს. ჰელიკობაქტერია პილორი გამოყოფს განსაკუთრებულ ფერმენტს — **პროტეაზას,** რომელიც „ბურღავს“ კუჭის კედლებს და ბაქტერიას საშუალებას აძლევს, კუჭის შიდა შრეში შეაღწიოს. იქ ჰელიკობაქტერია პილორი გამოყოფს სპეციალურ ცილას, რომელიც კუჭის უჯრედებში შეიფრქვევა, ცვლის მათ სტრუქტურას და კუჭის უჯრედებს წყლულებად და სიმსივნურ უჯრედებად აქცევს.

**— არ შეიძლება, რომ ეს სასიკვდილო ჰელიკობაქტერია პილორი დროულად აღმოვაჩინოთ და მისი ლიკვიდირება მოვახდინოთ?**

— ამისათვის არსებობს ორი

## კვირგვინოსნები

**ნანა ცინცაძე**
*ექიმი, პოეტი*



**ყოფილი ქმრის ჭირისუფლად ჩავთვალე თავი, მაგრამ დაკრძალვაზე არ მივედი.** მე არ ვარ სერიალის გმირი, რომ იქ მივსულიყავი. ყველა იტყოდა, **პირველი ცოლი მოვიდაო.** ისეთ დროს რომ მივსულიყავი, როცა იქ არავინ იქნებოდა, მაშინ იტყოდნენ, **მისასვლელი პირი არ ჰქონდა და ღამე იმიტომ მივიდაო.**

„სარკე“

**ნათია გოგოჭური**
*მსახიობი, ზაზა კოლელიშვილის მეუღლე*



არასდროს შევუწუხებივარ ასაკის მატებას. არც მაშინ, **40 წლის** რომ გავხდი და არც მაშინ, **50-ის რომ გავხდი,** მაგრამ ძალიან ავფორიაქდი, როცა **საპენსიო ასაკი** მომიახლოვდა. ზაზას დეპრესია ჰქონდა იმავე მიზეზით — **საპენსიო ასაკი** დაუდგა. წლების მატებას ვერ გრძნობ, სანამ სიტყვა **„პენსია“** არ დაიხატება ჰორიზონტზე.

„სარკე“

**კოსტა სანიკიძე**
*„პრაიმ შოუს“ ყოფილი მონაწილე*



**მთელი ბავშვობა სასაფლაოზე გავატარე,** მიყვარს იქაური ენერგია. ვწერდი ლექსებს, ვფიქრობდი, ვსაუბრობდი, ღამე მიძინია კიდეც და **სექსიც კი მქონია.** ახლა, ამას რომ ვამბობ, ვიღაცისთვის გიჟი ვარ, მაგრამ **მე სასაფლაოს ენერგეტიკა მამშვიდებს** და არც სიკვდილის მეშინია.

„თბილისელები“

**მედეა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



ჩემმა მეგობარმა, რომელიც 24 საათი ჩემთან იყო, ჩემთან სვამდა და ჭამდა, როცა კარგი ცხოვრება მქონდა, **ფული გამომატანინა ბანკიდან. მითხრა, ნელ-ნელა გადავიხდიო, მაგრამ ორი თვის შემდეგ მითხრეს, რომ ფული არ შეჰქონდა. დაჰკრა ფეხი და წავიდა.** აგარაკიც გავყიდე, რადგან ვალები დამედო. ბახტრიონზე ჩემი სახლიც გავყიდე და ელიავაზე ოთახნახევრიანი ვიყიდე.

„თბილისელები“

# ნაადრევი ნიშნების შესახებ?

მეთოდი — საეჭვო შემთხვევისას სასწრაფოდ მოხდეს კუჭის შიდა ზედაპირის ბიოფსია ან ჩატარდეს სპეციალური სუნთქვითი ტესტი, რომლის არსიც ასეთია — **ჩავისუნთქავთ და ამოსუნთქულ ჰაერს სპეციალურ კონტეინერში მოვათავსებთ. ამოსუნთქულ ჰაერში გავზომავთ ნახშირორჟანგის შემცველობას... შემდეგ დავლევთ კარბამიდის სპეციალურ ხსნარს, ისევ ამოვისუნთქავთ და ამოსუნთქულ ჰაერს მოვათავსებთ მეორე კონტეინერში.** თუ კუჭში ჰელიკობაქტერია პოლორია, კარბამიდის ხსნარი აუცილებლად შევა მასთან რეაქციაში და ამოსუნთქულ ჰაერში ნახშირორჟანგის კონცენტრაციას მკვეთრად შეცვლის. მოკლედ, თუ აღმოჩნდა, რომ ნახშირორჟანგის კონცენტრაცია კონტეინერებში განსხვავებულია და მათი მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ კუჭის კიბოს საფრთხე რეალურია. არსებობს ერთი მარტივი ნიშანიც — **თუ ადამიანს იღლიაში ან კისერზე კანი გაუმუქდა, ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს რუჯია და სასწრაფოდ ჩავიტაროთ გასტროფიბროსკოპია, რათა კუჭის კიბო გამოვრიცხოთ!**

საერთოდ, გვახსოვდეს, რომ კუჭის კიბოს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. გულწვა; 2. უსიამოვნო ამობოყინება; 3. ჭამის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება; 4. მეტეორიზმი, ანუ მუცლის შებერვა; 5. გულისრევა; 6. მადის დაქვეითება; 7. ზოგიერთი პროდუქტის, უმრავლეს შემთხვევაში კი, ხორცის შეძულება; 8. სისუსტე; 9. წონაში დაკლება.

ყველაზე საყურადღებო მაინც წონაში დაკლებაა. **თუ ადამიანი შიმშილობის, ვარჯიშისა და დიეტის გარეშე ერთი წლის განმავლობაში წონაში 10 პროცენტზე მეტს იკლებს, ეს საგანგაშო ნიშანია და, დიდი ალბათობით, საქმე კიბოსთან გვაქვს!** ზემოხსენებულ ნიშანთაგან ზოგიერთი შესაძლოა, ბევრ იმ ადამიანს აღენიშნებოდეს, რომელსაც გასტრიტი, ეროზია ან წყლული აწუხებს... კვლავ ვიმეორებ: სამივე ეს ფორმა — გასტრიტიც, ეროზიაც და წყლულიც კუჭის კიბოსკენ მიმავალი გარდამავალი სტადიებია! იმისათვის, რომ კუჭის კიბო არ განვითარდეს, საჭიროა ამ სტადიების დროული და კვალიფიციური მკურნალობა.



## „გასტრიტი, ეროზია და წყლული რეალურად კუჭის კიბოს სტადიებია!“

**— რომელია ყველაზე ეფექტური მკურნალობის მეთოდი კუჭის კიბოს თავიდან ასაცილებლად?**

— **კუჭის წყლული 93 პროცენტ შემთხვევაში აუცილებლად კიბოში გადაიზრდება! ამიტომ მისი თერაპიულად მკურნალობა მხოლოდ დროის გაწელვაა.** თუ კუჭის წყლული უკვე ჩამოყალიბებულია, დაზიანებული ნაწილი მხოლოდ ქირურგიული გზით უნდა მოშორდეს! ამ მიმართულებით, საოპერაციო პრაქტიკაში დღესაც კი გამოიყენება 1889 წელს გერმანელი ქირურგის **თეოდორ ბილროთის** მიერ შემუშავებული ტაქტიკა, რომელიც გარკვეული მოდიფიკაციით **„ბილროთი-1“ და „ბილროთი-2“-ის** სახელით არის ცნობილი და დღესაც ყველაზე ეფექტურ მეთოდად ითვლება. მარტივად გეტყვით, რომ „ბილროთი-1“ ოპერაციული ჩარევის დროს კუჭის დაზიანებული ნაწილი ამოიჭრება, მაგრამ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანატომიური მთლიანობა არ ირღვევა. კონკრეტულად, ოპერაციის შემდეგ კუჭი ანასტომოზის მეშვეობით ისევ უკავშირდება თორმეტგოჯა ნაწლავს, ხოლო „ბილროთი-2“ ტაქტიკის დროს კუჭის დიდი ნაწილის ამოჭრა, ანუ რეზექცია ხდება და დარჩენილი საღი ნაწილი ნაწლავებს გარკვეული წესით უკავშირდება. რაც შეეხება გასტრიტებისა და ეროზიების მკურნალობას, **თუკი ჰელიკობაქტერიის არსებობა დადგინდა, აუცილებელია მისი განადგურება, რისთვისაც ძირითადად ანტიბიოტიკები გამოიყენება.** მაგრამ აქაც გარკვეული სირთულეებია... საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს ჰელიკობაქტერიის გარკვეული შტამები, რომლებსაც ანტიბიოტიკები ძნელად უმკლავდებიან. ვფიქრობთ, ყველაზე პერსპექტიული მაინც ჰელიკობაქტერია პილორის მიერ გამოყოფილი საშიში ტოქსინების განეიტრალებაა. ამ თემაზე ოცი წელია, ვმუშაობ და გარკვეული წინსვლა მაქვს... **პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა მქონია, როცა ჰომეოპათიური პრეპარატებით ჩატარებული კომბინირებული მკურნალობის შედეგად, გასტრიტები და ეროზიები უმოკლეს დროში განმიკურნავს და კუჭის კიბოს განვითარების ალბათობა გამინეიტრალებია!**

**— არის თუ არა კიბო გენეტიკური დაავადება?**

— ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კიბო გენეტიკური დაავადებაა! ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ დედა და მამა სიმსივნით დაიღუპნენ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ შვილსაც სიმსივნე შეეყაროს! გენეტიკურად დატვირთული ასეთი შვილებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა კიბოს პრევენციაა. მაგალითად, სიმსივნეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული გახლავთ **მსხვილი ნაწლავის,** კონკრეტულად, **სწორი ნაწლავის კიბო.** ამ სიცოცხლისთვის საშიში პათოლოგიის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ **ეს ვერაგი დაავადება სრულიად უსიმპტომოდ შესაძლოა, 20-25 წლის განმავლობაში მიმდინარეობდეს.** ამიტომაც აუცილებელია, რომ 50 წლის შემდეგ ყოველმა ადამიანმა წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტაროს კოლონოსკოპია და დაითვალიეროს ნაწლავები. თუ ადამიანი გენეტიკურად კიბოსკენ არის მიდრეკილი, მაშინ კოლონოსკოპიის ჩატარება 25-30 წლის ასაკშიც რეკომენდებული და აუცილებელია! 200 წელია, ჰომეოპათიურ მედიცინაში არსებობს უნიკალური პრეპარატი **„კარცინოზინუმი“,** რომელიც სწორედ კიბოს ქსოვილისგან მზადდება. დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგა-ექიმების 99 პროცენტმა ამ წამლის არსებობის შესახებ არაფერი იცის! განვლილმა ორმა საუკუნემ დაამტკიცა, რომ ამ პრეპარატის თუნდაც ერთხელ მიღებით გენეტიკური დამოკიდებულებისგან თავისუფლდებიან ისინიც, რომლებსაც უახლოესი წინაპრები კიბოთი დაეღუპნენ! ამ პრეპარატს ვუნიშნავ და ვაძლევ ყველას, ვისი მშობლებიც სიმსივნეს ემსხვერპლნენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




**„დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგა-ექიმების 99 პროცენტმა ამ წამლის არსებობის შესახებ არაფერი იცის!“**

## კვირგვინოსნები



**სოფო ბედია**
*მომღერალი*

**მე ისეთი პროფესია მაქვს, ერთ კაბას მეორედ ველარ ჩავიცვამ.**

„თბილისელები“



**ბარბარე სამხარაძე**
*მომღერალი*

**ყველა წარმატებული ადამიანი საზოგადოებამ შექმნა.** მათ თუ შეგიზიზღეს, ვინც არ უნდა გაპიაროს, ხვალ აღარავინ იქნები.

„თბილისელები“



თქვენი ჯანმრთელობისათვის!

## «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც“ უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**

მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს“ ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.

**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია“. ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს“ თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები“ 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**

არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება. ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები“ ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების“ ამოჭრამ.

ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები“ **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„გულის ელექსირის“, „იმუნო-ჰერბის“, „მამოსილის“** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი: **„ტონზილინი“,** რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის“** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი“** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები“ უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არც თუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია, ხოლო ასეულობით ბავშვი „გლანდების“ ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!




**P.S.**

***„ტონზილინი“*** *ყველა სააფთიაქო ქსელში გაიყიდება. „გულის ელექსირი“, „იმუნო-ჰერბი“ და „მამოსილი“ კი გაუმჯობესებული და ხანგრძლივმოქმედი „გულის ელექსირი ფორტეს“, „იმუნო-ჰერბი ფორტეს“, „მამოსილი ფორტეს“ სახელწოდებებით გამოჩნდება სააფთიაქო ქსელებში.*

**ტელ: 593-31-70-34 «კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი», ბახტრიონის ქ. №10ა**

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!




## რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-23



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***

## გია ხუხაშვილი: პირველად ვნახე დაღლილი და თითქოს ერთბაშად დაბერებული ბადრი პატარკაციშვილი!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში დეტალურად იხსენებს **2007 წლის 2 ნოემბრის** მოვლენებს, როდესაც სააკაშვილის რეჟიმს ლონდონში გარიდებული **ბადრი პატარკაციშვილი** თბილისში დაბრუნდა. ავტორი ელოდა, რომ პატარკაციშვილს აეროპორტშივე დააპატიმრებდნენ, მაგრამ მაინც წავიდა მეგობართან შესახვედრად მის რეზიდენციაში — „არკადიაში“:

> ***„ცოტა ხანში ბადრი რეზიდენციაში მოვიდა. სახეზე შევატყვე, რომ ძალიან ესიამოვნა ჩემი იქ ყოფნა. როგორც შემდგომში გავარკვიე, იმ დღეს ძალიან ბევრი ადამიანი დაფრთხა და მისგან თავი შორს დაიჭირა. ზოგმა მათგანმა ჩათვალა, რომ „ბადრი დასრულდა“, ზოგი კი საკუთარი „ტყავის“ გადარჩენაზე ფიქრობდა და გადაწყვიტა, მოვლენათა განვითარებას დალოდებოდა“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 73).*

მემუარისტი პირდაპირ არ ამბობს, რომ 2 ნოემბრის საპროტესტო აქცია პირადად **ბადრი პატარკაციშვილის** ძალისხმევითაც დაიგეგმა, თუმცა, ბიზნესმენის კავშირს ამ აქციასთან ირიბად მაინც აღიარებს:

> ***„პარალელურად, რუსთაველზე მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც ბადრის გაბედულმა ნაბიჯმა — საქართველოში დაბრუნებამ — დამატებითი მუხტი შესძინა. ქუჩაში ისინიც კი გამოვიდნენ, ვისაც პროტესტის გრძნობა ჰქონდა, მაგრამ საშინლად ეშინოდა ხელისუფლების. მათ თვალში სისტემამ გამოავლინა სისუსტე იმით, რომ ბადრის დაპატიმრება ვერ გაბედა და ამან სითამამე შესძინათ“*** *(იქვე, გვ. 73).*

მგონი, ამ შემთხვევაში მემუარისტი ან შეგნებულად ცრუობს ანდა არაადეკვატურ შეფასებას აკეთებს: იმ ზღვა ხალხს, რომელიც 2 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე სააკაშვილის ამაზრზენი პათოლოგიური რეჟიმის თავგასულობის გასაპროტესტებლად გამოვიდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, ბადრი პატარკაციშვილი ლონდონში იყო თუ თბილისში! მეტიც, ამ ხალხმა ისიც კი არ იცოდა, იგი იმ დილით საგანგებოდ ამ აქციისთვის რომ ჩამოფრინდა თბილისში.

ხალხი, უბრალოდ, ნაცრეჟიმის ზღვარგადასულმა ავტორიტარულმა მმართველობამ გამოიყვანა ქუჩაში და არა პატარკაციშვილის ფაქტორმა!

მემუარისტი ასე აგრძელებს ამ ამბების მოგონებას:

> ***„სადილის დრო მოვიდა. ამასობაში კიდევ ორი საკმაოდ ცნობილი ადამიანი შემოგვიერთდა და ეზოში სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მივუსხედით...***
>
> ***ცოტა ხნის შემდეგ ბადრიმ დასვა კითხვა — უნდა წასულიყო თუ არა მიტინგზე და მისალმებოდა ხალხს. მე მას ვუთხარი, რომ არ მიმაჩნდა მისი მხრიდან მიტინგში მონაწილეობა მიზანშეწონილად. ბადრიმ თავისი ჩამოსვლით უკვე დაამტკიცა, რომ არ ეშინია ხელისუფლების და მზად არის დემოკრატიისთვის, ღირსებისთვის და სიტყვის თავისუფლებისთვის ბოლომდე საბრძოლველად. მაგრამ, ამასთანავე, ის არის საზოგადო მოღვაწე და არა პოლიტიკური აქტორი. შესაბამისად, მისი ფუნქცია არაა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა, არამედ მისი მხარდაჭერა...“*** *(იქვე, გვ. 73).*

მემუარისტი ამ შემთხვევაშიც, რბილად რომ ვთქვათ, ვირეშმაკობს: ბადრი პატარკაციშვილს ვუთხარი, არ გამოხვიდე 2 ნოემბრის საპროტესტო აქციაზე, რადგან შენ არ ხარ პოლიტიკური აქტორიო!

როგორ შეიძლება პოლიტიკური აქტორი არ ყოფილიყო **ბადრი პატარკაციშვილი**, რომლის „ტელეიმედიც“ მთელი ამ საპროტესტო აქციების ავანგარდში იდგა და მთელი მაშინდელი ოპოზიციაც სწორედ მასთან თათბირობდა და ათანხმებდა თავის პოლიტიკურ ნაბიჯებს!



ბადრი პატარკაციშვილი სიტყვით გამოდის რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე. 2007 წლის 2 ნოემბერი

იმას კი არ ვამბობ, ეს პოლიტიკური ალიანსი პატარკაციშვილსა და ოპოზიციას შორის ცუდი იყო, უბრალოდ, პატარკაციშვილის პოლიტიკური აქტიურობის დაფარვა, რბილად რომ ვთქვათ, შეუძლებელი გახლდათ.

მაგრამ ბადრი პატარკაციშვილმა მაინც გადაწყვიტა 2 ნოემბრის აქციაზე მისვლა და სიტყვით გამოსვლა! პრინციპში, ეს მან უკვე ლონდონში გადაწყვიტა და ამიტომაც გამოფრინდა ასე სასწრაფოდ და ბევრისთვის (უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილის რეჟიმისთვის) მოულოდნელად თბილისში!

**ხუხაშვილი** ასე აგრძელებს ამ ამბავს:

> ***„რაღაც პერიოდის შემდეგ შემოვიდა სააკაშვილის კორტეჟი. ბადრი წამოდგა, სწრაფი ნაბიჯით მივიდა მანქანასთან, ჩაჯდა, გამომხედა და ხელის მოძრაობით მიმიპატიჟა: „გია, წავედით!..“ მე თავი გადავაქნიე და ვუთხარი, რომ იქ დაველოდებოდი...***
>
> ***იმ მომენტში გამიჩნდა სიმძიმის გრძნობა, რომელსაც მის გარდაცვალებამდე აღარც დავუტოვებივარ და დღესაც სევდიანი, ყრუ ტკივილი ლაიტმოტივად გასდევს ბადრის ყოველ გახსენებას...***
>
> ***მე და გუგა კვიტაშვილმა — ბადრის პრესმდივანმა, ლურჯ ბარში ტელევიზორში ვუყურეთ ბადრის მისვლას, შეძახილებს — „ბადრი!.. ბადრი!..“, მის გამოსვლას მიტინგზე...“*** *(იქვე, გვ. 74).*

რატომ არ წაჰყვა **ხუხაშვილი** ბადრის აქციაზე? არადა, თითქოს ნანობს — რომ არ გავყევი, დღემდე ყრუ ტკივილად მაწევსო... ხალხი მიტინგზე მართლაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა პატარკაციშვილს. მათთვის გასახარი იყო, რომ ასეთი გავლენიანი ადამიანი მათ გვერდით დადგა და დაუპირისპირდა სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს!

მემუარისტი ასე აღწერს **პატარკაციშვილის** დაბრუნებას მიტინგიდან:

> ***„ბადრი მალე დაბრუნდა. აღელვებული და უაღრესად ბედნიერი, დამუხტული ჩანდა. ასეთი ბადრი არც მანამდე და არც ამის შემდეგ აღარ მინახავს. მისთვის არადამახასიათებელ მაღალ ტონალობაში სწრაფ-სწრაფად საუბრობდა და ყვებოდა თავის ემოციებზე, გვეკითხებოდა — როგორ მოგვეწონა მისი გამოსვლა.***
>
> ***ისევ გაიშალა სუფრა. ის ორი პიროვნებაც ისევ შემოგვიერთდა. სასმისები შეავსეს. მათგან ერთ-ერთი ადგა, ჭიქა ასწია და დიდი პათეტიკით წარმოთქვა: „ჩვენს ახალ ლიდერს გაუმარჯოს!“*** *(იქვე, გვ. 74).*

ანუ ეს ზუსტად ის არის, რაზეც მოგახსენებდით — ბადრი პატარკაციშვილი, უბრალოდ, აქტიურად კი არ იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, არამედ, ოპოზიციის ლიდერადაც კი მოიაზრებოდა!

თუმცა, როგორც **ხუხაშვილი** იხსენებს, მეორე დღეს სულ სხვანაირი ბადრი პატარკაციშვილი იხილა:

> ***„თუ წინა დღეს ვნახე ასე ამაყი, ბედნიერი და მხრებში გაშლილი, დღეს, პირიქით, ასევე პირველად ვნახე დაღლილი და თითქოს ერთბაშად დაბერებული, დაცლილი ბადრი. რაღაცნაირად წელში მოხრილი იჯდა ეზოში, ფანჩატურში და, ჩვეულებისამებრ, ტელეფონს ჩასჩერებოდა...***
>
> ***წინა დღის ამბებზე სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ მითხრა, რომ ძალიან გადაიღალა და დღეს მიემგზავრება, რომ „მავრმა“ თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს...“*** *(იქვე, გვ. 75).*

და რა მოხდა 2 ნოემბრის საღამოდან 3 ნოემბრის დილამდე გასულ რამდენიმე საათში ისეთი, რომ **პატარკაციშვილს** ასე სასწრაფოდ უკან, ლონდონში, დაბრუნება გადააწყვეტინა?!

რა თქმა უნდა, ამის მიზეზი სააკაშვილის რეჟიმის ამოქმედება იყო, სასიკვდილო საფრთხე რომ იგრძნო პატარკაციშვილის ოპოზიციურ ფლანგზე გალიდერებით:

> ***„გამიხარდა, წასვლა რომ გადაწყვიტა. მიმაჩნდა, რომ პირველი შოკიდან გამოსული ხელისუფლება, რომლისთვისაც წინა დღით გამოვლენილი სისუსტე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, შესაძლოა აქტიურ და საკმაოდ ხისტ, აგრესიულ ქმედებებზე გადასულიყო.***
>
> ***ამიტომ ამ დროს ბადრის მხრიდან გაცლა, მოვლენების ეპიცენტრიდან დისტანცირება ოპტიმალურ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა“*** *(იქვე, გვ. 76).*

და ხელისუფლებამ აქტიურ კონტრშეტევაზე გადასვლა რომ გადაწყვიტა, ეს **ხუხაშვილმა** იქვე გაიგო:

> ***„მოახსენეს, რომ მოვიდა გიორგი ისაკაძე. ბადრიმ ბოდიში მომიხადა და ოდნავ მოშორებით მეორე ფანჩატურში გადავიდა. ცოტა ხანს იქ ისაუბრეს. გიორგი წავიდა და ბადრიც დაბრუნდა. მითხრა, რომ ისაკაძე მოსული იყო მასთან ბიზნესფედერაციის წევრების სახელით, რომლებიც ძალიან შეშფოთებულები იყვნენ მოვლენების განვითარებით და ბადრის, ფაქტობრივად, გადადგომას სთხოვდნენ...“*** *(იქვე, გვ. 76).*

და ბადრი პატარკაციშვილიც გადადგა ბიზნესფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან!

აი, ასე დაიწყო ღალატი — **ბადრის პირველებმა მისმა პარტნიორმა ბიზნესმენებმა უღალატეს და გაყიდეს, რათა ხალხის პროტესტისაგან გავეშებული სააკაშვილის ხელისუფლებისაგან ხელშეუხებლობა მიეღოთ!**

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

# დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ფრენების აღდგენისა და სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღდგეს!



***„ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი, პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც რუსეთ-საქართველოს შორის პუტინის მიერ აღდგენილი საჰაერო მიმოსვლით ისარგებლა და 2023 წლის 19 მაისს რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის“ თვითმფრინავს ვალერი კვარაცხელიასთან, მერაბ ჭიკაშვილთან და სხვა მგზავრებთან ერთად მოსკოვიდან თბილისში ჩამოჰყვა:***

— რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უნიკალური და უპრეცედენტოა იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყნებს შორის დიპლომატიური კავშირის გაწყვეტისა და კონფლიქტის მიუხედავად, სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. აი, მაგალითად, 2023 წლის პირველი 3 თვის მაჩვენებლების მიხედვით, შარშანდელ პერიოდთან შედარებით, რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა 48 პროცენტით არის გაზრდილი. თუ 2019 წელს, მთელი წლის განმავლობაში, რუსეთსა და საქართველოს შორის ეს ბრუნვა 1 მილიარდ 350 მილიონ დოლარს შეადგენდა, წელს, მხოლოდ პირველ კვარტალში, მისი მაჩვენებელი 2 მილიარდ 800 მილიონ დოლარამდეა ასული. ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა... ორ ქვეყანას სავაჭრო სახლებიც კი არ აქვთ გახსნილი ერთმანეთის ტერიტორიაზე მაშინ, როცა ჩვენი მეტროპოლიტენისა და რკინიგზისთვის მარაგნაწილები — კვანძები და აგრეგატები ასი პროცენტით სწორედ რუსეთიდან შემოდის. აღარაფერს ვამბობთ საქენერგოგენერაციაზე, რომლის ობიექტების 96 პროცენტი ასევე რუსეთის სახელმწიფო კაპიტალზე დგას. **რუსულ კაპიტალზე დგას საქართველოში მოქმედი ღვინის ქარხნების უდიდესი ნაწილი, ხოლო რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები, როგორც წესი, რეკორდულად ყველაზე მაღალია და წელიწადში 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს.**

როგორ ფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით და კიდევ იმის აღიარებით, რომ ქართველების დაახლოებით მესამედი რუსეთში ცხოვრობს, რატომ უნდა იფრინონ ქართველებმა მოსკოვიდან ერევნისა და ბაქოს გავლით? ამდენად, რუსეთ-საქართველოს შორის, ჰუმანიტარული მიზნით, ფრენების აღდგენა საჭიროც იყო, დროულიც და აუცილებელიც.

**— რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმიც გააუქმა!**

— 23 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა საქართველოში **რუსლან გელაევის** რაზმი გადმოსხა და აფხაზეთში შეიყვანა, რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შეზღუდა. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში, როცა სააკაშვილმა და ამერიკელებმა ლაფანყურში სისხლიანი სპექტაკლი დადგეს. სხვათაშორის, 2013 წელს, როცა სახალხო დამცველმა **უჩა ნანუაშვილმა** ამ საკითხზე გამოძიება ჩაატარა, სკანდალური ფაქტები დადო, მაგრამ, ამერიკელების ზეწოლით, გენერალურ პროკურატურაში ამ საქმეს გაგრძელება არ მიეცა. აღმოჩნდა, რომ ყველა დახოცილ ჩეჩენს შავნაბადაზე ჰქონდა გავლილი სამხედრო მომზადება...

**— ანუ რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ ამერიკელებმა ის საცოდავი ჩეჩნები სააკაშვილს გააწვრთნევინეს, რათა რუსეთში გადაესროლათ და რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარება კიდევ უფრო დაეძაბათ. სწორედ ამას ემსახურებოდა 2004 წლის სპეცოპერაცია ცხინვალში, **ირაკლი ოქრუაშვილის** განცხადებები, რომ რუსები ფეხალიებსაც დალევდნენ, 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა, როცა იმავე დასავლეთმა და მისმა ხელისბიჭმა სააკაშვილმა საქართველო ნემსკავზე წამოგებულ ჭიაყელასავით გადაუგდეს ღლავს — რუსეთს...

**— 1992 წელს აფხაზეთში ომის დაწყებაც ამერიკის ინტერესებში შედიოდა?**

— ცხადია! აფხაზეთის ომი, დასავლეთის ბრძანებით, მისმა ორმა ვასალმა — რუსეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ, შევარდნაძემ და მისმა ხროვამ დაიწყეს! დასავლეთის მიზანი იყო რუსეთის გარშემო კონფლიქტური კერების შექმნა, ამ კერების გაყინვა და მერე პროცესების თავის სასარგებლოდ მართვა. გათვალისწინებული იყო ასევე კავკასიაში ნატოს წევრი თურქეთის გაძლიერება. სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილია ის ფაქტი, რომ აკრძალვების მიუხედავად, თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირებისა და აფხაზურ-ადიღეური ელემენტების გავლენით, თურქეთი დღემდე ვაჭრობს აფხაზეთთან და ტყვარჩელიდან ქვანახშირი გააქვს!

**— რუსეთი ამას რატომ არ ბლოკავს?**

— რუსეთი ამას ვერ ბლოკავდა, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხში კრემლი გადატვირთვის პოლიტიკისთვის ემზადება! ეს არავითარ შემთხვევაში არ აწყობს გლობალურ დასავლეთს.

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით საქართველოსთვის სასარგებლო პოლიტიკური გარღვევა იქნება?**

— დარწმუნებული ვარ! ექვსწლიანმა ურთიერთობამ და იმ გამოცდილებამ, რომელიც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გარკვეულ ეშელონებთან ჩამომიყალიბდა, შემიქმნა საფუძველი, განვაცხადო, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის დაწყებით დაინტერესებულია!

**— აფხაზები და ოსები ერთ ამბავში არიან და რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის შესაძლო დათბობას აპროტესტებენ!**

— რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ **დიმიტრი ვოლვოვიჩმა** გარკვევით განაცხადა, რომ რუსეთი აღარ აპირებს, დააფინანსოს ცხინვალი 7,5 მილიარდი რუბლით, ხოლო სოხუმი — 5,5, მილიარდი რუბლით. ეს უცბად არ მოხდება, მაგრამ, თუ თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგი დაიწყება, განხორციელდება ამ ბიუჯეტების კონვერსია დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ინკორპორაციის გათვალისწინებით. ჯერჯერობით რუსეთ-საქართველოს შორის ჟენევის მოლაპარაკებებს არავითარი შედეგი არ მოუტანია. **ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ რეალური შედეგი მოიტანა მხოლოდ სახალხო დიპლომატიამ და ჩვენმა შრომამ, როცა 7 დეკემბრიდან მოყოლებული, საბოლოოდ მივედით იქამდე, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და ფრენებსა და ვიზებზე შეზღუდვები მოხსნა.** დიდი იმედი მაქვს და ამის შესახებ რუსეთიდან მინიშნებებსაც ვხედავ, რომ საქმე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებამდე მივა!

**— ამას რის საფუძველზე აცხადებთ?**

— ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ **შვეიცარია რუსეთმა უკვე შეიყვანა არამეგობრული ქვეყნების სიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟენევის ფორმატი, რომელსაც რეალურად არავითარი შედეგი არ მოუტანია, რაღაცამ უნდა ჩაანაცვლოს.**

იმედი მაქვს, **აბაშიძე-კარასინის** ფორმატს რუსეთ-საქართველოს უმაღლესი დონის შეხვედრა და დიალოგი შეცვლის! ფრენების აღდგენისა და სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღდგეს!

**— მერედა, საქართველოს ხელისუფლება ამისთვის მზად არის?**

— საქართველოს ხელისუფლება, როგორც ვატყობ და ამაში ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები მარწმუნებს, მნიშვნელოვანი გარღვევისთვის ემზადება!




**პირველად 2019 წლის შემდეგ: 2023 წლის 19 მაისს მოსკოვიდან თბილისში პირდაპირი რეისი ჩამოფრინდა!**

**— რუსეთის „მგიმოდამთავრებული“ ლიაკა ხოშტარია, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, რუსეთთან ფრენების აღდგენას და სავიზო რეჟიმის გაუქმებას რატომ ითხოვს? გამაგებინეთ, ეს ქალი ვისი აგენტია — რუსეთის თუ ამერიკის?**

— **ელენე ხოშტარიას** მამა **გოგი ხოშტარია** ზვიად გამსახურდიას საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1993 წელს, **ხოშტარიამ** თავისი ქალიშვილი ჩაიყვანა მოსკოვში და **„მგიმოში“** მოაწყო. როგორც ჩანს, **ელენეს** რუსეთის სპეცსამსახურების წინაშე ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები, რის გამოც ამერიკელთა თვალთახედვის არეალში აღმოჩნდა და პარლამენტში **გიორგი ბარამიძის** ევროინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსად გაამწესეს. ხოშტარიასთვის ცალკე მორალური ტვირთია ისიც, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი გახლდათ... მოკლედ, ახლა სიტუაცია ასეთია — **ელენე ხოშტარიას შესახებ, ალბათ, უფრო ანგლოსაქსურ-ბრიტანულ და ამერიკულ სპეცსამსახურებს უნდა ვკითხოთ!**

**— რატომ არის გაალმასებული ასე ამერიკის ელჩი?**

— ამერიკა ხვდება, რომ საქართველო ხელიდან ეცლება და ამიტომ **კელი დეგნანი** გაალმასებულია! ყველაფერი, რაც დღეს ჩვენში ხდება, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს — ამერიკის მიერ საქართველოს, როგორც კერკეტი კაკლის გატეხვას! ამერიკის გეგმა ასეთია — **„ლავროვის ნათესავი ჩამოვიდა? არიქა, სასწრაფოდ ნიკა მელია და ელენე ხოშტარია მიავლინეთ და წივილ-კივილი ატეხეთ! ხალხი არ გყავთ? აჰა, ფული! ხალხი დაიქირავეთ და დაპირისპირების კერები შექმენით, რათა ის მოხდეს, რაც 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს და 2023 წლის 7-8 მარტის ღამეს ვერ შევძელით! ვერ გააკეთებთ ამას? მაშინ ჩაგხსნით, სხვებს დავიქირავებთ და სხვებს დავაფინანსებთ!“** აი, სულ ეს არის... ანგლოსაქსებს საქართველოში გადატრიალების მოწყობა უნდათ, მაგრამ ვერ შეძლებენ!

**— როგორ დასრულდება უკრაინის ომი?**

— **ომი დასრულდება უკრაინის გაყოფით!** ლვოვი ისტორიულად პოლონური ქალაქია და პოლონეთი გალიციაზე უარს არ იტყვის! როგორც ჩვენ მივიჩნევთ ჰერეთს, ლორე-ტაშირს, ტაო-კლარჯეთს, ჰუჯაბს, დვალეთს ქართულ მიწად, უნგრეთიც მიიჩნევს, რომ **ტრანსილვანია** მისია. ასე რომ,

## უკრაინას გაყოფენ, რადგან ევროპაში ამოდენა ტერიტორიისა და რესურსების მქონე სახელმწიფოს არსებობა არავის აწყობს!

**— საქართველოს ხელისუფლებას რას ურჩევთ?**

— საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევ, კიდევ უფრო მეტი პრინციპული ნაბიჯი გადადგას! მადლობა ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს** ეროვნული პოლიტიკისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ „რკინის ხელის“ პოლიტიკა უნდა გააძლიეროს იმ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს ხელყოფენ!

## „რატომ უნდა იფრინონ ქართველებმა მოსკოვიდან ერევნისა და ბაქოს გავლით?“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# გულის დიეტა

*გულის დაავადებათა დროს ზოგიერთ პროდუქტს რომ უნდა მოვერიდოთ, ბევრმა იცის, მაგრამ ღირს კი, თავი მეტისმეტად შევიზღუდოთ?*



## მითი №1

**მიაჩნიათ, რომ ინფარქტგადატანილმა ადამიანებმა ხიზილალა არ უნდა ჭამონ.**

**სამწუხაროდ, ეს მართალია.** იგი დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს. თუმცა, ზღვის პროდუქტებზე საერთოდ უარის თქმა არ ღირს. **მოლუსკები** (მიდიები, ზღვის სავარცხელი) იდეალურია, თუ გინდათ, საკუთარ თავს ასიამოვნოთ — ისინი დიდი ოდენობით შეიცავს უჯერ ცხიმებს, მათი წამლად მიღებაც კი შეიძლება.

## მითი №2

**ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვათ კარაქზე და იგი ზეთით შეცვალოთ.**

ძალიან მაღალი არტერიული წნევის დროს ასე უნდა მოიქცეთ, ხოლო თუ ზღვრული წნევა გაქვთ, მართალია, **კარაქი, არაჟანი, ნაღები** და **ხორცი** დიდი ოდენობით ცხიმებს შეიცავს, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა მიირთვათ, თუმცა, გონივრული ოდენობით, რადგან ორგანიზმისთვის საჭიროა. მაგალითად, დღეში თავისუფლად შეგიძლიათ, მიირთვათ 20 გრამი კარაქი. მაგრამ კარაქზე ნურაფერს შეწვავთ.

## მითი №3

**სრულიად უარი უნდა თქვათ მაკარონსა და პურზე, რადგან ისინი ასუქებს, გასუქება კი ჰიპერტონიის პროვოცირებას იწვევს.**

ის აზრი, რომ პური და მაკარონი გასუქებას იწვევს, გაუმართლებელია ერთი პირობით: თუ მათ არ ჭამთ დიდი რაოდენობით კარაქთან და ძეხვთან ერთად. ეს პროდუქტები შეიცავს ნახშირწყლებს, კალორიულობით კი სხვა პროდუქტებს ჩამოუვარდება. შეადარეთ: **1 გრამი ნახშირწყალი 4 კკალორიას შეიცავს, 1 გრამი ცხიმი — 9 კკალორიას, ალკოჰოლი — 7 კკალორიას.**

## მითი №4

**დღეში 50 გრამი ალკოჰოლი სასარგებლოა სისხლძარღვებისთვის.**

კარდიოლოგები ამბობენ, რომ დღეში 30 გრამი სუფთა ალკოჰოლი (ქალებისთვის — 10 გრამი) — ეს კი არის 55 გრამი არაყი ან სხვა მაგარი სასმელი, ერთი ჭიქა წითელი ღვინო ან ქილა ლუდი — დაიცავს ჩვენს სისხლძარღვებს. ისინი ზრდის „კარგი“ ქოლესტერინის დონეს, რომელიც შეიწოვს ცხიმებს.

ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ ონკოლოგები და ნარკოლოგები. ონკოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს რეკომენდაციები ხელს უწყობს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარებას. ნარკოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ჩვენში ერთი ჭიქა წითელი ღვინო ადვილად შეიძლება ბოთლად იქცეს ან ალკოჰოლის მიჩვევა გამოიწვიოს, ასე რომ, ჯობია, არ დალიოთ. პროფილაქტიკური მედიცინის მთავარ სამეცნიერო კვლევით ცენტრში მოეწყო გამოკვლევები, რომლებმაც ცხადყო, რომ პოლიფენოლები, რომლებსაც ღვინო შეიცავს და ხელს უწყობს ქოლესტერინის დონის შემცირებას, წითელი ყურძნის წვენშიც არის.

## მითი №5

**კვერცხი შეიცავს ქოლესტერინისათვის მავნე ნივთიერებებს, ამიტომ მისი ჭამა შეუზღუდავად შეიძლება.**

მართლაც, **კვერცხის გულში** ბევრია **ლეციტინი, ფოსფოლიპიდები** — ნივთიერებანი, რომლებიც ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლებზე დალექილი ქოლესტერინის ორგანიზმიდან გამოდევნას. მაგრამ, პროფილაქტიკური მედიცინის მთავარი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის გალინა ხოლმოგოროვას აზრით, თუ ადამიანს ჯერ ათეროსკლეროზი არ სჭირს, მაინც არ ღირს კვირაში 3 კვერცხზე მეტის ჭამა, ამასთან, ჯობია, კვერცხთან ერთად მიირთვათ ბოსტნეული, პური, ფაფა, მაკარონი, და არა ცხიმები (მაიონეზი).

## მითი №6

**გულით დაავადებულმა უარი უნდა თქვას ყავაზე.**

იმათ, ვინც რეგულარულად სვამს **ყავას,** ერთი ფინჯანის დალევის შემდეგ **არტერიული წნევა** არ აუწევს. მათ ჰიპერტონია არ ემუქრებათ, იმ პირობით, რომ დღეში **5 ფინჯანზე** მეტს (!) არ დალევენ.

## მითი №7

**40 წლის მერე დიეტა ყველას სჭირდება.**

ვისაც **წნევა** და **ქოლესტერინის** დონე ძალიან არ აქვს მომატებული, **ნაკლებმარილიანი და ნაკლებცხიმიანი დიეტა დაეხმარება,** ნორმაში მოიყვანოს ისინი. მაგრამ ამის გარდა, ფიზიკური აქტივობაც საჭიროა. **ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად დიეტას ქოლესტერინი ნორმამდე დაჰყავს.** მხოლოდ ერთჯერადი დიეტაც ამცირებს ქოლესტერინის დონეს, მაგრამ ნაკლებად.

### თუ წნევა და ქოლესტერინის დონე ძალიან მაღალია, დიეტის დაცვა მაინც მოგიწევთ,

რადგან გამოწერილი წამლები მის გარეშე ვერ იმოქმედებს, თანაც ასაკიც რისკის ფაქტორია, **40 წლის** ზემოთ პრობლემები შეიძლება გამწვავდეს.

## რატომ სჭირდება გულს:



**კაკალი,** აგრეთვე: **საფუარი, ღვიძლი, თირკმლები, მცენარეთა მწვანე ფოთლები**.

B ჯგუფის ვიტამინები ხელს უშლის ათეროსკლეროზის პროგრესს და დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე.

**კენკრა,** აგრეთვე: **ბოსტნეული, ხილი, ბურღულეული.**

შეიცავს მცენარეული ბოჭკოს უჯრედისს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი ქოლესტერინის გამოდევნას და ამით უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის პროგრესირების პროფილაქტიკას.

**საზამთრო,** აგრეთვე: **წიწიბურა, შვრია.**

შეიცავს მაგნიუმს, რომელსაც სისხლძარღვების გამაფართოებელი და შარდმდენი მოქმედება ახასიათებს.

**ზეთი**

უჯერი ცხიმოვანი მჟავებია მთავარი წყარო, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ქოლესტერინის ცვლის ნორმალიზაციაზე.

**კალმარები,** აგრეთვე: **მიდიები, ზღვის კომბოსტო.**

შეიცავს იოდს, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ათეროსკლეროზის დროს ნივთიერებათა ცვლაზე.

**წიწაკა,** აგრეთვე: **ვაშლი, კამა, ასკილი, ქაცვი, მოცხარი.**

შეიცავს C ვიტამინს, რომელიც აძლიერებს სისხლძარღვების კედლებს.

**ლობიო,** აგრეთვე: **სოია, გარგარი, შავი ქლიავი, ბარდა**

შეიცავს კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას და გულის კუნთის მოქმედების გაუმჯობესებას.



*ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ შოკოლადის შემადგენლობაში შედის ნივთიერება თეობრომინი, რომელიც საუკეთესოდ მოქმედებს ხველების შეჩერებაზე, ვიდრე ადრე შესწავლილი პრეპარატი — კოდეინი.*

## შოკოლადი ხველების წინააღმდეგ

**თეობრომინი** აჩერებს ხველებას, ასევე კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე, — განაცხადა ამ კვლევების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარია ბელვისიმ. მთავარი კი ამ გამოკვლევაში ის არის, რომ ეს პროცესი ქიმიური დანამატის გარეშე ხდება. შოკოლადი საუკეთესოა ათეროსკლეროზისა და ნევროლოგიური მოშლილობის დროსაც. მას აქვს ანტიკანცეროგენური ეფექტი.

### გთავაზობთ შოკოლადის უმარტივეს რეცეპტს:

აიღეთ **2 სუფრის კოვზი კარაქი, 2 სუფრის კოვზი შაქრის პუდრი, 2 სუფრის კოვზი კაკაო, 2 სუფრის კოვზი რძის ფხვნილი.** აურიეთ, წამოადუღეთ და მიეცით სასურველი ფორმა, შეახვიეთ ცელოფანში და შედეთ მაცივარში რამდენიმე საათით.

## შოკოლადის მასაჟი დაბერების წინააღმდეგ

***საფრანგეთში შეიმუშავეს მასაჟის ახალი სახეობა — შოკოლადის მასაჟი, რომელმაც ამ ქვეყანაში პოპულარობა უკვე მოიხვეჭა.***



მასაჟის დაწყებამდე სხეული შოკოლადის მუსით იფარება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მასაჟის დროს კანის საშუალებით შოკოლადი აღწევს სისხლში, შედეგად კი მისი მიმოქცევა უმჯობესდება, დაბერების პროცესი ნელდება, ვინაიდან კანზე დადებითად მოქმედებს შოკოლადში შემავალი ფლავონილი, რომელიც იცავს კანს და მთელ ორგანიზმს მავნე ზემოქმედებისაგან, მოქმედებს დაბერების წინააღმდეგ.

## კვირგვინოსნები

**მასტერი** *რეპერი*



სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, **მექალთანე ვარ,** ამას ვერ ვშველი, ეს სისხლში ან გაქვს, ან — არა.

„თბილისელები“

**ანა სანაია** *მსახიობი*



ვინც ჩემთან ბედის დაკავშირება მოინდომა, **თეატრის გარეშე** ვუნდოდი.

„სარკე“

**თამარ ივერი** *ოპერის მომღერალი*



არასდროს მავიწყდება, საიდან მოვდივარ — **შოკოლადი, მარწყვი მენატრებოდა.** ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, **10-ათასდოლარიანი ჩანთა** შევიძინო, ან **სამკაულები, რომლებიც 50-100 ათასი ღირს.**

„სარკე“

**ჯონ ტრავოლტა** *მსახიობი*



მუშაობა მეხმარება, **დეპრესია დავძლიო და ყველაზე რთულ წუთებში მარტო არ ვიყო.** ჩემს კარიერაში იყო ფილმები, რომლებშიც, ჯობდა, მონაწილეობა არ მიმეღო.

„სარკე“

**ნიკოლოზ ხარაძე** *მუსიკალური პროექტის „რანინას“ მონაწილე*



როცა გავიზრდები, მინდა, ბიზნესი ვისწავლო კარგად. **გამოვიდე ბიზნესმენი, რომ შევძლო, მუსიკოსებს დავეხმარო.** ასევე მინდა, დავეხმარო ბავშვებს და მოხუცებს, რომ ყველა ბედნიერი იყოს.

„სარკე“

**სალომე უშხვანი** *„პრაიმ შოუს“ მონაწილე*



არ ვაპირებ არაფრის დამალვას იმის დასამტკიცებლად, რომ **ნატურალური ვარ.**

„თბილისელები“

# სილამაზის მენიუ

*პრობლემური სახის კანი გაქვთ? ე.ი. თქვენი ორგანიზმი ყურადღებას ითხოვს, ალბათ, ისეთი ნივთიერებები გაკლიათ, რომლებიც აუცილებელია — ვიტამინები ან მინერალები. შეიძლება ძალიან ძვირიანი მკვებავები და ლოსიონები იყიდოთ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიოთ, სანამ კანისათვის სასარგებლო და სწორ კვებას არ დაიწყებთ. არასწორი კვება თქვენი კანის სტრუქტურასა და ფერში მჟღავნდება.*



### 1. ნაადრევი ნაკეცები და ნაოჭები

**ორგანიზმს აკლია A, C და E ვიტამინები, სელენი და თუთია.** მომავალში პრობლემები გექნებათ იმუნიტეტთან დაკავშირებით, გულ-სისხლძარღვებთან, მხედველობის გაუარესებასა და ნევროზთან.

**კვება:** ღვიძლი, რძე, კვერცხი, სტაფილო და გარგარი, რათა მიიღოთ ვიტამინი A; ბოსტნეული — (მწვანე), პომიდორი, კივი, ციტრუსი, თხილი, სიმინდი.

### 2. ცხიმიანი კანი ანთებითი პროცესებით

**ორგანიზმს აკლია ბალანსირებული კვება.** ხშირ შემთხვევაში ჰორმონალური პრობლემებია მოსალოდნელი (განსაკუთრებით, როცა კანის მდგომარეობა ციკლის წინ უარესდება), შესაძლოა, გქონდეთ ადრეული პრობლემური კლიმაქსი.

**კვება:** მულტივიტამინები B ჯგუფის კომპლექსით და თუთია. ალკოჰოლი გამორიცხეთ, მოერიდეთ ყავას, ცხოველურ ცხიმს, წითელ ხორცს, რძის პროდუქტებს. ჭამეთ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ხილი და ბოსტნეული და დღეში 6 ჭიქამდე წყალი დალიეთ.

### 3. მშრალი კანი

**ორგანიზმს აკლია** სიცოცხლისათვის აუცილებელი ცხიმმჟავები, ვიტამინები A, E. მომავალში შესაძლოა, დაგეწყოთ აპათია, ყურადღების დაბალი კონცენტრაცია, ინფექციებისადმი მიდრეკილება.

**კვება:** მწვანე და ყვითელი ბოსტნეული, თხილი, მზესუმზირა და თევზი.

### 4. ფერმკრთალი, დამჭკნარი კანი

**ორგანიზმს აკლია** რკინა, ვიტამინი $B_{12}$. მომავალში შესაძლოა, შეგაწუხოთ ქრონიკულმა დაღლილობამ, გაღიზიანებამ, გონებრივი შესაძლებლობის დაქვეითებამ, ქოშინმა.

**კვება:** ზღვის კომბოსტო, ხორცი (ყველანაირი), კვერცხის გული.

### 5. აქერცლილი წითელი კანი

**ორგანიზმს აკლია** ვიტამინი $B_3$. მომავალში შეიძლება პრობლემა გქონდეთ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებით, შეგაწუხოთ თავბრუხვევამ.

**კვება:** ღვიძლი, წითელი ხორცი, არაქისი.

# როცა ცდუნება გვიზიდავს...

***თურმე კაკლისებრთა ნაყოფი მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ? იყიდეთ არაქისი. ნერვები გაწუხებთ? თხილი გაღიზიანებას მოგიხსნით. მთავარია, გაარკვიოთ რა არ გაქვთ წესრიგში და საჭირო პროდუქტი შეარჩიოთ.***

## აკაჟუ — ინდური კაკალი



ეს კაკალი ნაკლებად კალორიული ნაყოფია, თუმცა, საკმაოდ სასარგებლო. შეიცავს **A, $B_1$, $B_2$ ვიტამინებს.** ამცირებს **ქოლესტერინის დონეს,** აძლიერებს **იმუნურ სისტემას,** აწესრიგებს **გულ-სისხლძარღვთა მოქმედებას.** გარდა ამისა, აკაჟუ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ნებისმიერ „ორბიტზე" უკეთ აღადგენს პირში **მჟავე-ტუტის ბალანსს.**

## კაკალი



საკმაოდ კალორიულია, მაგრამ მეტად სასარგებლო. შეიცავს **A, $B_1$, C, PP** ვიტამინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ფიტონციდებს. ეფექტიანად ხსნის თავის ტკივილს, შველის უძილობას, სკლეროზს და იცავს მომატებული რადიაციისაგან. რეკომენდებულია იმათთვის, ვინც დიდ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას განიცდის.

## თხილი



მდიდარია A, $B_1$, C, E ვიტამინებით, აგრეთვე მინერალური ნივთიერებებით, კალიუმით, კობალტით, რკინით. ააქტიურებს ტვინის მოქმედებას, აძლიერებს ნერვულ სისტემას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას, აუმჯობესებს პოტენციას. ზედმეტი ოდენობით მოხმარებისას კუჭში სიმძიმეს იწვევს.

## არაქისი



მდიდარია მაგნიუმით, კალციუმით, ნატრიუმით, ფოსფორითა და რკინით, აგრეთვე $B_1$, $B_2$, PP და D ვიტამინებით. რეკომენდებულია ტვინის მოქმედების გასაუმჯობესებლად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შესამცირებლად და როგორც ნაღველგამომყოფი საშუალება. ხსნის პოტენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დიდი რაოდენობით ცილებს შეიცავს, რის გამოც სწრაფად აკმაყოფილებს შიმშილის გრძნობას.

## ბრაზილიური კაკალი



გემოთი კედრის ნაყოფს წააგავს. შეიცავს $B_1$, E ვიტამინებს, კალციუმს, კალიუმს, რკინას, თუთიას, სპილენძს, აგრეთვე დიდი რაოდენობით მინერალებს — პროტეინს, სელენს, მაგნიუმს, ფოსფორს, თიამინს. ამცირებს ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს, სისხლში ქოლესტერინის დონეს.

## ფირმიანა (ÔÈÑÒÀØÊÀ)



დიდი რაოდენობით შეიცავს E, აგრეთვე A, $B_1$, $B_2$ ვიტამინებს, სპილენძს, კალიუმს, მაგნიუმს და რკინას. რეკომენდებულია ჰიპერტონიის, სისხლნაკლულობის, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა მკურნალობისას. ამაგრებს ორგანიზმს, ამცირებს ხველას, აგრეთვე ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას.

## ჯავზი (ÌÓÑÊÀÒ)



შეიცავს A, E ვიტამინებს, ეთერზეთებს, პექტინურ ნივთიერებებს. გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობისას, ახასიათებს დამამშვიდებელი ზემოქმედება, აძლიერებს სექსუალურ სურვილს, ააქტიურებს სპერმატოზოიდებს. არ არის რეკომენდებული ფეხმძიმობისას, ფართოდ გამოყენება კულინარიაში.



### კედრის გირჩა: *ამაღლებს არამხოლოდ იმუნიტეტს, არამედ პოტენციასაც.*

## კედრის ნაყოფი



ეს ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ნაყოფია. იგი შეიცავს იშვიათ ლინოლეიკურ და გამა-ლინოლეიკურ მჟავებს. რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადებისა და ჰიპერტონიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ზრდის იმუნიტეტს, ამიტომ მეტად სასარგებლოა მოზარდებისათვის, ორსული და მეძუძური ქალებისათვის.

## კალორიულობის ცხრილი

| | 100 გრამში | ცილები | ცხიმები | ნახშირწყლები |
|---|---|---|---|---|
| არაქისი | 611 კკალ | 29 გრ | 50 გრ | 10 გრ |
| კაკალი | 648 კკალ | 16 გრ | 65 გრ | 10 გრ |
| კედრის ნაყოფი | 677 კკალ | 17 გრ | 63 გრ | 11 გრ |
| თხილი | 700 კკალ | 16 გრ | 67 გრ | 10 გრ |
| ნუში | 645 კკალ | 9 გრ | 58 გრ | 6 გრ |
| აკაჟუ | 572 კკალ | 17 გრ | 42 გრ | 30 გრ |
| ბრაზილიური კაკალი | 56 კკალ | 14 გრ | 66 გრ | 12 გრ |
| ფირმიანა (фисташка) | 557 კკალ | 21 გრ | 44 გრ | 28 გრ |
| ჯავზი (мускат) | 520 კკალ | 22 გრ | 45 გრ | 15 გრ |



### ფირმიანას (ФИСТАШКА) ჭამა გაგინელებთ ალკოჰოლისკენ მიდრეკილებას, ხოლო ჯავზი (МУСКАТ) გაგიძლიერებთ სექსუალურ სურვილს

## ნუში

ნუში „კაკლისებრთა მეფედ" ითვლება. დიდი რაოდენობით შეიცავს A, E ვიტამინებს, მაგნიუმს, კალიუმს, კალციუმს. ნორმაში მოჰყავს ქოლესტერინის დონე, აუმჯობესებს მხედველობას, აწყნარებს ხველას და შველის გაციებისას, აგრეთვე გამოიყენება როგორც საერთო გამაჯანსაღებელი საშუალება. ქალებისათვის რეკომენდებულია როგორც ახალგაზრდობის გამახანგრძლივებელი საშუალება.



## P.S.





***ექიმები არ გვირჩევენ კაკლისებრთა დიდი ოდენობით გამოყენებას. როგორც ცნობილია, ყველაფერი სასარგებლოა მხოლოდ ზომიერების ფარგლებში. ყველაზე ოპტიმალური დოზაა დღეში 30 გრამი. წინააღმდეგ შემთხვევაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან და ღვიძლთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნებათ.***

## კვირგვინოსნები

**მაკა ხიზანიშვილი**
*ყოფილი წყალბურთელი, მოდიზაინერი*



არაბმა შეიხმა **ცოლობის სანაცვლოდ 500 ათასი დოლარი შემომთავაზა,** გამეცინა და უარი ვუთხარი.

„თბილისელები"

**ჯოზი**
*„მასტერშეფის" მე-9 სეზონის გამარჯვებული*



ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, **ბავშვთა სახლიდან გამოსვლის შემდეგ, ვინ როგორ გადაწყვეტს ცხოვრების გაგრძელებას.** მე გადავწყვიტე, ჩემი მომავალი შემექმნა.

„თბილისელები"

**ნინო ბელაძე**
*მსახიობი*



ჩემმა ბიჭმა მითხრა, **კარგი იქნებოდა, ცოტა რომ დაგეკლო.** ჩემს ბიჭს ვეთანხმები, **ნაკლები კილოგრამები უფრო მეტად მომიხდება,** მაგრამ, რაც კი თავისუფალი დრო მაქვს, სულ მასთან ვატარებ და როდისღა ვივარჯიშო?!

„სარკე"

**ლევან საგინაშვილი**
*მკლავჭიდელი*



ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ **მსახიობი ან სპორტსმენი ვყოფილიყავი.** ცოტ-ცოტა ორივე გამოვიდა. ვარჯიში რომ დავიწყე მკლავჭიდში, ხელები უცებ რაღაცნაირად გამეზარდა. **ყველა, ვინც მნახავდა, ჰალკთან მაკავშირებდა.** შეჯიბრზე როგორც კი გავედი, მაშინვე **ჰალკი შემარქვეს.**

„სარკე"

**ბექა ხოლაძე**
*მომღერალი*



სამთავრობო კონცერტზე **ორ სიმღერაში მიხდიან იმ რაოდენობის თანხას, რამდენიც 3 თვის ხელფასი უნდა ავიღო ბანკში,** მაგრამ კონცერტები არ არის სტაბილური.

„სარკე"



# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია და სპორტი

*— რომელი პლანეტა მიგვანიშნებს ნებისყოფასა და მძიმე შრომაზე და მფარველობს ალპინიზმსა და სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებს? რომელი უკავშირდება სანაოსნო სპორტსა და თევზაობას? რომელია პასუხისმგებელი ფეხბურთზე, ავიასპორტზე, დელტაპლანერიზმზე და სპორტის ექსტრემალურ სახეობებზე? ვინ განაგებს მასობრივ სპორტს, მარათონს, ავტორბოლას და სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც სისწრაფესა და კარგ რეაქციას ითხოვს? სპორტულ მიღწევებთან დაკავშირებით, რა როლს ასრულებენ ასტროლოგიური სახლები? რომელი მათგანის ზეგავლენით ძლიერდება მხედველობა, სმენა, ბრძოლისუნარიანობა? რომელი მეტყველებს იმაზე, რომ სპორტი შესაძლოა, შემოსავლის წყაროდ იქცეს ანდა რომელი განიხილავს სპორტს, როგორც ჰობის? რომელი მათგანი უკავშირდება ბრძოლის ჟინს, კონკურენციას ანდა ურთიერთგაგებასა და მხარდაჭერას? რომელი მიუთითებს ადამიანის ჰოროსკოპში სპორტის სფეროში ხანგრძლივ მოღვაწეობაზე? ვინ მფარველობს მწვრთნელებსა და მასწავლებლებს ანდა რომელი ასტროლოგიური სახლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ სპორტულ მიღწევებზე, მედლებსა და ჯილდოებზე თუ უცხოეთში წარმატებაზე? ვინ უკავშირდება და მფარველობს სარეაბილიტაციო ვარჯიშებსა და პარაოლიმპიურ სპორტსმენებს? რატომ არის მნიშვნელოვანი, მშობელმა ზუსტად იცოდეს შვილის სპორტული შესაძლებლობანი?*
*— ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი სპორტთან და სპორტულ მიღწევებთან დაკავშირებით, ადამიანის პირად ჰოროსკოპში არსებული პლანეტების თვისებების, განლაგებისა და ასპექტების მნიშვნელობის შესახებ.**

— **7. პლანეტა სატურნი, ჩვენი დიდი მასწავლებელი, მიგვითითებს გამძლეობაზე, დისციპლინაზე, ნებისყოფაზე, მძიმე შრომაზე, დაძაბულობაზე და ა.შ. იგი ხელს უწყობს და მფარველობს სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებს, ალპინიზმს, აკრობატიკას. 8. პლანეტა ნეპტუნის** მფარველობას კი განიცდის სპორტის ის სახეობები, რომელიც წყალთან არის დაკავშირებული. ასეთებია: **ცურვა, სანაოსნო სპორტი, აფროსნობა, ჯომარდობა, დაივინგი, სპორტული თევზაობა** და სხვა. 9. **პლანეტა ურანი** განაგებს და მფარველობს ტექნიკასა და სხვადასხვა სიახლეებს. იგი პასუხისმგებელია სპორტის ისეთ სახეობებზე, როგორიც არის **სქეიდბორდი, ავიასპორტი, დელტაპლანერიზმი, საპარაშუტო სპორტი, ზამთრის სპორტის სახეობები, სპორტის ექსტრემალური სახეობები, ველოსპორტი, სირბილი, ფეხბურთი** და სხვანი. 10. **პლანეტა პლუტონი** მიგვითითებს და უკავშირდება მასობრივ სპორტს, მარათონს, ავტორბოლას. აგრეთვე იმ სახეობებს, რომელსაც დიდი ფიზიკური გამძლეობა არ ესაჭიროება, მაგრამ ითხოვს სისწრაფეს. **იგი მფარველობს ზოგიერთ აღმოსავლურ ორთაბრძოლას, რომელშიც აუცილებელია კარგი რეაქცია.**

**— ადამიანის სპორტულ შესაძლებლობებზე პლანეტების გარდა, კიდევ რომელი მაჩვენებლები მიუთითებს?**

— ამ მიმართებით არ უნდა დავივიწყოთ **ასტროლოგიური სახლები**, რადგან პირად ჰოროსკოპში პლანეტის ამა თუ იმ ასტროლოგიურ სახლში განლაგებისას გარკვეული თვისებები ძლიერდება. მაგალითად: **I სახლის ზეგავლენა პიროვნულ თვისებებს აძლიერებს. იწვევს მხედველობის, სმენის გაძლიერებას, ბრძოლისუნარიანობისა და პოპულარობის ზრდას.** ამ შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება სპორტის ინდივიდუალურ სახეობებს. **II სახლის ზეგავლენა მეტყველებს იმაზე, რომ სპორტი შესაძლებელია შემოსავლის ძირითადი წყარო გახდეს; III სახლსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი სპორტს განიხილავს, როგორც საყვარელ საქმეს და ხელს უწყობს სახეობებს, რომელიც ითხოვს სისწრაფეს და ინტელექტუალურ სპორტს.** მათ შორის, გართობის (ჰობის) მიზნით. **IV სახლი კი მფარველობს და უკავშირდება სპორტის ეროვნულ სახეობებს, ზოგ შემთხვევაში საოჯახო სპორტულ ტრადიციებსა და მემკვიდრეობით გადაცემას. V სახლის ზეგავლენა კი აძლიერებს გონებას, ლოგიკურობას. ხელს უწყობს სხარტ აზროვნებას, განათლებას, წარმატებისკენ სწრაფვას. VI სახლი უკავშირდება ბრძოლის ჟინს, კონკურენციას, დიდ შრომას. VII სახლის ზეგავლენა დაკავშირებულია სპორტში პარტნიორულ ურთიერთობასთან. აძლიერებს ურთიერთგაგებას, მხარდაჭერას, რაც აუცილებელია სპორტის გუნდურ სახეობებში. VIII ზემოქმედება** ხელს უწყობს და ზრდის გამძლეობას. ასევე მიუთითებს **სპორტის სფეროში ხანგრძლივ მოღვაწეობაზე. IX სახლი წარმატებას უკავშირდება.** მას ასევე მწვრთნელ-მასწავლებლებიც ეხება. გარდა ამისა, იგი მიგვითითებს **უცხოეთში წარმატებაზე. X სახლი მიუთითებს სპორტულ კარიერაზე, როდესაც ის ძირითადი პროფესია ხდება. XI სახლის** მიხედვით კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ სპორტულ მიღწევებზე, აღიარებაზე, ჯილდოებზე და მედლებზე, ხოლო ჰოროსკოპში **ძლიერი XII სახლის ზეგავლენით შესაძლებელია მოღვაწეობა უცხოეთში.** იგი ხელს უწყობს სარეაბილიტაციო ვარჯიშებს. ეს სახლი პირდაპირ კავშირშია **პარაოლიმპიურ სპორტსმენებთან.** უნდა აღინიშნოს, რომ სპორტისა და ადამიანის სპორტული მონაცემების ანდა სპორტისადმი დამოკიდებულების კიდევ არაერთი მაჩვენებელი არსებობს, რომლებიც გაცილებით სიღრმისეულ კვლევასა და რთულ პერიმეტრებს უკავშირდება. ეს პროფესიონალ ასტროლოგთა საკვლევი გახლავთ და მათ შესახებ ასე მარტივად ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბავშვებთან და მოზარდებთან დაკავშირებით, სპორტისადმი დამოკიდებულების ზუსტად გათვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მშობელს ზუსტად ეცოდინება, რამდენად სპორტულია მისი შვილი და რომელი სახეობებია მისთვის შესაფერისი, სასარგებლო და მომგებიანი. მეორე მხრივ კი შესაძლებელია, ბავშვობიდანვე განსაზღვროს, სპორტს პროფესიონალის დონეზე დაეუფლება მისი შვილი თუ როგორც მოყვარული იფიქრებს ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სხეულის გაკაჟებაზე. **ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტი ჯანმრთელობის საწინდარია და ხელს უწყობს სიმამაცესა და კარგ განწყობას. იგი აძლიერებს მიზანსწრაფვას, ბრძოლისუნარიანობას, ქმედითუნარიანობას და ალამაზებს სხეულს.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 22-28 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
დაძაბული კვირაა. აუცილებელია პირად პრობლემებში გარკვევა, შესაძლოა, ორაზროვან სიტუაციაშიც აღმოჩნდეთ. მაქსიმალური სიფრთხილე გმართებთ, რათა საკუთარ ჯანმრთელობას არ ავნოთ. ინტუიციას დაეყრდენით. შესაძლოა, ფინანსური პრობლემის მოგვარება მოგიწიოთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. მოგზაურობაზე დროებით უარი თქვით. სასიყვარულო ურთიერთობისას ეჭვიანობას მოერიდეთ.

**კურო** (21.04-20.05)
საბუთების გაფორმების ან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ყურადღებით წაიკითხეთ ყველაფერი და კორექტივები დროულად შეიტანეთ. ეს კვირა ხელს შეუწყობს ახალი ნივთის შეძენას, ელექტროტექნიკის განახლებას, საოჯახო დღესასწაულის მოწყობას. მთავარია, არ იჩქაროთ. მოერიდეთ მჭრელი და მჩხვლეტავი საგნების გამოყენებას, რადგან დაშავების ალბათობა არსებობს. სასიყვარულო ურთიერთობა განსაკუთრებულ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პატივმოყვარეობა და პროფესიულ საკითხებში სახელის მოხვეჭის სურვილი მოგემატებათ. მიმზიდველი და თავდაჯერებული იქნებით და ბევრს გაუჩნდება სურვილი, დაგეხმაროთ, თუმცა, შინაგანმა გაორებამ, შესაძლოა, ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედოს. ზედმეტ პრინციპულობასა და ძალდატანებას მოერიდეთ. კარგი პერიოდია სასიყვარულო ურთიერთობის დასარეგულირებლად, კონფლიქტების მოსაგვარებლად, იდეის გასაზიარებლად.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეცადეთ, სურვილები ერთმანეთში არ აგერიოთ და მათი დაკონკრეტება არ გაგიჭირდეთ. დამატებითი სამუშაო ავტორიტეტს აგიმაღლებთ. ავანტიურასა და ხრიკებს მოერიდეთ და წეს-კანონები დაიცავით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია პრობლემები. მოგზაურობა გადადეთ და გადაადგილებების რაოდენობაც შეამცირეთ. არსებობს მოწამვლის ალბათობა, ამიტომ სასმელ-საჭმლის ხარისხი წინასწარ აუცილებლად შეამოწმეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ოჯახის წევრებისა და ახლობლების პრობლემების მოგვარება ემოციურად დამღლელი აღმოჩნდება. ქალაქგარეთ გამგზავრება, შესაძლოა, სხვების მიზეზით ჩაიშალოს. მეგობრებთან ურთიერთობა ფარული სასიყვარულო კავშირის გამოაშკარავების გამო დაიძაბება, მაგრამ იდეალური სიყვარულის მოთხოვნილება აუცილებელია თქვენი მუშაობის ეფექტურობისთვის. უძრავი ქონების შეძენას კი მოერიდეთ და შეეცადეთ, ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
არავის ეკამათოთ და კონფლიქტებსაც მოერიდეთ. სხვისი იდეების შეფასებისას და თანამშრომლობისას არაობიექტური ნუ იქნებით. ეგოიზმი დაიოკეთ, სხვათა მოსაზრებები გაითვალისწინეთ, საკუთარი შესაძლებლობებიც მართებულად გათვალეთ და დამოუკიდებლად მუშაობას მეტი დრო დაუთმეთ. ამგვარად წარმატებას უფრო ადვილად მოიპოვებთ. სასიყვარულო ურთიერთობა უფრო სასიამოვნო გახდება, თუ ემოციებს სრულად მიეცემით და გრძნობას უსასყიდლოდ გასცემთ.

## 22-28 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
რისკსა და აზარტზე უარი განაცხადეთ, რათა დანაკარგი აირიდოთ. დაპირისპირებასა და კონფლიქტებსაც მოერიდეთ, რადგან უწყინარი კამათიც კი შესაძლოა, სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდოს. ნუ შეეცდებით მოწინააღმდეგეების მორალურ თუ ფიზიკურ შევიწროებას. ეცადეთ, კომპრომისი დაუშვათ. პირად ცხოვრებაში დიდი ცდუნებანი გელოდებათ. ჯანმრთელობაც გარკვეულ ძალისხმევას მოგთხოვთ.

**მორიელი** (23.10-22.11)
საკუთარ ცხოვრებაზე, სამუშაოსა და ურთიერთობებზე მეტი დაფიქრება გმართებთ, თუმცა, კარდინალურად რაიმეს შეცვლას ჯერ ვერ შეძლებთ. მოვლენებისა და ცხოვრების ტემპის ცვალებადობა ზოგჯერ დამღლელი იქნება. ოჯახური საქმეებისთვის დრო აღარ დაგრჩებათ და ამის გამო შესაძლოა, ოჯახის წევრებთან იკამათოთ. სამაგიეროდ, პირადი და სასიყვარულო ურთიერთობისას არნახულ სიმაღლეებს დაიპყრობთ და თავს გამარჯვებულად იგრძნობთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ბევრ ადამიანთან ურთიერთობას მოისურვებთ, მაგრამ ცხოვრებისეული ცვლილებები როგორც ოჯახის წევრებთან, ისე შეყვარებულთან პრობლემას შექმნის. ეცადეთ, გრძნობებს არ აჰყვეთ და რეალურად აზროვნების უნარი არ დაკარგოთ. კონტაქტები და ინფორმაცია საქმეების წარმართვაში დაგეხმარებათ. დროსტარება კი კონფლიქტებისა და ტრავმების მიზეზი შეიძლება გახდეს. ინტრიგებსა და გარისკვას მოერიდეთ და გადაადგილებებიც შეამცირეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენი ენერგოპოტენციალი იკლებს, თუმცა, საბრძოლო განწყობა ჯერ ისევ მოქმედებისკენ გიბიძგებთ. მთავარია, ცდუნებებს თავი აარიდოთ. შესაძლოა, ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებაც მოგიწიოთ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან დიდი პოპულარობით ისარგებლებთ, ამიტომ გამოიყენეთ ეს დრო სასურველი სასიყვარულო პარტნიორის შესარჩევად. ფული ყაირათიანად დახარჯეთ და გადაადგილებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები, რამაც შესაძლოა თქვენი ყოფა გაართულოს. ბევრ დროს მოგთხოვთ ბინასთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები, ნუ გარისკავთ და განცხადებების კეთებასაც მოერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და მძიმე საკვებსა და ალკოჰოლურ სასმელზე უარი განაცხადეთ. გადაადგილებებისას ყურადღებას ნუ მოადუნებთ და ფულსა და საბუთებს გაუფრთხილდით. სასიყვარულო ურთიერთობას უცნობთან ნუ დაიწყებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ურთიერთობას უცნობებთან მოერიდეთ, რათა თქვენი კონტაქტები, ცხოვრების სტილი და შემოსავლები განხილვის საგანი არ გახდეს. სახლში დასვენების დროს, შესაძლოა, არაერთი პერსპექტიული იდეა დაგებადოთ, რომელთა განხორციელება დროს საჭიროებს. იმიჯის, სახლის ინტერიერის ან დღის განრიგის შეცვლა თქვენს განწყობაზე პოზიტიურად აისახება. ეცადეთ, დაისვენოთ და პირად თუ სასიყვარულო ურთიერთობებს მეტი დრო დაუთმეთ.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**23, 27 და 28 მაისი**

**5 მაისი – მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა;**
**19 მაისი – ახალმთვარეობა, პიკი – 19.56 სთ.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 22 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 20.20 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.17) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 07.11 საათზე, ჩადის 23.30 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 06.18 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.12 საათიდან 07.17 საათამდე. **ტენდენციები:** დაძაბული დღეა! მეტი ყურადღება გმართებთ. დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. სასურველია, რომ მეტი დრო ტრადიციებს, ოჯახსა და ოჯახის წევრებს დაუთმოთ. დღეს და ხვალ მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა, ამიტომ საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ნივთების, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, დაპირებების გაცემა, თავის დაბანა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 23 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.35 საათზე, ჩადის 20.21 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 08.05 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 07.12 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სასიკეთოა აქტიურობა, დინამიკურობა. სამართლიანობა დაიცავით. ემოციებს ნუ აჰყვებით. დიპლომატიურობით კონკურენტების მახეს თავს აარიდებთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ცხოველების შესაძენად, კბილების მკურნალობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 24 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 20.22 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.20) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 09.05 საათზე, ჩადის 25 მაისს 00.17 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 08.20 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.12 საათიდან 18.20 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პროვოკაციასა და უკონტროლო ემოციებს ნუ აჰყვებით. საკითხის დეტალურად შესწავლის გარეშე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ზედმეტ საკვებსაც ნუ მიიღებთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად და დასაცავად, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, რაიმეს შესაძენად, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა. საღამოს კი მოერიდეთ ფინანსურ გარიგებასა და ხელშეკრულების დადებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, გული, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 25 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.33 საათზე, ჩადის 20.23 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 10.07 საათზე, ჩადის 26 მაისს 00.55 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.36 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** პროვოკაციებს მოერიდეთ. დღეს და ხვალ კარგია კონტაქტურობა. შესაძლოა, საჭირო ინფორმაცია მიიღოთ. ინტუიცია გამახვილებულია. პარტნიორის მიმართ მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობის მისაღებად, ძვირფასი ნივთის შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმეების აწევა, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდიონი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 26 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.33 საათზე, ჩადის 20.24 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 11.11 საათზე, ჩადის 27 მაისს 01.26 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.54 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.38 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ეროვნულ და საგვარეულო ტრადიციებს პატივი მიაგეთ. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საბავშვო ზეიმებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის. ეფექტურია მხედველობის, ნერვული სისტემის, ხერხემლის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური საბუთების გაფორმება, გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ბინის შეცვლა, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულსისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 27 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.32 საათზე, ჩადის 20.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.54) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 12.14 საათზე, ჩადის 28 მაისს 01.52 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 12.12 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 19.24 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 06.54 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოთმინება გამოავლინეთ და კანონმორჩილი იყავით. საოჯახო ურთიერთობას მეტი დრო დაუთმეთ. დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. ურთიერთობისას ნუ იქნებით მეწვრილმანე, კრიტიკული. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სიხისტე, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, ონიქსი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 28 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 20.26 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.16 საათზე, ჩადის 29 მაისს 02.14 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 13.28 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მოგზაურობისთვის, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, უსარგებლო ნივთებისგან გასათავისუფლებლად, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. იმატებს ილუზიების, მოტყუების ალბათობა. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. არ არის სასურველი ქორწინება, გარისკვა, კამათი და ზედმეტი სიხისტე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.









**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## საეკლესიო კალენდარი

✝ 22 მაისი. ორშაბათი. **წინასწარმეტყველისა ესაიასი;** მიცვალება ღირსისა შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 23 მაისი. სამშაბათი. **მოციქულისა სიმონ მოშურნისა, კანანელისა, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელისა;** მოწამეთა: ალფესისა, ფილადელფისა, კვიპრიანესი, ონისიმესი, ერაზმისა და სხვათა.

✝ 24 მაისი. ოთხშაბათი. ნეტარისა ქრისტესიასი, ქრისტეფორედ წოდებულისა; მღვდელმოწამისა მოკიოს ხუცისა, მოციქულთა სწორთა მეთოდესი და კირილესი, სლოვენთა მოძღვართა; ნიკოდიმოსისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 25 მაისი. ხუთშაბათი. **ამაღლება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** მოწამეთა ქართველთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ფერეიდანში სპარსთაგან მოწყვეტილთა.

✝ 26 მაისი. პარასკევი. **შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა; ღირსისა ექვთიმე მთაწმიდელისა, მთარგმნელისა;** ღირსთა მოწამეთა, ათონის მთაზე ლათინთაგან მოწყვეტილთა; წმიდათა: გიორგი აღმსარებელისა, მეუღლისა მისისა ირინესი და შვილთა მათთა.

✝ 27 მაისი. შაბათი. მოწამისა ისიდორესი; მოწამისა მაქსიმესი; ღირსისა სერაპიონ სინდონიტისა; ლეონტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ 28 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-7, I მსოფლიო კრების წმიდათა მამათა კვირიაკე.** მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; ღირსისა პახუმი დიდისა; ღირსისა პიროს ბრეთელისა; აქილე ლარისელი ეპისკოპოსისა.



„ასავალ-დასავალის" **რედაქცია** ღრმა მწუხარებით იუწყება

**ლია დგებუაძე-დარციმელიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს

***პანაშვიდი:*** *22 მაისს, ორშაბათს;*
***დაკრძალვა:*** *23 მაისს, სამშაბათს, 15 საათზე;*
***მისამართი:*** *იყალთოს 8, მე-2 სადარბაზო, მე-10 სართული*

**საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობა და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლები**
მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მარტვილის ორგანიზაციის უკანასკნელი სპიკერი, საკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ღირსეული მამულიშვილი

**ვილერ წოწორია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

***დაკრძალვა:*** *სამშაბათს, 23 მარტს, ქალაქ მარტვილში.*

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ჯამბაზები; 8. ფაქტორი; 12. დიაკონი; 13. ზესტაფონი; 14. ნაირობი; 15. შკიპერი; 16. მირაბელი; 20. კრიტიკა; 21. მიმასი; 24. სპიდომეტრი; 25. ჯირითი; 28. ნოტაცია; 29. კიროვაკანი; 34. გუგული; 35. ბეღელი; 38. პოლიფონია; 39. გირაო; 42. ვერტიკალი; 43. მერინოსი; 47. ვინტი; 48. კილოკავი; 52. ტრამონტანა; 53. ბობი; 55. ნავიგაცია; 56. კამერუნი; 57. ნონა; 58. ნაპალმი; 59. მისისიპი; 60. პირიტი.

**შვეულად:** 1. ჯაზი; 2. მესხი; 3. ამალა; 4. ეზოპე; 5. იდიში; 6. თალიზი; 7. კომეტა; 8. ფინიკი; 9. ქვირითი; 10. ომონიმი; 11. ირიბარი; 16. მოპსი; 17. რადიო; 18. ბამბა; 19. ლიტრა; 21. მინი; 22. მატიე; 23. სიცხე; 25. ჯაგი; 26. რაგვი; 27. თოლია; 29. კუპე; 30. რილკე; 31. ვაფლი; 32. კანჯო; 33. ნიავი; 35. ბარბი; 36. ღვინო; 37. ლიანა; 39. გივი; 40. რონდო; 41. ოდიში; 43. მარშალი; 44. რამზესი; 45. ნონიური; 46. სტანინი; 48. კანაპე; 49. ლევილი; 50. კეგლი; 51. ვიცინი; 53. ბანგი; 54. ბონდი.

**სენაკითარაზოგანგურიელიოტიატრიბუტიასულიერი**
**კარდიოლოგიკურიერიჰააგალიანოსინიორაძერაინი**

| ცალკე ოთახი ბერისთვის | ვატერპასი | ბეწვის ცვლა ცხოველის მიერ | ინგლისელი მწერალი ქალი | რისამე დამახასიათებელი ნიშანი | ქალიშვილი | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| მდინარე პარიზში | ძვ. ბერძნული სიმებიანი საკრავი | აქა-იქ, ანუ | ქართველი მოჭადრაკე ქალი | ყურის ექიმი | ვინც ხშირად იბუტება | სულდგმული |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. რ. ლეონკავალოს ოპერა; 8. ამერიკული კოსმეტიკური კომპანია მაქს ...; 12. მღვდლის თანაშემწე; 13. ქალაქი, რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. კენიის დედაქალაქი; 15. სატვირთო გემის კაპიტანი; 16. ღოღნოშოს ჯიში; 20. კრიტიკოსის საქმიანობა; 21. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 24. ავტომობილის მიერ გავლილი მანძილის და მოძრაობის სიჩქარის მაჩვენებელი ხელსაწყო; 25. ცხენის ჭენება; 28. ჭკუის სწავლება, დარიგება; 29. სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში; 34. ტყის ფრინველი; 35. პურეულის შესანახი ნაგებობა; 38. მრავალხმიანობა (მუს.); 39. ვალის წინდი; 42. შვეული ხაზი; 43. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 47. ხრახნი; 48. ამა თუ იმ ენის კილოს უფრო მცირე ერთეული; 52. ჩრდილოეთის ცივი ქარი ხმელთაშუა ზღვაში; 53. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში; 55. ნაოსნობა, ზღვაოსნობა; 56. აფრიკის სახელმწიფო; 57. მოჭადრაკე ... გაფრინდაშვილი; 58. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 59. მდინარე და შტატი აშშ-ში; 60. რკინის ალმადანი.

შვეულად: 1. მიმდინარეობა მუსიკაში; 2. ქართველი ექსფეხბურთელი; 3. მეფის მხლებლები; 4. ძველი ბერძენი მეიგავე; 5. ევროპელ ებრაელთა ენა; 6. თმის გადანერგვის ქართული კლინიკა; 7. კუდიანი ვარსკვლავი; 8. ინდის ხურმა; 9. თევზის კვერცხების ერთობლიობა; 10. სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობით განსხვავდება მისგან; 11. ყოფილი ესპანელი ფეხბურთელი; 16. ოთახის პატარა ძაღლი; 17. მაუწყებლობის ერთ-ერთი საშუალება; 18. კოტონი; 19. თიხის ერთგვარი ჭურჭელი (ძვ.); 21. მოკლე კაბა; 22. ფრანგი მომღერალი ქალი; 23. ჰაერის მაღალი ტემპერატურა; 25. უხეში, ეკლიანი ველური ბუჩქი; 26. წნელის ღობე; 27. წყლის ფრინველი; 29. ცალკე განყოფილება მატარებლის ვაგონში; 30. ავსტრიელი პოეტი; 31. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 32. პატარა ნიჩბიანი ნავი; 33. სიო; 35. ამერიკული თოჯინა; 36. ყურძნის მათრობელა სასმელი; 37. ხვიარა მცენარე; 39. მ. ჯავახიშვილი — „... შადური“; 40. ერთგვარი მუსიკალური ფორმა; 41. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 43. ამერიკელი რეჟისორი; 44. ეგვიპტის ფარაონი; 45. გეოდეზიური და ასტრონომიული ხელსაწყოების ნაწილი; 46. კალის ალმადანი; 48. ერთგვარი პატარა დივანი; 49. ქართველთა სამოსახლო საფრანგეთში; 50. ერთგვარი თამაში ხის ბურთებით; 51. რუსი მსახიობი მამაკაცი; 53. ძილის მომგვრელი წამალი; 54. ი. ფლემინგის აგენტი 007.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| გულის ექიმი | დაწესებულების შიკრიკი | ქალაქი ნიდერლანდებში | სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში | ქართველი ბალერინა | მდინარე გერმანიაში |
|---|---|---|---|---|---|

| გულთან დაკავშირებული თავსართი | კანონზომიერი, თანმიმდევრული | გაკვირვების შორისდებული | იტალიელი დიზაინერი | იტალიაში – ქალბატონი | მტაცებელი ფრინველი | იანის საპირისპირო |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
**ასავალ დასავალი**
2023 წლის 22 – 28 მაისი №24 (1488)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **(+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol